

"24 საათის" ფიქიანი ნომერი
***2424**

ოჯამა ირანზე
ზამოქმადების
დამატებით
ბარკატებს მიიღებს
A7



დვინო, დუდუკი, ქალები... ფეხბურთი და პოლიტიკა

თინიშარაზ ზაქარაძე

ეს ჩამონათვალი ზოგადად მაკაცების ინტერესების სფეროებია, მაგრამ ასეთი განლაგებით მაინც ჩვენებურია. მაინც როგორია ქართველი მამაკაცი? ნათქვამია - მითხარი რა გიყვარს და გეტყვი, ვინ ხარო. რაც გვინტერესებს, სწორედ ისეთები ვართ. მას ასე:
ღვინო: რას ვსვამთ? რამდენს

ვსვამთ?
თითქმის არ შემხვედრია მეღვინე, რომელიც "გაკეთებულ" ღვინოს შემოგთავაზებს. მისი ღვინო მხოლოდ "ნატურალურია". გრამი წყალი არ ურევია, შაქარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უმეტეს შემთხვევაში ეს ჩვეულებრივი ტყუილია.
დალეული ღვინის რაოდენობა ეს ცალკე თემაა. ნეტავ, რა გემო აქვს დალეულ ხუთ ბოთლს? ან რა

ფასი აქვს ამით გაუფენილი ადამიანის სადღეგრძელოებს? აქ უკვე ტყუილებისა და სიყალბის კორინტელია.
დუდუკეში საქმე ნამდვილად უკეთესადაა, ბოლოსდაბოლოს ხელოვნების თავისუფლება ყოველთვის გვექონდა, მაგრამ აქაც ტყუილი და სიყალბე საკმარისია. ხელოვნება თუ არ ვითარდება, ის კვდება. ხელოვნებაში რაიმე ახალი შტრიხების გამოჩენა ალმუთებს

ინვესტს. ასეთი მიდგომა სიყალბეა. ამ შემთხვევაში "დუდუკეში" იგულისხმება მეგობრებიც. დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ ჭეშმარიტი მეგობარი უფრო ღვიძინაში მუდამაა, ვიდრე ჭირში, მაგრამ სუფრასთან ღვიძინაში კი არა - ცხოვრებაში. იმავე ნამს ეტყობა, გაუხარდა თუ არა ადამიანს შენი სიხარული ან რამე წარმატება.
ბაზრქალაზა A12 გვირდვა

ინგლისური
პრემიერბივის ათი
უდიდესი გოლი
A15



რასმუსენის მისია მოსკოვში

თამთა ქახაძე

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა, რომელიც მოსკოვში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება, განაცხადა, რომ რუსეთისა და ნატო-ს მიდგომები "ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია", თუმცა ამან "საერთო ინტერესებზე" გავლენა არ უნდა მოახდინოს.
"რა თქმა უნდა, ჩვენ გვრჩება განსხვავებული შეხედულებები, მაგრამ ჩვენ ამის დრამატიზებას არ ვახდენთ, თუმცა ეს საკითხები აუცილებლად უნდა გადაწყდეს," - დაეთანხმა გენერალურ მდივანს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.
გენერალური მდივანი თავისი პირველი ვიზიტით მოსკოვში სამშაბათს ჩაფრინდა. რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრის დროს მხარეები ავღანეთის ოპერაციაზე იმსჯელებენ.



ბაზრქალაზა A8 გვირდვა

გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის“ საახალწლო აქცია - ინტარნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში
A5

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA

HYUNDAI

ბარჩევი პარლამენტის სხდომათა დარბაზსა და დერეფანში

ოპოზიციის გაფართოებულ სხდომაზე სახალხო დამცველს მოუსმინეს

თამარ ივანიძე

პარლამენტში გუშინ ხმაურიანი დღე იყო - "ქრისტიან-დემოკრატების" გაფართოებულ სხდომას, რომელზეც სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშს ისმენდნენ, არასაპარლამენტო ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წევრები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და გახმაურებული მკვლევარების

დროს დაღუპულთა მშობლები ესწრებოდნენ. ასეთი შემადგენლობის გამო პარლამენტში გაძლიერებული გახლდათ დაცვა და სხდომას მანდატურებიც ესწრებოდნენ, რათა საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოხლაზე არ მოსულიყო. ცემა-ტყეპა არა, მაგრამ ხმაური შეხვედრას მართლაც მოჰყვა.
არეულობა სხდომის მიწურულს დაიწყო, თუმცა სიმწვაის გარეშე არც თავად განხილვას ჩაუვლია.

სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა სხდომაზე ძირითადი საყვედურები იმის გამო მიიღო, რომ მიმდინარე წლის ანგარიშში გასული წლების მოვლენები არ ასახულა. ამიტომ სხდომაზე გიორგი ტულუშმა სამართალდამცველების მიერ მოკლული ახალგაზრდების ოჯახის წევრებს საგანგებოდ მიმართა და განაცხადა, რომ ამ საქმეებზე რეკომენდაციები დაგზავნილი აქვს და შედეგებსაც აუცილებლად მოიკითხავს. ამასთან ტულუშმა გააკეთა განმარტება, რომ ანგარიშ-

ში, რომელიც 2009 წლის პირველ ნახევარს მოიცავს, ვერ მოხვდება გასული წლების მოვლენები. თუმცა, სახალხო დამცველმა იქვე აღნიშნა, რომ შემდეგ ანგარიშში აუცილებლად იქნება საუბარი იმაზე, თუ რა რეაგირება მოჰყვება ამ კონკრეტული საკითხების შესახებ მის მიერ დაგზავნილ რეკომენდაციებს.
თუმცა ეს თემა შეხვედრაზე ერთადერთი, ცხადია, არ ყოფილა.
ბაზრქალაზა A2 გვირდვა

საქართველოს პრეზიდენტი დანიამი ჩადის

საქართველოს პრეზიდენტი დღეს დანიას ეწვევა. მიხეილ სააკაშვილი კოპენჰაგენში ჩავა და კლიმატის ცვლილებების პრობლემატიკასთან დაკავშირებით გაეროს კონფერენციას დაესწრება. პრეზიდენტის ვიზიტი დანიამი ორ დღეს გასტანს.

გიორგი ბარამიძე საფრანგეთში

გიორგი ბარამიძის სამუშაო ვიზიტი საფრანგეთში გრძელდება. ვიცე პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრ პიერ ლელუმს შეხვდა. მათ საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, საქართველო-რუსეთის კონფლიქტზე, ასევე საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრეს. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დაწყებისა და საქართველოს მოქალაქეთათვის ევროკავშირის ვიზების გამარტივების საკითხის გადაწყვეტის მნიშვნელობა. მხარეებმა 2010 წლის გაზაფხულზე საქართველოში დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებსა და არჩევნებზე ევროკავშირის დამკვირვებლების მონაწილეობის მნიშვნელობაზეც ისაუბრეს.

ვიცე პრემიერ-მინისტრმა შეხვედრა გამართა საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების კომისიის ვიცე-პრეზიდენტთან ფილიპ ვიტელთანაც. გიორგი ბარამიძემ ვიტელს ინფორმაცია მიანოდა ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ურთულეს მდგომარეობაზე, ოკუპანტების მხრიდან მუდმივ პროვოკაციებსა და მოქალაქეების, განსაკუთრებით მოზარდების, გატაცების ფაქტებზე.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებაში ევროკავშირის როლზე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაზრდისა და მანდატის გაძლიერების, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დაცვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობაზე. მხარეებმა აღნიშნეს საფრანგეთ-საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობა საქართველოს ევროკავშირისა და ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით. საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებსაც. საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების კომისიის ვიცე-პრეზიდენტმა როზიტაურად შეაფასა მსოფლიოს უსაფრთხოების საქმეში საქართველოს მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი, განსაკუთრებით ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობა. ვიტელმა ხაზი გაუსვა საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობას.

ვიზიტის ფარგლებში ვიცე პრემიერ-მინისტრი გაულენიანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებსაც შეხვდა. გიორგი ბარამიძემ მონაწილეობა შეკითხვებს უპასუხა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა. ბარამიძემ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების გაუსაძლის პირობებზე და ოკუპანტების მიერ ადამიანთა უფლებების მუდმივ ხელყოფის ფაქტებზე ისაუბრა.

თემურ იაკობაშვილი საფრანგეთის დელეგაციის წევრებს შეხვდა

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი გუმინ

საქართველოში საფრანგეთის ელჩ ერიკ ფურნიეს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დეპარტამენტის დირექტორ ტიბო ლესპანიოლს, მის მოადგილე მათიე კარმონას და ამავე სამინისტროს კონტინენტალური ევროპის დეპარტამენტის დირექტორ ფულიენ ლელანის შეხვდა.

იაკობაშვილის განცხადებით, შეხვედრაზე ევროკავშირის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონთან დაკავშირებით შემუშავებულ სახელმწიფო სტრატეგიაზე, კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილ სიტუაციასა და ტირმინიდან გატაცებული მოზარდების საკითხებზე ისაუბრეს.

"ევროკავშირი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში თავის ხედვასა და სტრატეგიას აყალიბებს. ეს ადამიანები ამ დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობენ. დღეს ხედვებისა და მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლა მოხდა", - განმარტა იაკობაშვილმა.

საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ კი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ოფიციალური პარიზი ადასტურებს თავის პატივისცემას საქართველოს სუვერენიტეტისადმი და ტერიტორიული მთლიანობისადმი. მისივე თქმით, რუსეთისთვის "მისტრალის" მიყიდვა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ფურნიეს განმარტებით, პარიზსა და მოსკოვს შორის ჯერ არ გაფორმებულა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რუსეთი ფრანგულ "მისტრალის" კლასის ვერტმფრენშიზიდს შეიძენს.

"მომხმარებელი, როგორც წესი, საქონელით ინტერესდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეთანხმება უკვე შედგა. ამ დროისთვის არც საფრანგეთს და არც რუსეთს გადაწყვეტილება არ მიუღიათ", - აცხადებს ფურნიე.

ბარჩივები პარლამენტის სდრომათა დარბაზსა და დერაფანში

პირველი გავრდიდან

სხდომაზე დიდი ადგილი დაეთმო წინასწარი დაკავების იზოლატორებში არსებულ მდგომარეობას.

თუმცა, სახალხო დამცველის ანგარიშის შემდეგ შეხვედრის ორგანიზატორის - საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ გიორგი თარგამაძისთვის გაუგებარი დარჩა, "რა გაუხდა მსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორების მონესრიგება და იქ არსებული მდგომარეობის გამოსწორება მაშინ, როცა პოლიციის ახალი ოფისები ყოველდღიურად იხსნება," - აღნიშნა თარგამაძემ. გიორგი თარგამაძეს ეთანხმება სახალხო დამცველი გიორგი ტულუში და აცხადებს, რომ წინასწარი დაკავების იზოლატორი, სადაც ასევე ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ ადამიანებსაც ათავსებენ, ვერაინი კრიტიკის ვერ უძლებს. მისივე მტკიცებით, სახალხო დამცველის აპარატი შესაბამისი რეკომენდაციით შინაგან საქმეთა სამინისტროს აუცილებლად მიმართავს. გიორგი ტულუშმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აღნიშნულ იზოლატორში 48 საათის განმავლობაში პატიმრის ყოფნისას ბევრი პირობაა გამოსასწორებელი, რომ აღარაფერი ითქვას იქ ადამიანის 90-დღემდე მოთავსებაზე.

გიორგი თარგამაძე იმითაც დაინტერესდა, უკვე შეხვდა თუ არა სახალხო დამცველს პრეზიდენტი. როგორც თარგამაძემ აღნიშნა, "მღელვარებების" პერიოდში პრეზიდენტი სახალხო დამცველის ოფისში საკუთარი ფეხით მივიდა და მაშინ ამ ფაქტმა ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ გარკვეული იმედები და მოლოდინები გააჩინა. მართალია, გიორგი თარგამაძის აზრით პრეზიდენტის მხრიდან სახალხო

დამცველთან მიმართებაში პოლიტიკური კონტექსტების შესაბამისი დამოკიდებულება სიმპტომატურია, მაგრამ მისთვის საინტერესოა, გაუჩნდა თუ არა პრეზიდენტს ახალ სახალხო დამცველთან შეხვედრის სურვილი.

გაირკვა, რომ გიორგი ტულუშს ასეთი შეთავაზება ჯერ არ მიუღია, თუმცა სურვილის შემთხვევაში, მზად არის სააკაშვილთან სასაუბროდ და მასთან არაერთი პრობლემის დასაყენებლად.

სხდომაზე დევნილების საკითხზეც ისაუბრეს. ომბუდსმენ გიორგი ტულუშის შეფასებით, დევნილებისთვის პრობლემატურია საყოფაცხოვრებო პირობები და მათი დასაქმების საკითხი, რაც ყველაზე მწვავედ 90-იანი წლების პერიოდის დევნილებს ეხებათ. როგორც ტულუშმა განაცხადა, დევნილების მდგომარეობის შესასწავლად სახალხო დამცველის აპარატი აქამდე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდობოდა, თუმცა ევროსაბჭოს მხარდაჭერით სრულ მონიტორინგს თავად ომბუდსმენის ოფისი განახორციელებს. მისივე თქმით, ამ მიზნით სახალხო დამცველის აპარატი დამატებით ხუთი ადამიანის დაქირავებასაც გეგმავს. აქვე ტულუშმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის აპარატი თავად განახორციელებს დევნილთა დასახლების მონიტორინგს, ბევრად უფრო დეტალური და დაზუსტებული ინფორმაცია ექნება იქ არსებული მდგომარეობის და პრობლემების შესახებ.

სხდომაზე კითხვები, ცხადია, მონვეულმა სტუმრებმაც დასვეს. მოძრაობა "7 ნოემბრის" წარმომადგენელმა დაჩი ცაგურიამ სახალხო დამცველ გიორგი ტულუშს იმის გამოც უსაყვედურა, რომ ომბუდსმენის ანგარიშში

პრეზიდენტის რესტორნებში ვახშმობისას მომხდარი ინციდენტები არ ასახულა. კერძოდ, როგორც ცაგურიამ გიორგი ტულუშს განუცხადა, 9 მარტს ერთერთ იაპონურ რესტორანთან და 31 მარტს რესტორან "მედიანთან" მომხდარი ფაქტები სახალხო დამცველის ანგარიშში უნდა ასახულიყო. როგორც "ქრისტიან-დემოკრატების" მიერ პარლამენტში მიწვეულმა ცაგურიამ ფრაქციის გაფართოებულ სხდომაზე განმარტა, "ახალგაზრდების ნაწილი რესტორანში სავახშმოდ შესულ პრეზიდენტის წინააღმდეგ მშვიდობიანი ფორმით საპროტესტო აქციას მართავდა, რა დროსაც პოლიციამ მათ წინააღმდეგ ძალა გამოიყენა და ადგილი ჰქონდა უკანონო დარბევას". ცაგურიას შენიშვნაზე სახალხო დამცველმა განმარტა, რომ 9 მარტისა და 31 მარტის საქმეები მის აპარატში არ შესულა, თუმცა პირობა დადო, რომ აღნიშნული საკითხით აუცილებლად დაინტერესდება.

ადამიანის უფლებათა დამცველმა ნანა კაკაბაძემ კი ახალი სახალხო დამცველის მიმართ კითხვები ბრალდებებით დაიწყო.

ნანა კაკაბაძის მტკიცებით, სახალხო დამცველისადმი მიმართვისას ადამიანებს პრობლემები და ბარიერები ექმნებათ, რაზეც განცხადებებს მის ორგანიზაციაში აკეთებენ. აღნიშნული ბრალდება სახალხო დამცველისთვის მიუღებელია და კაკაბაძეს კონკრეტული გვარების და ფაქტების დასახელება სთხოვა. მისი თქმით, სახალხო დამცველის ოფისში მოქალაქეებს არანაირი ბარიერი არ ექმნებათ და თუ ვინმე შესაძლებელია ბარიერი შეექმნა, ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს.

ამის შემდეგ ნანა კაკაბაძემ ახალგაზრდა ოპოზიციონერების ჯარიმების ამნისტირებაზე გაა-

მახვილა ყურადღება, შემდეგ კი "პოლიტიკურ პოლიციასა" და პოლიტიკურ ზენოლაზე ისაუბრა.

პოლიტიკური პოლიციის არსებობის დასადასტურებლად ნანა კაკაბაძემ პოლიციელების მხრიდან "ზადრის რა" და "მიშა, მოშას" სკანდირება გაიხსენა. მას ამაზე სახალხო დამცველი დაეთანხმა და განაცხადა, რომ პოლიცია მსგავს რამეს მართლაც არ უნდა სკანდირებდეს. შემდეგ კი ადამიანის უფლებათა დამცველმა პოლიტიკური ზენოლის მაგალითად მისი ლონდონიდან ჩამოსვლისას აეროპორტში ბარგის გამო მომხდარი ინციდენტი დაასახელა. სახალხო დამცველი ნანა კაკაბაძეს დაჰპირდა, რომ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ამ ინციდენტს აუცილებლად გააჩვენებს.

რაც შეეხება სხდომის ხმაურით დასრულებას, ხმაურის მიზეზი ის გახდა, რომ 18:00 საათისთვის გიორგი ტულუშს შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. ეს საკითხი ფურნალისტური ორგანიზაციის "დროსა და სივრცის" დირექტორმა თენგიზ ჩხიკვაძემ გააპროტესტა და ასევე, დაინტერესდა, "ვინცდიდა თუ არა გიორგი ტულუში ხელისუფლების მხრიდან ზენოლას", რაზეც სახალხო დამცველისგან უარყოფითი პასუხი მიიღო.

"თქვენ თუ ჩემთან მიმართებაში შეტევას ახორციელებთ, ეს სხვა საკითხია," - მიმართა ჩხიკვაძეს ტულუშმა სხდომის დასრულებისას, რომელზეც გიორგი ტულუში არაერთხელ შეადარეს ძველ სახალხო დამცველ სოზარ სუბარს. სხდომის დასრულების შემდეგ კი "გარჩევები" დერეფანში გაგორებულა, რომლის დროსაც სახალხო დამცველს 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში აფრასიძეების საქმის შეტანაც მოსთხოვეს.

არაფრისმთქმელი აღიარება

ნათია მსხილაძე

ვენესუელას შემდეგ ნაურუ მეოთხე რესპუბლიკაა, რომელმაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა 50 მილიონი დოლარის სანაცვლოდ აღიარა. ნაურუ წყნარ ოკეანეში მდებარეობს და ცნობილია, როგორც სამოვნიების კუნძული. მოსახლეობისა და მიწის ფართობის მიხედვით, ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მცირე დამოუკიდებელი ქვეყანაა. ნაურუს რესპუბლიკას დედაქალაქიც კი არ აქვს. შემოსავლის ახალი წყაროს ძიება ნაურუმ ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო და სცადა, საკუთარი თავი სავადასახადო სამოთხედ გამოეცხადებინა, თუმცა ამ წამოწყება 2004 წლის დასასრულს ბოლო მოეღო.

აფხაზეთის შემდეგ ნაურუს რესპუბლიკამ გუმინ სამხრეთ ოსეთი აღიარა. მარიონეტული რეჟიმის ლიდერ ედუარდ კოკოითის მტკიცებით, სამხრეთ ოსეთის უახლოეს მომავალში ათი სახელმწიფო აღიარებს. საქართველოსთან ურთიერთობა კი, კოკოითის

აზრით, ახლებურად უნდა აიგოს - იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთი აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა. "ჩვენ სამხრეთ ოსეთისა და ნაურუს რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ხელშეკრულება გავაფორმეთ. სამხრეთ ოსეთი დღეს ნაურუს მხრიდანაც აღიარებული სახელმწიფოა. მიღწეულია შეთანხმება მხარეებს შორის ყველა სფეროში ურთიერთობების განვითარების შესახებ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობას უახლოეს მომავალში, დაახლოებით, 10 სახელმწიფო აღიარებს. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი შეუქცევადია, ხოლო რაც შეეხება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობას, ჩვენ იგი ახლებურად უნდა ავაგოთ - იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი და აღიარებული სახელმწიფოა. ეს ურთიერთობა კეთილმოზობლიური უნდა იყოს და მაქსიმუმი უნდა გვაკეთოთ, რათა ამ კეთილმოზობლივიდან ჩვენი მოქალაქეები არ ზარალდებოდნენ," - განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ნაურუს მიერ აფხაზეთისა და დამოუკიდებლობის აღიარება რუსული დიპლომატიის კრახად შეაფასა. "ნაურუს მიერ კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს ლიმილის გარეშე ვერავინ აღიქვამს. ალბათ, ეს იყო საახალწლო სეილი და რუსეთმა ნაურუ იაფად იყიდა. რაც შეეხება ფაქტის სერიოზულ შეფასებას, ეს არის რუსული დიპლომატიის აბსოლუტური კრახი. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენად ანომალური დამოუკიდებულება აქვს კრემლს კონფლიქტური რეგიონების მიმართ. ეს ფაქტი უფრო კომერციული ხასიათისაა," - განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიშვილის აზრით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ოცმა ნაურუმ რომ აღიაროს, ამით პრინციპულად არაფერი იცვლება.

"ეს ყველაფერი კიდევ უფრო ართულებს საერთაშორისო ასპარეზზე თავად რუსეთის მდგო-

მარეობას. ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოს წინაშე უსაფრთხოების ახალი არქიტექტურით გამოსვლის პრეტენზია გააჩნია, ფაქტობრივად, მთელ ცივილიზებულ სამყაროს უპირისპირდება და ოდიოზურ რეჟიმებთან ქმნის ალიანსებს," - აღნიშნა უმრავლესობის წევრმა დავით დარჩიშვილმა.

დეპუტატის განმარტებით, შესაძლოა რუსეთმა ფულის და საკუთარი იდეოლოგიის გამოყენებით საქართველოს ოკუპირებული რეგიონები ნაურუს ტიპის სხვა ქვეყნებსაც აღიარებინოს. ეს სუპრატისტების სასარგებლოდ არაფერს შეცვლის, რუსეთს კი უფრო მეტი იზოლაციისკენ წაიყვანს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ გოკა გაბაშვილის თქმით, აღიარების სანაცვლოდ 50 მილიონი დოლარის გადახდა 14 ათასიანი ქვეყნისთვის ადასტურებს იმას, თუ რა მდგომარეობაშია რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე. "ნაურუსთვის ტერიტორიებით ვაჭრობა ახალი არ არის. მან იგივე თამაში ითამაშა ჩინეთისა და ტაილანდის შემთხვევაში," - განაცხადა ფურნალისტებთან საუბრისას გოკა გაბაშვილმა.

ელჩის საიდუმლო

დიპლომატიის ავტორი

საქართველოდან ლიტვის ელჩის ვაწვევის მიზეზი საერთაშორისო სკანდალი გახდა, რომელიც ამ ქვეყანაში საიდუმლო ამერიკული ციხის არსებობის შესაძლებლობას უკავშირდება. მეჩის ლაურინკუსი, რომელიც საქართველოში დიპლომატიურ მისიას 2008 წლის სექტემბრიდან ასრულებდა, 2004 წლამდე თავისი ქვეყნის სპეცსამსახურებს ხელმძღვანელობდა. ლიტვაში მის სახელს როგორც საიდუმლო საპრობოლის არსებობას, ასევე პრეზიდენტ როლანდას პაქსასის სკანდალურ გადადგომას უკავშირებენ.

ლიტვის პრეზიდენტმა საქართველოდან ქვეყნის ელჩის განვითარების მიზეზები გუშინ თავად განმარტა. მისი განცხადებით, ეს საკითხი საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთი თვის განმავლობაში განიხილებოდა. "ვისურვებდი, დიპლომატიურ სამსახურში მყოფ ადამიანებს არ ავიწყებოდათ, რომ ეს სწორედ დიპლომატიური სამსახურია. თუ დიპლომატს პოლიტიკანობა სურს, სხვა პროფესია უნდა აირჩიოს," - განაცხადა დალია გრიბაუსკაიტემ.

მან აღნიშნა, რომ მეჩის ლაურინკუსის საკითხი მთავრობის უახლოეს სხდომაზე განიხილება.

საქართველოდან ელჩის განვითარება ლიტვაში აგორებული სკანდალის გამოძახილი გახდა, რომელიც ქვეყანაში აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეების არსებობას ეხება. ეს ცნობა პირველად აგვისტოში ამერიკულმა ტელეკომპანიამ "ეს-ბი-სი"-მ გაავრცელა. ოქტომბერში კი ახალი დეტალები გამოაქვეყნა - მათ შორის იმ ამერიკული თვითმფრინავების მონაცემები, რომლებსაც ლიტვაში თითქოს საუდუმლო პატიმრები გადაჰყავდა.

ამ საკითხის გასარკვევად ლიტვის სეიმში საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რომელმაც დასკვნა 22 დეკემბრამდე უნდა მოამზადოს.

საქართველოში ლიტვის ელჩ ლაურინკუსს ექვსი წლის განმავლობაში, 2007 წლამდე, ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ეკავა. გასულ კვირაში ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა როლანდას პაქსასმა საპარლამენტო კომისიას განუცხადა, რომ ქვეყანაში ამერიკული საიდუმლო ციხის განთავსების შესაძლებლობაზე 2004 წელს მას სწორედ ლაურინკუსი ესაუბრა, რომელიც ასეთი ნაბიჯის აუცილებლობას

ქვეყნის ნატო-ში განევრინების დასაჩქარებლად ამერიკული პარტნიორებისთვის მეგობრული შესტის აუცილებლობით ასაბუთებდა.

ლიტვური მედიის ცნობით, ლიტვის ელჩმა საქართველოში ამ საუბრის ფაქტი დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ მას მხოლოდ "თეორიული" ხასიათი ჰქონდა. მან ასევე განაცხადა, რომ ამ საქმის დეტალების განმარტება ქვეყანას "ზიანს მოუტანდა". როგორც ჩანს, სწორედ ეს განაცხადებმა აღიქვა ლიტვის პრეზიდენტმა დიპლომატის პოლიტიკაში ჩარევად.

2004 წელს პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ მაჩის ლაურინკუსი უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგა, ცოტა ხანში კი ესპანეთში ლიტვის ელჩად დანიშნა. თუმცა, ქვეყნიდან წავლის წინ მან ჟურნალისტებს მოუთხრო პრეზიდენტის კავშირების შესახებ საეჭვო პირებთან, მათ შორის რუსულ მაფიასთან და შესაბამისი განაცხადი პროკურატურაშიც შეიტანა.

ეს ბრალდებები პაქსასის იმპრინენტის საფუძველი გახდა. თავად ყოფილმა პრეზიდენტმა საპარლამენტო კომისიის წევრებთან საუბრისას თავისი გადადგომა სწორედ ციხის თემას დაუკავშირა. პაქსასის თქმით, მას ლიტვაში საიდუმლო საპრობოლის განთავსებაზე უარი არ აპატიეს.

"ეი-ბი-სი"-ს რეპორტაჟის შემდეგ ქვეყანაში საიდუმლო ამერიკული ციხის კვალის ძებნა ადგილობრივმა მედიამ დაიწყო. თვითმხილველებმა ჟურნალისტებს დაუდასტურეს, რომ "ვილაც უცხოელებმა" ვილინუსის მახლობლად, სოფელ ანტივილაისთან, საიდუმლო ობიექტი ააშენეს, რომელთან მიხედვით ადგილობრივ მოსახლეობას ეკრძალებოდა. უცხოელებს საიდუმლო ობიექტის გარშემო 2006 წლამდე ამჩნევდნენ. "ეი-ბი-სი"-ს მტკიცებით, ლიტვურ საიდუმლო ციხეში საერთაშორისო ტერორიზმში ბრალდებული რამდენიმე პატიმარი იყო განთავსებული, მათ შორის 11 სექტემბრის ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილები.

სკანდალის აგორების შემდეგ ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის შეფი პოვილას მალაუსკასი თანამდებობიდან გადადგა. ლიტვის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ კი განაცხადა, რომ "ეჭვი აქვს", ნინა ხელისუფლების დროს ლიტვაში აშშ-ს სადაზვერვო სამმართველოს ციხე მართლაც არსებობდა და გამოძიების ჩატარებას დაუჭირა მხარი. თუ ეს ფაქტი დადასტურდა, ლიტვამ "სირცხვილი უნდა ჩამოირეცხოს" და საერთაშორისო თანამეგობრობას ბოდიში მოუხადოს, - აღნიშნა ლიტვის პრეზიდენტმა.

რა შედეგს მოიტანს დამნაშავესთან ლაქუსი?

დღეს ცხინვალში ჩასვლას გეგმავს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგი. გუშინ კი ე.წ. სამხრეთ ოსეთში კვლავ გაიმართა მოლაპარაკებები სოფელ ტორძნისიდან ვატაცებულ მოზარდების გათავისუფლების საკითხზე. "რესპუბლიკური პარტიის" წევრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი, ქალთა სამშვიდობო მოძრაობის წარმომადგენელი მანანა მებუჯე და ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე ცხინვალის რეჟიმის ლიდერ ედუარდ კოკოითის შეხვედრენ. გარდა ამისა, მათ ცხინვალში დაპატიმრებული არასრულწლოვნები მოინახულეს.

ედუარდ კოკოითმა პაატა ზაქარეიშვილს, მანანა მებუჯეს და ვახტანგ კომახიძეს სთხოვა, რომ მისი დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებას გადასცენ. კოკოითმა განაცხადა, რომ "მოდი, ნობის აღსადგენად გამოენახოთ ხიდები, რომლებიც საფუძვლიანად დაანგრია სააკაშვილმა." მან აღნიშნა, რომ ზაქარეიშვილი, კომახიძე და მებუჯე ქართული საზოგადოების პირველი წარმომადგენლები არიან, რომლებსაც 2008 წლის ომის შემდეგ ცხინვალში ჩასასვლელად გამბედაობა ეყოთ. მისი აზრით, "ასეთი კონტაქტები ხელს შეუწყობს პირველ ეტაპზე ჩვენს ხალხებს შორის ნდობის აღდგენას."

ნას. ჩვენ დღეს ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკურ თამაშებს. ისინი საკუთარ რეიტინგზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ჩვენი ხალხების ურთიერთობაზე." ასეთი განცხადების მიუხედავად, კოკოითი დაპატიმრებული მოზარდების გათავისუფლებას არ აპირებს. კოკოითის აზრით, "ცხინვალის მიერ დაპატიმრებული საქართველოს არც ერთი მოქალაქე არასრულწლოვანი არ არის. ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დანაშაული ჩაიდინეს. შემოძლია, კონსტიტუციური უფლებით ვისარგებლო და ისინი შევიწყლო, მაგრამ არა ე.წ. საქართველოს ხელისუფლების ზენოლის ქვეშ. მათ ძალიან გართულეს ვითარება, იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან გარკვეული შეთანხმებები გვქონდა. იაკობაშვილისა და სააკაშვილის რეჟიმის სხვა წარმომადგენლების განცხადებების გამო მე უარს ვამბობ საკუთარი კონსტიტუციური უფლების გამოყენებაზე."

ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის ინფორმაციით, შეხვედრაზე პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში ყველა არ ეთანხმება პრეზიდენტ სააკაშვილისა და სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის განცხადებებს. ზაქარეიშვილმა კოკოითი მოზარდების შეწყალება სთხოვა

და იქვე აღნიშნა, რომ "ძალიან ვიამაყებდი, ომის შემდეგ დაპატიმრებული ადამიანები რომ გაეთავისუფლებინა საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ მათ მე ხშირად ვაკრიტიკებ. დარწმუნებული ვარ, თქვენს კეთილ ნაბიჯს ქართული საზოგადოება გაითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში უფლებადამცველი ორგანიზაციები უფრო გაბედულად მოითხოვენ საქართველოს ციხეებში მოთავსებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების გათავისუფლებას." მისი თქმით, "სააკაშვილისა და იაკობაშვილის სიტყვების გამო სხვები არ უნდა იტანჯებოდნენ. რა თქმა უნდა, ამ ბავშვებმა შესაძლოა, რამე დააშავეს, მაგრამ ისინი ბოროტმოქმედებად არ მიმჩნეო."

კოკოითთან გამართული შეხვედრით გაკვირვებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა უტიასვილი. "ძალიან უცნაურია, რომ კოკოითი ასე ადვილად იღებს მათ ცხინვალში. რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ ვიზიტმა, წინასწარ კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაგრამ თავად ფაქტი ძალიან გასაკვირია. ხელისუფლება კი მათი ცხინვალში ჩასვლის შესახებ ინფორმირებული არ იყოს," - განაცხადა უტიასვილი.

მოზარდების გათავისუფლების საკითხზე მოლაპარაკებები დღეს გაგრძელდება. მარ-

თალია, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ თომას ჰამარბერგისთვის მიცემული დაპირების თანახმად (მან 14 წლის გიორგი რომელაშვილი და ასევე 14 წლის გიორგი ცაბაძე ცხინვალიდან 2 დეკემბერს გამოყვანა), 17 წლის ლევან ხშიადაშვილი და 16 წლის ვიქტორ ბუჩუკური 12 დეკემბერს უნდა გაეთავისუფლებიან. მაგრამ, ჰამარბერგს არასრულწლოვნების გათავისუფლების საკითხზე მოლაპარაკებების გამართვა კვლავ ცხინვალში უწევს. მანამდე კი, 15 დეკემბერს თომას ჰამარბერგი მოსკოვში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შეხვდა. მათ კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარება და დაპატიმრებულთა გათავისუფლების საკითხი განიხილეს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ საუბრის ერთ-ერთი თემა ჰამარბერგის ბოლო ვიზიტის შედეგების განხილვა იყო. კარასინმა და ჰამარბერგმა ასევე იმსჯელეს კავკასიაში საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. მხარეებმა აღნიშნეს, რომ რეგიონში არსებული ჰუმანიტარული პრობლემები აუცილებლად უნდა გადაიჭრას. კარასინსა და ჰამარბერგს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ნდობის აღდგენა, ამისთვის კი ქართულმა და ოსურმა მხარეებმა დაპატიმრებულები ერთმანეთს უნდა გადასცენ.

საკუთარი ინფორმაცია

საქართველოს 14 მოქალაქე აფხაზეთის ტყვეობაში

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ დროისთვის ტყვეობაში უკანონოდ დაკავებული საქართველოს 14 მოქალაქე რჩება. ამ ინფორმაციას საქართველოს საგარეო უწყება ავრცელებს. მოქალაქეები რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და მარიონეტული რეჟიმის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არიან დაკავებულნი.

"ისინი საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით იმყოფებიან ცხინვალში. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მცდელობებისა, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ამ ადამიანების გათავისუფლება და ოჯახებში დაბრუნება", - ნათქვამია განცხადებაში.

"ჯი-ეიჩ-ენ" - ის ცნობით, საგარეო საქმეთა სამინისტრო უკანონო ტყვეობაში მყოფი ქართველების გათავისუფლებას მოითხოვს და ამ პროცესში გააქტიურებისკენ საერთაშორისო თანამეგობრობას კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

პუტინმა ენ. სამხრეთ ოსეთს 5 მილიარდზე მეტი რუსული რუბლი გამოუყო

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას ენ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების შესახებ. ამ განკარგულების მიხედვით, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რიგი ახალი ობიექტების ასაშენებლად დამატებითი თანხების გამოყოფა იგეგმება.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ზემოთ ნახსენები სამუშაოების დაფინანსებისათვის 2009-2010 წლებში გამოყოფილი თანხა 5 მილიარდ 69 მილიონ 879 ათას რუსულ რუბლს შეადგენს.

ოსური მედიის ინფორმაციით, აღსადაგენ და ასაშენებელ ობიექტთა შორის არის გაზის გამანაწილებელი ქსელები, ელექტროგადამცემი ხაზები და მათ შორის ვერტმფრენის დასაჯდომი ორი მოედნი (ვერტოდრომი) მშენებლობა - ჯავასა და ახალგორში.

"ჯი-ეიჩ-ენ" - ის ინფორმაციით, გამოყოფილი თანხის მთავარ გამანაწილებლად რუსეთის რეგიონული განვითარების სამინისტრო დასახელდა, ხოლო მთავარ სახელმწიფო დამკვეთად - პრაქტიკისა და პროგრამების რეალიზაციის სამხრეთ დირექცია.

შენიშვნები საქართველოს

ევროპარლამენტის სესიაზე საქართველომ დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით არასაკმარისი ძალისხმევითი შენიშვნები მიიღო. ამ ინფორმაციას "იტარ-ტასზე" დაყრდნობით "ნიუსრუ" ავრცელებს. ევროკომისარ ბენიტა ფერერო ვალდენრის განცხადებით, საქართველომ მეტი წვლილი უნდა შეიტანოს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში.

კერძოდ, ეს ეხება მედიის თავისუფლების საკითხს და ადამიანის უფლებებსაც. ვალდენრმა ასევე მიუთითა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში საქართველომ უფრო მოქნილი პოზიცია უნდა შეიმუშაოს. "ინტერპრესნიუსის" ცნობით, ევროპარლამენტში დებატები ამ საკითხზე გუშინწინ გაიმართა.

ჰილარი კლინტონი - აშშ საქართველოს და უკრაინას აქტიურად უნდა დაეხმაროს

ამერიკის შერეობული შტატები საქართველოს და უკრაინას აქტიურად უნდა დაეხმაროს, - ამის შესახებ, "იტარ-ტასის" ცნობით, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა.

მისი თქმით, აშშ-მ უნდა გააგრძელოს აქტიური მონაწილეობა ისეთი ქვეყნების ახალგაზრდა დემოკრატიებად ჩამოყალიბებაში, როგორც არის საქართველო, უკრაინა და კოსოვო.

"როცა მიმდინარეობს დემოკრატიული ცვლილებები, ჩვენ არ შეგვიძლია თავს უმოქმედობის უფლება მივცეთ. ამის ნაცვლად უნდა გავაგრძელოთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა", - განაცხადა კლინტონმა ვაშინგტონში ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე.

კრემლში ენ. სამხრეთ ოსეთიდან 12 ბავშვი გაემგზავრება

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთიდან 12 ბავშვი მოსკოვში კრემლის ტრადიციულ ნაძვის ხეზე გაემგზავრება. კოკოითის სეპარატისტული მთავრობის ე.წ. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამინისტროს განათლების განყოფილების გამგის ელვა ჯიოევას ინფორმაციით, ბავშვები რომლებიც მოსკოვში გაემგზავრებიან, მხოლოდ ცხინვალისა და იქნებიან.

"იქნებიან სამხრეთ ოსეთის სხვა და სხვა რაიონში მცხოვრები ბავშვები მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახებიდან. ასევე სხვადასხვა კონკურსზე გამარჯვებული ბავშვები", - აცხადებს ჯიოევა.

მისი თქმით, "ბავშვები მოსკოვის თვალსაჩინოებებს დაათვალურებენ და ქვეყნის მთავარ ნაძვის ხის ზემს დაესწრებიან. ყველაფერ იმის შემდეგ, რაც ჩვენმა ბავშვებმა გადაიტანეს, მათთვის დადებითი ემოციები უზრალოდ, აუცილებელია". "ჯი-ეიჩ-ენ" - ის ცნობით, საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი მოსკოვში 23 და 28 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. თავად სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი 25 დეკემბრიდან 13 იანვრის ჩათვლით გაიმართება.

"ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე დიდი ნაძვის ხე დაიდგება. "პრეზიდენტის" ნაძვის ხეზე ცხინვალის სხვა და სხვა რაიონიდან 100 ბავშვია დაპატიმრებული", - აცხადებს ჯიოევა.

ფულადი გზავნილების მოცულობამ 72.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლის ნოემბერში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 72.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 8.3 მლნ აშშ დოლარით, ანუ 10.3 პროცენტით ნაკლებია ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების კლებამ გამოიწვია 6.0 მლნ აშშ დოლარით, ანუ 13.5 პროცენტით.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 89.5 პროცენტი იმ 8 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ნოემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 8 ქვეყანაზე მიმდინარე წლის ოქტომბერში მთელი ფულადი გზავნილების 88.6 პროცენტი მოდიოდა.

2009 წლის ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 6.1 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, ნაცვლად 6.5 მლნ აშშ დოლარისა ამავე წლის ოქტომბერში. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად გაიზარდა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად გაიზარდა.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ნიუ-იორკის ბირჟაზე Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.18 აშშ დოლარით გაიზარდა 70.60 აშშ დოლარი შეადგინა.

ლონდონის ბირჟაზე კი Brent Crude მარკის ნავთობის ფასმა 0.16 აშშ დოლარით, 72.05 აშშ დოლარამდე მოიმატა. **ინტერპრესნიუსი**

ინვესტიციების მაჩვენებლების შეცვლას მონაცემების დაზუსტებას უკავშირებენ

საქართველოში 2009 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წინა კვარტლების მონაცემების შეცვლა მხოლოდ იმ მიზეზით მოხდა, რომ მაჩვენებლები მოგვიანებით დაზუსტდა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გრიგოლ ფანცულაიამ განუცხადა.

მისი თქმით, მონაცემები, რომელიც კვარტალურად ქვეყნდება, წინასწარია, დაზუსტებული კი მთლიანად წლიური მაჩვენებლების შეჯამების დროს ხდება ცნობილი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მისი განმარტებით, ახალი ინვესტიცია დაფიქსირდა, რომლის შესახებაც ერთ-ერთ ფორმას ანგარიში მეორე კვარტალში არ ჰქონდა წარმოდგენილი და იგი მესამე კვარტლის მონაცემების დამუშავებისას იქნა წარდგენილი. მაჩვენებელთა შეცვლაც სწორედ ამიტომ მოხდა.

როგორც გრიგოლ ფანცულაია აღნიშნავს, მსგავსი რამ ჩვეულებრივ ხშირად ხდება, თუმცა, რადგან ადრე საქმე გაცილებით ნაკლებ ციფრებს შეეხებოდა, ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული მაჩვენებლების თანახმად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოში 129 841 200 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მეორე კვარტალში - 151 752 700 აშშ დოლარის.

"ინტერპრესნიუსმა" საკუთარ არქივში მოიძია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ადრე გამოქვეყნებული მაჩვენებლები, რომლის თანახმად, მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში საქართველოში 92 179 200 აშშ დოლარის ინვესტიცია იყო განხორციელებული, ხოლო პირველში - 133 897 200 აშშ დოლარი.

რაც შეეხება მიმდინარე წლის მე-3 კვარტალს, ამ პერიოდში საქართველოში 223 578 400 აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჩაიდო, რომელიც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელს 88 869 400 აშშ დოლარით აღემატება. **ინტერპრესნიუსი**

"მონიტორინგი" და "სოკარ ჯორჯია" სანავის ხარისხობრივ ანალიზს ახორციელებს

სერტიფიკაციის ორგანო "მონიტორინგი" კომპანია "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" მიერ იმპორტირებული ა-92 ბენზინისა და ლ-62 დიზელის სანავის ხარისხობრივ ანალიზსა და სერტიფიკაციას განახორციელებს.

უკვე მოხდა აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბენზინისა და დიზელის სანავის გარკვეული ოდენობის ხარისხობრივი ანალიზი, რომლის საფუძველზეც შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცა.

როგორც სერტიფიკაციის უწყებაში აცხადებენ, სანავის ეკოლოგიური მაჩვენებლები ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული და ევრო სტანდარტებს შესაბამეა.

შემომავლის შედეგად ტყვიის შემცველობა 0,0015 გ/ლ-ზე დაფიქსირდა, მოქმედი კანონმდებლობით უნდა იყოს არაუმეტეს 0,005 გ/ლ-სა; გოგირდის მასური წილი - 145 მგ/კგ, კანონით გასაზღვრულია არაუმეტეს 500 მგ/კგ; არომატული ნაერთების მოცულობითი წილი - 34 პროცენტზე დაფიქსირდა, კანონმდებლობით განსაზღვრულია არაუმეტეს 45 პროცენტისა.

"ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ფიზიკური მახასიათებელი სანავის ოქტანური რიცხვი, რომელმაც ანალიზის შედეგად 92.8 შეადგინა, ნაცვლად 91 ერთეულისა." - აღნიშნავენ "მონიტორინგში".

სერტიფიკაციის ორგანო სანავის ხარისხობრივი ანალიზის განხორციელებას მომავალშიც განაგრძობს. **ინტერპრესნიუსი**

ქართული ხილის წარმოება შემცირდა

ფერმერებს მიწის დამუშავება უჭირთ

ნინო ნატროშვილი

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძირითადად ნატურალური მეურნეობითაა წარმოდგენილი. ფერმერთა დიდი ნაწილი იმ რაოდენობაზე ცოტა მეტ პროდუქციას აწარმოებს, რაც მის ოჯახს სჭირდება. ფერმერთა 90% (1,25 ჰა-მდე მიწა) სათანადოდ არ არის ჩართული ფულად-სასაქონლო ურთიერთობებში. ამის გამო ჭირს წარმოების განვითარება, დაბალია სოფლის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი და სოფლად ბიზნესი არ ვითარდება.

შიდა ბაზარი გაჯერებულია ახალი ხილის პროდუქციით და ბაზარზე პროდუქციის მიწოდება რეალურად შეესაბამება მოთხოვნას. მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი (როგორც სოფლად, ასევე ქალაქად) ძალზე დაბალია და მისი სწრაფი ზრდა არც არის მოსალოდნელი. ასეთ ვითარებაში პროდუქციის შიდა ბაზრისათვის წარმოება არარენტაბელურია, რასაც ფერმერი კარგად ამჩნევს.

1986-1990 წლებში საქართველოში წარმოებული ხილის რაოდენობის 77% ოჯახური მეურნეობების წარმოებაზე მოდიოდა. 1990-იან წლებში, მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების დაშლის შემდეგ, ხეხილის ბაღების ფართობები კერძო საკუთრებაში და ფერმერთა მეურნეობებში გადავიდა. 2005-2006 წელს წარმოებული ხილის მოსავლის 97% ოჯახურ მეურნეობებზე მოდიოდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კი მხოლოდ 7000 ტონა ხილი იწარმოებოდა - 3%.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა ერთ დროს მონინავე, მეხილეობის დარგი მიძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა ენერგომატარებლების, პესტიციდების, მინერალური სასუქების მწვავე დეფიციტისა და მათი ფასების მკვეთრად გაზრდის გამო. ფერმერებმა ხეხილის ბაღებში ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებები ვერ განახორციელეს, რის გა-



მოც ნარგავების უმეტესი ნაწილი დაკნინდა და მათი მასობრივი გაჩეხვა დაიწყო. აღნიშნულს დამატება შიდა ქართლის ხეხილის ბაღებში სასიცოცხლო მნიშვნელობის სარწყავი წყლის სისტემის მოშლა. ეს გამოწვეული იყო სამოქალაქო მღელვარებით ცხინვალის რეგიონში, სადაც წყლით მომარაგების ძირითადი რეზერვუარი მდებარეობს.

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, მეხილეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები რეგიონების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- კოდორის ხეობა, გულრიფშის რ-ნი - თხილი (75,2 %); ვაშლი (13 %); აჭარა - თხილი (67,6 %); გურია - თხილი (83,7 %); იმერეთი - თხილი (60,3 %); კახეთი - ატამი (66,5 %); მცხეთა მთიანეთი - ქლიავი (20,4 %); ვაშლი (18,8 %); კაკალი (13,5 %); რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - ვაშლი (35,7 %); კაკალი (29,2 %); ქლიავი (12,8 %); სამეგრელო და ზემო სვანეთი - თხილი (84,6 %); სამცხე-ჯავახეთი - ვაშლი (38,8 %); ქლიავი (27,5 %); კაკალი (15,1 %); ქვემო ქართლი - ვაშლი (17,3 %); თუთა (12,2 %); თხილი (11,8 %); ხურმა (10,2 %); შიდა ქართლი - ვაშლი (73,3 %); კაკალი (9,4 %).

მიუხედავად ამისა, ყველა რეგიონსა და რაიონში საკარმიდამო ნაკვეთებზე და კერძო ფერმერულ მეურნეობებში მოწყავეთ ყველანაირი ხეხილი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ყაზბეგის რაიონი, რაც მკაცრი კლიმატური და რთული გეოგრაფიული პირობებით აიხსნება - აქ მხოლოდ მცირეოდენი ვაშლი მოჰყავთ.

მეხილეობაში ეკონომიკური კრიზისი წარმოების მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო საბჭოური სისტემის მოშლის გამო ტრადიციული სამეურნეო კავშირების განწყვეტით, პროდუქციის სარეალიზაციო სივრცის რღვევით, რის გამოც მკვეთრად შეიზღუდა ქართული ხილის რეალიზაციის არეალი. პროდუქციის 25% საექსპორტოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გადიოდა, უპირატესად რუსეთში.

სამეურნეო კავშირების რღვევით გამოწვეული კრიზისი დროებითი ხასიათისა არ იყო და მას მრავალი უარყოფითი შედეგები მოჰყვა, რამდენადაც ქართული ხილის მიერ გამოთა-

ვისუფლებული სავაჭრო ნიშა ხილის მწარმოებელმა სხვა ქვეყნებმა დაიკავეს.

საქართველოში არის სხვადასხვა ხილის მოყვანის და საკმაოდ მაღალი მოსავლის მიღების პოტენციალი და საშუალებები, მაგრამ არ არის დანერგული ცოცხალი პროდუქციის დაფასებისა და შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიები, სრული დატვირთვით არ მუშაობს ხილის გადამამუშავებელი საკონსერვო საწარმოები. ამის შედეგად ადგილობრივი ხილის დიდი რაოდენობა გამოუყენებელი რჩება, ხოლო ქვეყანაში ხილის ბაზარზე იქმნება იმპორტირებული ხილის მოთხოვნილება.

რაც შეეხება საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციას, სხვადასხვა სახის ცოცხალი ხილის სახით ყოველწლიურად მატულობს. უკანასკნელ წლებში გაზრდილია ხილის წველების ექსპორტიც და მოთხოვნილება ქართულ ნატურალურ წვენებზე სტაბილურია. ქართული წვენები ძირითადად კონსერვანტების და ყოველგვარი დანამატების გარეშე იწარმოება, რაც მათზე მოთხოვნილების ზრდას იწვევს. საქართველოში სუსტადაა განვითარებული ხილის ხანმოკლე შენახვისათვის დაკონსერვების ტექნოლოგიები, რაც ამ პროდუქციის წარმოების სიმწირესა და მისი ექსპორტის არარსებობაზე აისახება.

ტრადიციულად, ქართული ხილის უდიდესი ნაწილი ექსპორტი რუსეთის ბაზარზე მოდიოდა, ხოლო 2006 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის განვითარებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დაძაბულობამ აღნიშნული ბაზრის დაკარგვა (თუ არ ჩავთვლით ხილის ჩრდილოვანი გზით გატანას რუსეთში, ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გავლით) გამოიწვია. გარანტირებული ტრადიციული ბაზრის დაბრუნება, ახალი ბაზრების მოძიება კი სირთულეებთან არის დაკავშირებული. არსებული ვითარება პროდუქციის გასაღების სერიოზულ პრობლემას ქმნის, რაც მწარმოებლებს მომავალში უფრო მეტად შეზღუდავს.

ხეხილის ბაღების სტრუქტურა და მოსავლიანობა სახეობების მიხედვით (ჰა, ტ)

| რეგიონის დასახელება | ვაშლი | | მსხალი | | კომში | | ქლიავი | | ბალი, ალუბნო | | გარგარი | | ატამი | | ტყეხალი, ალუჩა | | კაკალი | | თხილი | | სხვადასხვა | |
|-------------------------------|---------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|--------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|----------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ | ფართობი, ჰა | მოსავალი, ტ |
| | სულ მათ შორის | 11.010 | 104.269 | 1.324 | 35.672 | 146 | 6.181 | 1.399 | 18.965 | 588 | 10.865 | 260 | 1.489 | 3.123 | 10.194 | 661 | 26.686 | 1.022 | 13.252 | 15.547 | 16.393 | 1992 |
| აჭარა | 45 | 3.583 | 19 | 3.606 | 1 | 228 | 6 | 862 | 3 | 229 | | | 2 | 444 | 7 | 1.228 | 24 | 301 | 275 | 1.942 | 18 | 606 |
| გურია | 111 | 2.520 | 152 | 3.785 | 3 | 81 | 16 | 187 | 29 | 533 | 2 | | 29 | 628 | 89 | 3.046 | 83 | 827 | 3.339 | 2.927 | 162 | 2.819 |
| იმერეთი | 130 | 9.783 | 84 | 6.863 | 7 | 2.104 | 19 | 2.205 | 34 | 2.275 | 2 | 14 | 27 | 1.364 | 91 | 13.098 | 74 | 4.447 | 1.305 | 4.099 | 265 | 4.322 |
| კახეთი | 176 | 4.905 | 37 | 2.282 | 9 | 981 | 85 | 2.703 | 20 | 1.573 | 25 | 214 | 1.824 | 2.453 | 61 | 1.809 | 101 | 2.036 | 338 | 421 | 135 | 2.877 |
| მცხეთა მთიანეთი | 186 | 3.551 | 90 | 1.710 | 28 | 468 | 203 | 2.247 | 78 | 651 | 52 | 142 | 91 | 176 | 62 | 527 | 125 | 592 | 13 | 48 | 112 | 155 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 94 | 1.128 | 17 | 896 | 3 | 57 | 26 | 438 | 6 | 285 | 1 | 5 | 6 | 163 | 4 | 685 | 57 | 1.000 | 6 | 75 | 3 | 96 |
| სამეგრელო და ზემო სვანეთი | 269 | 4.946 | 226 | 6.034 | 14 | 516 | 17 | 538 | 47 | 936 | 33 | 356 | 78 | 1.347 | 211 | 3.622 | 122 | 720 | 10.114 | 6.731 | 562 | 9.389 |
| სამცხე-ჯავახეთი | 722 | 3.196 | 73 | 647 | 17 | 60 | 371 | 838 | 89 | 433 | 6 | 5 | 6 | 37 | 13 | 112 | 181 | 628 | 2 | 8 | 41 | - |
| ქვემო ქართლი | 223 | 2.561 | 55 | 1.620 | 16 | 393 | 104 | 1.421 | 61 | 1.167 | 43 | 501 | 110 | 351 | 50 | 511 | 76 | 684 | 88 | 46 | 535 | 658 |
| შიდა ქართლი | 9.054 | 68.096 | 571 | 8.229 | 47 | 1.293 | 551 | 7.526 | 221 | 2.783 | 96 | 252 | 951 | 3.232 | 70 | 234 | 179 | 2.071 | 16 | 96 | 159 | 15 |

რუსთავში ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ავტობაზრობა იხსნება

19 დეკემბერს, 12 საათზე ქალაქ რუსთავში დაგეგმილია ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ავტობაზრობის საზეიმო გახსნა. რუსთავის ავტობაზრობა - ეს არის თანამედროვე კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედის 5 000 ერთეულ ავტომობილზე გათვალისწინებული ავტობაზრობა და 2 000 ერთეულ ავტომობილზე გათვალისწინებული საბაჟო ტერმინალი. ავტოკომპლექსი მდებარეობს თბილისიდან 1 კმ-ის დაშორებით (რამდენიმე წუთის სავალზე) სომხეთთან და აზერბაიჯანთან დამაკავშირებელ ავტომაგისტრალთან. მისი

ფართობი 250 000 კვ.მეტრს შეადგენს ავტოკომპლექსიდან 100 მეტრის დაშორებით განლაგებულია საქართველოს შსს საპატრულო დეპარტამენტი. ახალი, თანამედროვე ტიპის ავტობაზრობა, თავისი მდებარეობით და მაშტაბებით მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტის გაზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საქართველოს ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას. მომხმარებლისთვის კი ეს არის თანამედროვე და კომფორტული ავტობაზრობა, სადაც თითოეულ მოქალაქეს შე-

საძლებლობა ექნება, ავტომობილის გაყიდვისა თუ შესყიდვისათვის საჭირო ყველა პროცედურა ადგილზე, ბაზრობის ტერიტორიიდან გაუსვლელად გაიაროს. ავტობაზრობის ტერიტორიაზე განთავსებულია "ტაოპრივატბანკის" მინიგანყოფილება, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს ყველა ტიპის საბანკო მომსახურებით, ხოლო 2010 წლიდან ადგილზე, მარტივად და სწრაფად შეიძინოს სასურველი ავტომობილი "ტაოპრივატბანკის" განვადებით! უახლოეს მომავალში და-

გეგმილია ავტობაზრობის ტერიტორიაზე სწრაფი კვების ობიექტების, ავტოსამრეცხაოების, ტექნომსახურების ობიექტების, სანაწობების, საოფისე ფართების, ავტოსალონების, სასტუმროების და სხვა ობიექტების მშენებლობა. ავტობაზრობის საზეიმო გახსნაზე დაგეგმილია რეტრო ავტომობილების გამოფენა და DRIFT-SHOW, გახსნაში მონაწილეობენ ჯგუფი "მგზავრები", "33ა" და ნიაზ დიასამიძე. ავტომობილის პირველი მყიდველი საჩუქრად მიიღებს სახელობით ნომერს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბიზნესსექტორში საშუალო თვიურმა ხელფასმა 567.3 ლარი შეადგინა

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2009 წლის III კვარტალში ბიზნესსექტორში საშუალო თვიურმა ხელფასმა ბიზნესსექტორში ა 567.3 ლარი შეადგინა. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს, სანარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია: მსხვილი სანარმოები - 685.1 ლარი, საშუალო სანარმოები - 373.7 ლარი, მცირე სანარმოები - 322.1 ლარი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეროვნულ ბანკში სახაზინო ვალდებულებების ორი აუქციონი გაიმართა

ეროვნულ ბანკში დღეს სახაზინო ვალდებულებების ორი აუქციონი გაიმართა. როგორც "ინტერპრესნიუსს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების N26 აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების, 175-დღიანი ვადის ნობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა ექვსმა კომერციულმა ბანკმა მიიღო. მოთხოვნამ 28 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.330 პროცენტით, მაქსიმალური 4.450 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 4.430 პროცენტით განისაზღვრა. სახაზინო ვალდებულებების N27 აუქციონზე ასევე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა, თუმცა მათი ვადიანობა 350-დღითაა განსაზღვრული. აუქციონში 4 კომერციული ბანკი მონაწილეობდა. მოთხოვნამ 28 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 7.450 პროცენტით განისაზღვრა. **ინტერპრესნიუსი**

"მაგთიკომს" გათამაშების მონაცემები არ აეკრძალება

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთიკომს" წამახალისებელი გათამაშების მონაცემები არ აეკრძალება. ამის შესახებ გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტრომ მიიღო.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს მოადგილემ ირაკლი ლვალაძემ განუცხადა, სამინისტრომ აღნიშნული საკითხი შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ გათამაშება, რომელსაც კომპანია ატარებს, ბოლომდე არ შეესაბამება წამახალისებელი გათამაშების წესებს. კერძოდ, წახალისება უფასოდ უნდა ხდებოდეს და ამისთვის კომპანია სარგებელს არ უნდა იღებდეს.

სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კომპანიას გათამაშების ლიცენზია არ ჩამოერთმევა, თუმცა გათამაშება აუცილებლად კანონთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი.

სამინისტრო "მაგთის" წამახალისებელი ლატარიის ჩატარების კანონიერებას "საქართველოს ლატარიის კომპანიის" მოთხოვნის საფუძველზე სწავლობდა. "ლატარიის კომპანიის" წარმომადგენელთა განცხადებით, სწორედ აღნიშნული კომპანიაა ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მქონე. სხვა კომპანიებმა კი გათამაშება მხოლოდ საკუთარი პროდუქციის გაყიდვების სტიმულირების მიზნით უნდა ჩატარონ. 2009 წელს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამართული ტენდერის საფუძველზე ქვეყანაში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების 10-წლიანი ლიცენზია "საქართველოს ლატარიის კომპანიამ" მოიპოვა.

"მაგთის" წამახალისებელი გათამაშება, განრიგის მიხედვით, მისამდე უნდა გაგრძელდეს. კომპანიამ წამახალისებელი გათამაშების მონაცემების ლიცენზია ფინანსთა სამინისტროსგან მიიღო. **ინტერპრესნიუსი**

ენერჯეტიკის დარგში საგანმანათლებლო ცენტრი ჩამოყალიბდება

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ენერჯეტიკის დარგში საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბება იგეგმება. საგანმანათლებლო ცენტრი USAID-ის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და ენერჯეტიკული ორგანიზაციების ერთობლივი ძალით შეიქმნება.

ენერჯეტიკის დარგის საგანმანათლებლო ცენტრი USAID-ის "ენერჯეტიკის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის" ერთ-ერთი ინიციატივაა. უმაღლესი საგანმანათლებლო საგრანტო პროგრამით USAID დახმარებას უწევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებაში, რომლებიც საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებს პასუხობენ. საგანმანათლებლო ცენტრის მიზანი იქნება ენერჯეტიკის დარგში საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგებისა და გამოყენებითი კვლევების ჩატარება.

პროგრამის ფარგლებში აღნიშნული უნივერსიტეტები და ენერჯეტიკის სექტორში მოღვაწე ოთხი ორგანიზაცია - სემეკი, "თელასი", სახელმწიფო ელექტროსისტემა, შპს "ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" ურთიერთშეთანხმების მეშვეობით ხვალ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გააფორმებენ.

USAID-ის მიერ დაფინანსებული ენერჯეტიკის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის საერთო ბიუჯეტია 5,4 მლნ აშშ დოლარი. პროექტის მიზანია საქართველოში ენერჯეტიკული პოლიტიკის ანალიზის შესაძლებლობებისა და დიალოგის ხელშეწყობა, ასევე, უმაღლესი ენერჯეტიკული განხრის საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბება. პროექტის ფარგლებში USAID-ი აფინანსებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს ცენტრის ჩამოყალიბებაში მონაწილე ოთხ უნივერსიტეტში. **ინტერპრესნიუსი**

პოლოლიკაპვილი სამხრეთლო კომპანიებთან შეხვედრას განაგრძობს

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაპვილი სამხრეთლო კომპანიებთან შეხვედრის კვირეულის ფარგლებში, დღეს "იბერიას" და "ბაგები სითი ჯგუფის" ხელმძღვანელებს შეხვდა. როგორც პოლოლიკაპვილიმა შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, მისი მიზანია იმ ინვესტიციის მოცულობის ზუსტად განსაზღ-

ვრა, რომელიც დაწყებული მშენებლობების დასასრულებლად არის საჭირო. განიხილება ის პროექტებიც, რომელსაც თანადამფინანსებელი ესაჭიროება. მინისტრის განცხადებით, შეხვედრების შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდება ბიზნესის აღნიშნული სფეროს განვითარებისთვის საჭირო გეგმის ჩამოყალიბება. "სამხრეთლო

კომპანიებს საკმაოდ მძიმე პირობებში მოუწიათ მუშაობა, ზოგიერთი მათგანი გარეგნული ციკლი იყო. თავისთავად შეჩერებული იყო გაყიდვები, რაც მშენებლობის ტემპებზე პირდაპირ აისახება. ვფიქრობ, ეს ბარიერები უკვე დაძლეულია, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა მაინც საჭიროა," - განაცხადა პოლოლიკაპვილიმა.

მისი თქმით, შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია ასევე გამოყენებული იქნება ინვესტირებთან ურთიერთობის დროსაც. ზურაბ პოლოლიკაპვილი სამხრეთლო ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრა მიმდინარე კვირის დასაწყისში დაიწყო. იგი სულ 11 კომპანიის ხელმძღვანელს შეხვდება. **ინტერპრესნიუსი**

ქინძმარაულში სასოფლო-სამეურნეო სერვისცენტრი დაიხსნება

ყვარლის რაიონის სოფელ ქინძმარაულში სასოფლო-სამეურნეო სერვისცენტრი დაიხსნება. აღნიშნული პროექტი იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი "გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების გრანტის" ფარგლებში დაფინანსდა. სერვისცენტრის გახსნის ცერემონიას იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მასაიოში კამოჰარა, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრებიან.

ზემოხსენებული პროექტის საგრანტო კონტრაქტს 2008 წლის 30 ოქტომბერს მოწერა ხელი, იაპონიის საელჩოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია "პროგრესს" შორის. პროექტის მიზანი სერვისცენტრის დაარსებით ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებაა, რათა მათ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემები გადაჭრან. პროექტი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყოფას, ასევე ცხოველის საკვებისა და ზეთის სახდელი ერთეულების

მონაცემებს ითვალისწინებდა. პროექტით ქინძმარაულის, სანავარდოსა და კუჭატანის 6 280 მცხოვრებელი ისარგებლებს. მისი ღირებულება 85 395 აშშ დოლარია. "გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საგრანტო დახმარების პროგრამა" შედარებით მცირემასშტაბიან პროექტებს გამოეყოფა, რომელთა მიზანი საქართველოს ხელმოკლე მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებაა. მსგავსი პროექტები შეიძლება განხორციელ-

დეს ჯანდაცვის, დაწყებით და საშუალო სკოლებში, სოციალური და დარემოს დაცვის, სიღატაკის დაძლევის და სხვა სფეროებში. აღნიშნული საგრანტო პროგრამა 1998 წელს დაიწყო. დღეისათვის საქართველოში 6 334 519 აშშ დოლარის ღირებულების 93 პროექტია დაფინანსებული. სულ იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში საქართველოსთვის 356 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო. **ინტერპრესნიუსი**



**„გაერთიანებული ტელეკომის“
საახალწლო აქცია -
ინტერნეტის უფასო ინსტალაცია
ერთი თვის განმავლობაში**

„გაერთიანებული ტელეკომი“ თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის სავასურს (20\$) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი“ ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.



დაკავება თაღლითობის ბრალდებით

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა შპს "სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის დაცვისა და რეგულირების სამსახურის" ზუგდიდის სამმართველოს უფროსი თენგიზ ფონია და მთავარი სპეციალისტი გიორგი სხულუხია დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, ფონია და სხულუხია ზუგდიდის აგარულ ბაზარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეებს თავს აცნობდნენ ხარისხის ინსპექციის წარმომადგენლებად და მათ ატყუებდნენ, თითქოს გასაყიდ პროდუქციას რადიაციაზე და ნიტრატების შემცველობაზე ამონებდნენ, სანაცვლოდ კი, ფულად თანხას ითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში აფრთხილებდნენ, რომ პრობლემები შეექმნებოდათ. სამართალდამცველების ინფორმაციით, ამ გზით თენგიზ ფონია და გიორგი სხულუხია 18 748 ლარს თაღლითურად დაუფლნენ.

ჩადენილი დანაშაულისთვის თენგიზ ფონიას და გიორგი სხულუხიას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარედგინათ, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

პოლიციის ახალი შენობები ოზურგეთსა და ქუთაისში

ოზურგეთში გურიის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი შენობა გაიხსნა.

შენობის გახსნას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რეგიონალური მართვისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ტყემელაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი.

გუმინვე ქუთაისში, ორახელაშვილის ქუჩაზე, შს სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს განახლებული და ნიკვას ქუჩაზე პოლიციის განყოფილების ახალი შენობები გაიხსნა.

ახლად გახსნილი შენობები უახლესი ტექნიკით, თანამედროვე საოფისე ავეჯითა და ინვენტარითაა აღჭურვილი. შენობებში განთავსებულია კეთილმოწყობილი სამუშაო და მოსახლეობელი ოთახები. შენობები მთლიანად გამჭვირვალეა, რაც, სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოლიციის ინტეგრაციას საზოგადოებასთან. **ინტერპრესნიუსი**

მოგებული საქმე

იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის იურისტმა იამზე მემარნიშვილმა, რომელსაც სახელფასო დავალიანების ანაზღაურების პრობლემათ კონტროლის პალატის ყოფილმა თანამშრომლებმა მიმართეს, სასამართლოში მათი ინტერესების სრულად დაკმაყოფილებას მიაღწია.

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრს მოქალაქეებმა საქართველოს პარლამენტში, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში საკითხის გარკვევის წარუმატებელი მცდელობების შემდეგ მიმართეს. კონსულტანტმა იამზე მემარნიშვილმა მათ პრობლემის სასამართლოში გადაწყვეტა ურჩია და შესაბამისი დახმარება აღმოუჩინა. კონტროლის პალატისგან დათხოვილიმა მოქალაქეებმა კონსულტანტ იამზე მემარნიშვილის მიერ შედგენილი სასარჩელო განცხადება შეიტანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც მათი მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა. თუმცა, მოპასუხე მხარემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტის მიერ მომზადებული შესაგებელი სააპელაციო სასამართლოშიც შედგენიანი აღმოჩნდა. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში უცვლელად დატოვა და მოსარჩელებს 10 ათასი ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანება სრულად აუანაზღაურდათ. **ჯი-ვიჩ-ენი**

საგაფიცვო კომიტეტი კოლეგის გათავისუფლების მოთხოვნით

როგორც ადვოკატთა პროფკავშირის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი განმარტავს, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მათი კოლეგა ნათია სირაძე უკვე ერთ კვირაზე მეტია უკანონო პატიმრობაში იმყოფება მონმის ჩვენების იძულების ბრალდებით, ადვოკატთა საგაფიცვო კომიტეტი აპირებს პროტესტის ყველა ფორმას მიმართოს, რათა ნათია სირაძე უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდეს.

გარდა ამისა, ადვოკატთა პროფკავშირები აყალიბებს საკოორდინაციო ცენტრს, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით იმუშავებს. ესენია სასამართლო პრაქტიკის საერთო სურათის დახატვა, ანუ სასამართლო სისტემაში არსებული დარღვევების წარმოჩენა და დაკავებული ადვოკატების საქმეების მოძიება და განხილვა. პროფკავშირების გუშინდელ სხდომაზე ადვოკატებმა მიმდინარე წლის 20 დეკემბრის დანიშნულ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებში საკუთარი კანდიდატიც დაასახლეს. ასოციაციის ხელმძღვანელის არჩევნებში პროფკავშირის კანდიდატი ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი იქნება. **ინტერპრესნიუსი**

გალის რაიონში ორი ქართული ოჯახი დააყარეს

გალის რაიონის სოფელ მზიურში ორი ოჯახი დააყარეს. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა, შეიარაღებული პირები ზამირ საბუღუასა და ციცო ზარიას ოჯახს თავს დაესხნენ. ყარაღაბის ორი ოჯახის ქონება მთლიანად წაიღეს და ოჯახის წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მისივე თქმით, დაწყალებულები, სავარაუდოდ, აფხაზები იყვნენ. **მედიანიუსი**

სამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალურიზაციის პირველი ნაბიჯები

"იყო პერიოდი, როცა ქვეყანაში არსებული ქაოტური სიტუაციიდან გამომდინარე, დანაშაული ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხალხი ქუჩაში თავისუფლად ვერ დადიოდა, ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება უმძიმესი იყო, ამიტომაც, ხელისუფლებამ დანაშაულის მიმართ მკაცრი, ნაკლებად ლიბერალური მიდგომები დააწესა. დაიწყო ძალზე სერიოზული ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ, რამაც სერიოზული ეფექტი გამოიღო. მის შემდეგ, რაც კრიმინალური ვითარება სახელმწიფოში დალაგდა, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლიბერალიზაციაზე," - განაცხადა ცოტა ხნის წინ ვაზეთი "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოს მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ.

თამარ ქაციაძე

მთავარი პროკურორი ინტერვიუში საუბრობდა იმაზეც, რომ ხელისუფლებას სურდა შეეცვალა დამოკიდებულება არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ.

"მათ უნდა მივცეთ საშუალება მოახდინონ რესოციალიზაცია, რაშიც პროკურატურა აქტიურად არის ჩართული. არასრულწლოვანი პატიმრები პროკურატურის შეფობის ქვეშ არიან - დსაქმდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, ყველა პირობა შევუქმენით იმისთვის, რომ დაიწყონ ხელახალი ცხოვრება, შეძლონ საზოგადოების ფერხულს სრულფასოვნად აუბან ფეხი. თუ ჩვენ პატიმრების, განსაკუთრებით, არასრულწლოვნების მიმართ უნდობლობას გამოვიჩინებთ, ვაიძულებთ, დარჩნენ კრიმინალურ სამყაროში. მათ ვაძლევთ შანსს, რომ საკუთარი თავისთვის ქვეყნისთვის და ოჯახებისთვის გააკეთონ მაქსიმუმი, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია," - მურთაზ ზოდელავას ამ სიტყვებიდან თითქმის ერთ თვეში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში პროკურატურის ინიციატივით კანონპროექტი შევიდა.

"ხელისუფლებამ სამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციის გადაწყვეტილება მიიღო," - ასეთია მურთაზ ზოდელავას

ვას პირველი კომენტარი სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც პირველ ეტაპზე არასრულწლოვანებთან მიმართებაში და სასჯელთა შეკრების წესის პუშანიზაციას ითვალისწინებს.

სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის 14-დან 12 წლამდე დაწვევის გადაწყვეტილება ქართველმა კანონმდებლებმა გასული წლის მაისში მიიღეს, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მკაცრი შეფასებები მოჰყვა. ამ ხნის მანძილზე უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები, რომლითაც ისინი პასუხისმგებლობის ასაკის გაზრდას ითხოვდნენ, საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ მიიღო. წინა მოწვევის პარლამენტში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის 14-დან 12-წლამდე შემცირების საკითხის განხილვა ხელისუფლებასა და მაშინდელ ოპოზიციას შორის საკამათო ხმაურის დებატების ფონზე მიმდინარებდა. თუმცა, ხელისუფლება ამგვარ გადაწყვეტილებას მოზარდებში კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესებით ხსნიდა და საბოლოოდ, ცვლილება დამატკიცდა კიდევ.

"სტატისტიკურმა მონაცემებმა და მათმა ანალიზმა ცხადყო, რომ თავის დროზე კანონის გამკაცრებამ თავისი ფუნქცია შეასრულა და მოზარდებს შორის სისხლის სამართ-

ლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევებმა იკლო. სწორედ ამის გათვალისწინებით მიიღო მთავრობამ სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის 12-დან 14 წლამდე გაზრდის გადაწყვეტილება," - ასეთია ამჟამად მთავრობის საპარლამენტო მდივან ვია ხუროშვილის პოზიცია.

ახალი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, რომელმაც გასულ წელს 12 წლამდე დაიწია კვლავ 14 წლამდე გაიზარდება. შესაბამისად, კანონმდებლობიდან ამოღებული იქნება ის სანქციებიც, რომლებიც არეგულირებენ 14 წლამდე არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონპროექტის მიხედვით, "სისხლის სამართლის კოდექსით" გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალად იმას შეერაცხება, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე თოთხმეტი წელი არ შესრულებია, ხოლო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვანად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შესრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი. პროექტის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მას არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის, პროკურორი უფლებამოსილია, დასაბუთებული დადგენილებით, მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.

ლიბერალიზაციის მიმართულებით განსახორციელებელი სა-

კანონმდებლო ცვლილება ეხება სასჯელის შეკრებითობის პრინციპს. დღევანდელი კანონმდებლობით, თუ ყველა განაჩენი სრულად ჯამდება, ახალი კანონპროექტის თანახმად, გადანყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირს საშუალება ექნება, სასჯელის შეჯამებისას არ შეაჯამოს განაჩენთა სრული ოდენობები, არამედ, ყველაზე მძიმე განაჩენთან დაწარჩენი სასჯელის მხოლოდ ნახევარი შეაჯამოს.

"ჩვენი შეთავაზება ეხება დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა შეკრების წესის ლიბერალიზაციას. მის ფარგლებში გადაწყვეტილების მიმღებ პირს უფლება ექნება სასჯელის შეჯამებისას არ შეაჯამოს განაჩენთა სრული ოდენობა, არამედ ყველაზე მძიმე განაჩენთან მოახდინოს მხოლოდ დანარჩენი სასჯელის ნახევრის დაჯამება," - მურთაზ ზოდელავა ახალ ინიციატივას ასე განმარტავს.

სხვათა შორის, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, სასჯელის შეკრებითობის პრინციპზე დაბრუნება გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეებს უფრო მეტ თავისუფლებას მისცემს.

"დანაშაულის კლების ტენდენცია შენარჩუნებულია, რაც სასიხარულოა. ეს არის სამართალმცველი ორგანოების კარგი მუშაობის შედეგი. მიღწეული შედეგი და ბოლო წლებში გატარებული მკაცრი პოლიტიკა, იძლევა საშუალებას, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გარკვეულ ასპექტებში გავატაროთ ლიბერალური პოლიტიკა. იგულისხმება დევნის დაწყების კონტექსტში დისკრციული უფლების მიცემა პროკურორებისთვის, რაც გავრცელდება მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულზე და არა განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულზე, სადაც სიმკაცრე უნდა შენარჩუნდეს," - ამბობს ლიბერალური კანონპროექტის ინიციატორი მთავარი პროკურორი.

პოლონეთში საქართველოს საელჩოში მდირის ინფორმაციას უარყოფს რუსული მდირის ინფორმაციას უარყოფს

პოლონეთში საქართველოს საელჩო ქართველი ლტოლვილების მიერ მატარებლის გატაცების შესახებ რუსული მდირით გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

"ოფიციალური ინფორმაციით, ქართველებმა პოლონეთის ლტოლვილთა ბანაკი მიატოვეს და გერმანიაში გადასვლის მართლაც ცდილობდნენ, თუმცა მათი დაკავების მიზეზი არა მატარებლის გატაცება, არამედ ბილითების და საზღვრის გადაკვეთისთვის საჭირო დოკუმენტაციის არქონა გახდა," - ასეთია პოლონეთში საქართველოს საელჩოს მიერ გაკეთებული განცხადება.

საუბარია, პოლონეთის ქალაქ ლეგნიცის რკინიგზის სადგურზე მომხდარ ინციდენტზე, როცა 200-ზე მეტმა ლტოლვილი სამგზავრო მატარებელში უბილეთოდ ავიდა და დოკუმენტაციის გარეშე სტრასბურგში ჩასვლის გეგმავდნენ, რათა მათი თქმით, პოლონეთის ლტოლვილთა ბანაკში არსებული გაუსაძლისი პირობები გაეწიერებინათ.

პოლონური მედიის ცნობით, გერმანია-პოლონეთის საზღვარზე, ზგოჟელეცში ინციდენტი უკვე

ამონურულია. დაკავებულ ქართველებს ბრალად პოლიციისთვის დაუმორჩილებლობა და საზღვრის უკანონო გადაკვეთა ედებათ, თუმცა, მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიცემას პოლონური მხარე არ აპირებს. ლტოლვილებს ან საქართველოში დეპორტაცია ემუქრებათ ან უბილეთო მგზავრობისთვის შესაძლოა, ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა დააკისრონ.

აღსანიშნავია, რომ პოლიციამ 230 უბილეთო მგზავრის მატარებელიდან გამოყვანა გართულებების გარეშე შეძლო.

"პოლიციას ძალა არ გამოუყენებია, რადგან ლტოლვილებს შორის 60 ბავშვი იყო," - განაცხადა სასაზღვრო პოლიციის პრესმდივანმა ანა გალონმა.

გარდა საქართველოს მოქალაქეებისა, მატარებელში ჩეჩნები და ინგუშებიც იყვნენ. როგორც ორგანიზაცია "რუსეთ-ჩეჩნეთის მეგობრობის" ხელმძღვანელმა იმრან იყიევა განაცხადა, ჩეჩნეთისა და საქართველოს მოქალაქეებმა ლტოლვილთა ცენტრში დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების იმედით იცხოვეს.

"ლტოლვილები მცხოვრებ-

ლების სიიდან არ ამოგვიშლია, იმ შემთხვევაში, თუ სამართალმცველები მათ არანაირ პასუხისმგებლობას არ მისცემენ, უკან ველი," -

პოლონური მედიის ინფორმაციით, მიმდინარე წლის მაისიდან საგრძნობლად გაიზარდა პოლონეთში გადასული ქართველი ლტოლვილების რაოდენობა.

პოლონური მედიის ინფორმაციით, პოლონეთის სამედიცინო სამსახურის მონაცემებით, თავშესაფრის მოთხოვნით, სამსახურს ყოველთვიურად 100-მდე საქართველოს მოქალაქე აკითხავს. ისინი ცდილობენ ბელორუსი-პოლონეთის სასაზღვრო გადასასვლელით გავიდნენ პოლონეთში და იქიდან ევროპის სხვა ქვეყნებში.

პოლონეთის უცხოელთა საქმეების სამმართველოს უფროსის ევა პეხოტას განცხადებით, ამ დროისთვის პოლონეთში საქართველოდან შესულ ემიგრანტთა რაოდენობა გაცილებით ჭარბობს ჩეჩენ ემიგრანტებს. მისივე თქმით, მაის-აგვისტოს თვეებში პოლონეთს თავშესაფარი სთხოვა 3 ათასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ. იმ დროს, როცა ბოლო 8 წლის მანძილზე პოლონეთს თავშესაფარი სთხოვა საქართველოს

მხოლოდ 400-მა მოქალაქემ. პოლონური მხარის ინფორმაციით, ქართველ ემიგრანტთა 90 პროცენტი ქართველი არიან. ლტოლვილთა ასაკი 18-დან 65 წელს შორის მერყეობს. ევა პეხოტას ინფორმაციით, ლტოლვილთა დიდი უმეტესობის განათლების დონე დაბალია, ზოგ შემთხვევაში კი, ისინი ძალზე გაუნათლებლები არიან.

პოლონური მხარის სტატისტიკით, ყოველდღიურად პოლონეთი-ბელორუსის საზღვარზე - ნადბუჟანსკის განყოფილებაში, სადაც 5 სასაზღვრო გადასასვლელია, საზღვარს კვეთავს 25-30 ათასი ადამიანი. პოლონეთის მხარის განცხადებით, მას სასაზღვრო გადასასვლელით, ძირითადად, რუსეთის, ბელორუსისა და უკრაინის მოქალაქეები სარგებლობენ. ამავე სტატისტიკით, მესაზღვრეები ყოველდღიურად 10-დან 100 ათას უცხოელს უარს უხებებიან საზღვრის გადაკვეთაზე.

ევროპული კანონმდებლობით, ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრებ პირებს არ აქვთ უფლება შენგენში ზონაში შემავალ სხვა ქვეყნებში გადავიდნენ, თუ მათ შესაბამისი დოკუმენტაცია არ გააჩნიათ.

საკუთარი ინფორმაცია

ობამა ირანზე ზემოქმედების დამატებით ბარაკობას მიიღებს

მარიკა იახვილი



შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა კანონ-პროექტს, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს საშუალებას მისცემს, ბირთვული პროგრამის შეფერხების მიზნით ირანზე დამატებითი ზეწოლა განახორციელოს.

დოკუმენტი, რომელმაც ძალაში შესვლამდე სენატის მხარდაჭერაც უნდა მოიპოვოს, გულისხმობს ამერიკის პრეზიდენტისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭებას, რომლის ძალითაც შეძლებს, ამერიკის ტერიტორიაზე საქმიანობა აუკრძალოს იმ კომპანიებს, რომლებიც ან თვითონ ანარმოებენ ირანისთვის საავტომობილო საწვავს, ან ეხმარებიან ირანს მის წარმოებაში.

ირანი, რომელსაც მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარაგი აქვს, საწვავის წარმოებისთვის აუცილებელი ტექნიკის სიმცირეს განიცდის და ქვეყნისთვის საჭირო ბენზინის 40 პროცენტის იმპორტს ახორციელებს.

წარმომადგენელთა პალატაში ობამასთვის უფლებამოსილების გასაზრდელად კენჭისყრის დასრულების შემდეგ სპიკერმა ნენსი პელოსიმ განაცხადა, რომ ამერიკულ კანონმდებელთა გადაწყვეტილება ირანისთვის მრავლისმთქმელი გზავნილი უნდა იყოს, რომელიც გულისხმობს, რომ გაშინგტონი ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა ირანის მიერ ბირთვული იარაღის წარმოება არ დაუშვას.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, პარლამენტის ქვედა პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სენატიც დაუჭერს მხარს, თუმცა როდის გავა საკითხი კენჭისყრაზე, ჯერჯერობით უცნობია.

კანონპროექტი შეეხება არა მხოლოდ კომპანიებს, რომლებიც ირანისთვის საწვავის მიწოდებას ახორციელებენ, არამედ იმ სადაზღვევო კომპანიებსაც, რომლებიც გადამზიდ ტანკერებს აზღვევენ.

გადაწყვეტილების მიზნადმდევები აცხადებენ, რომ საწვავის მიწოდებაზე აკრძალვის დაწესება ირანში საწვავის უკმარისობას გამოიწვევს, რასაც ფასების მატება

მოჰყვება, ეს ყველაფერი კი ქვეყანაში ანტიამერიკულ განწყობას გაზრდის. მით უფრო, რომ აშშ-მდინეჯადის არაერთი განცხადების თანახმად, მისი ქვეყნის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწესება შედეგს არ მოიტანს.

2009 წლის ბოლოს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ განაცხადა, რომ ირანი მალაგდა ინფორმაციას ობიექტების შესახებ, სადაც ურანის გამდიდრება მიმდინარეობს. პასუხად კი ირანელებმა კიდევ 10 ასეთი ობიექტის აშენების პირობა დადეს და განაცხადეს, რომ მათი მიზანი წლის განმავლობაში 300 ტონა ბირთვული საწვავის წარმოებაა.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს რეზოლუციას, რომელიც ირანის მიერ ობიექტების არსებობის დამაღვას გამოხატავს, მოსკოვამ დაუჭირა მხარი, რაზეც აშშ-მდინეჯადმა განაცხადა, რომ მოსკოვმა "შეცდომა დაუშვა."

თეირანი მის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაზე დასავლეთის ბრალდებას უარყოფს და ამტკიცებს, რომ ატომური ენერჯია ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად სჭირდება.

თუმცა ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ოფიციალურმა თეირანმა მოქმედების საშუალო რადიუსის მქონე ახალი რაკეტა გამოსცადა. წარმატებული გამოცდის შესახებ განცხადება ქვეყნის სახელმწიფო ტელევიზიამ გააკეთა.

რაკეტა "საჯიდ-2" თავის წინამორბედზე უფრო შორეული მოქმედების არის და სამიზნის განადგურება

რება 2 ათასი კილომეტრის მანძილზე შეუძლია. ეს კი ნიშნავს, რომ მისი მოქმედების ზონაში ისრაელი და სპარსეთის ყურეში მდებარე ამერიკული სამხედრო ბაზები ხვდება.

ანალიტიკოსთა განცხადებით, ეს ირანის მიერ მსგავსი რაკეტის გამოცდის პირველი შემთხვევა არ არის, თუმცა ამას დასავლეთი, სავარაუდოდ, პროვოკაციად შეაფასებს და კრიტიკის ტალღა მოჰყვება.

ამავე დროს ირანის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკით მხოლოდ დასავლეთი არ არის უკმაყოფილო. რიგითი ირანელები სულ უფრო ხშირად გამოხატავენ პროტესტს არსებული რეჟიმის მიმართ, თუმცა ასეთი გამოსვლები ძირითად შემთხვევაში პოლიციასთან შეტაკებითა და მათი დაპატიმრებით სრულდება.

ბოლო გახმაურებული შემთხვევა იყო რამდენიმე სტუდენტის დაკავება, რომლებიც პოლიციამ ისლამისტური რესპუბლიკის დამარსებულ აიათოლა ჰომეინის ხსოვნის შეურაცხყოფისთვის დააპატიმრა.

ასეთი ქმედებები ხელისუფლებამ ქვეყნის სულიერ ლიდერ აიათოლა ალი ჰამენეის მოთხოვნების საპასუხოდ განახორციელა, რომელიც "პროვოკაციული და შეურაცხმყოფელი ქმედების" ჩამდგენების "გამოვლენისა და დასჯის" მოწოდებით გამოვიდა.

გასულ კვირას ჩატარებული სტუდენტური მანიფესტაციის მონაწილეებმა ფეხით გათელეს და დაწვეს აიათოლა ჰომეინის პროტრეტები. დაკავებულთა რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

ამ ინიციატივას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია, რომელიც აცხადებს, რომ "ღირსების მკვლელობებში" განსაკუთრებული არაფერია და თუკი ქვეყნის ხელისუფლება ამ მკვლელობების ჩამდგენთა მიმართ მართლაც მკაცრ ზომებს გაატარებს, ეს იქნება ისლამური სამყაროს გადასვლა ევროპულ ორიენტაციაზე.

როგორც The Telegraph-ი წერს, იორდანის დედოფლის რანიას ინიციატივებში თავისუფლების პროგრესული და მნიშვნელოვანი სიმბოლოები იკვეთება. ამავე ინფორმაციით, დედოფლის მეუღლე, ევროპელებისგან თითქმის არ გამოორჩევა და ინგლისურადაც უკეთესად საუბრობს, ვიდრე არაბულად.

არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, "მკვლელობები ღირსების დასაცავად" ევროპის ქვეყნებშიც გახშირდა. ბოლო პერიოდში ასეთი მკვლელობი ინგლისისთვის განსაკუთრებული პრობლემა გახდა.

როგორც The Telegraph-ი წერს, იორდანის დედოფლის რანიას ინიციატივებში თავისუფლების პროგრესული და მნიშვნელოვანი სიმბოლოები იკვეთება. ამავე ინფორმაციით, დედოფლის მეუღლე, ევროპელებისგან თითქმის არ გამოორჩევა და ინგლისურადაც უკეთესად საუბრობს, ვიდრე არაბულად.

არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, "მკვლელობები ღირსების დასაცავად" ევროპის ქვეყნებშიც გახშირდა. ბოლო პერიოდში ასეთი მკვლელობი ინგლისისთვის განსაკუთრებული პრობლემა გახდა.

როგორც The Telegraph-ი წერს, იორდანის დედოფლის რანიას ინიციატივებში თავისუფლების პროგრესული და მნიშვნელოვანი სიმბოლოები იკვეთება. ამავე ინფორმაციით, დედოფლის მეუღლე, ევროპელებისგან თითქმის არ გამოორჩევა და ინგლისურადაც უკეთესად საუბრობს, ვიდრე არაბულად.

არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, "მკვლელობები ღირსების დასაცავად" ევროპის ქვეყნებშიც გახშირდა. ბოლო პერიოდში ასეთი მკვლელობი ინგლისისთვის განსაკუთრებული პრობლემა გახდა.

როგორც The Telegraph-ი წერს, იორდანის დედოფლის რანიას ინიციატივებში თავისუფლების პროგრესული და მნიშვნელოვანი სიმბოლოები იკვეთება. ამავე ინფორმაციით, დედოფლის მეუღლე, ევროპელებისგან თითქმის არ გამოორჩევა და ინგლისურადაც უკეთესად საუბრობს, ვიდრე არაბულად.

არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, "მკვლელობები ღირსების დასაცავად" ევროპის ქვეყნებშიც გახშირდა. ბოლო პერიოდში ასეთი მკვლელობი ინგლისისთვის განსაკუთრებული პრობლემა გახდა.

როგორც The Telegraph-ი წერს, იორდანის დედოფლის რანიას ინიციატივებში თავისუფლების პროგრესული და მნიშვნელოვანი სიმბოლოები იკვეთება. ამავე ინფორმაციით, დედოფლის მეუღლე, ევროპელებისგან თითქმის არ გამოორჩევა და ინგლისურადაც უკეთესად საუბრობს, ვიდრე არაბულად.

არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, "მკვლელობები ღირსების დასაცავად" ევროპის ქვეყნებშიც გახშირდა. ბოლო პერიოდში ასეთი მკვლელობი ინგლისისთვის განსაკუთრებული პრობლემა გახდა.

მკვლელობები ღირსების დასაცავად

იორდანის დედოფალი ინიციატივით გამოდის, მკაცრი ზომები გატარდეს და შედარებით მკაცრი სასჯელით დაისაჯონ ის ადამიანები, ვინც "ღირსების დასაცავად" ჩადენილ მკვლელობებში მონაწილეობენ. "მან ოჯახის ღირსება შეარცხვინა," - ამ მოტივით ჩადენილ მკვლელობათა რიცხვი იორდანიაში ყოველდღიურად მატულობს და მკვლელი და მოკლული ოჯახის წევრები ან ნათესავები არიან.

როგორც უცხოური პრესა წერს, იორდანის დედოფალი შემოთავაზებულია ეგრეთ წოდებული ღირსების დაცვის მოტივით ჩადენილ მკვლელობათა კატასტროფული ზრდით და მგავსი დანაშაულის აღსაკვეთად შესაბამისი ზომების გატარებას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ ასეთი დანაშაულის ჩამდგენები მხოლოდ სამწლიანი პატიმრობით ისჯებიან. იორდანის ხელისუფლება გეგმავს, ასეთი დანაშაულის ჩამდგენისთვის სასჯელის ზომა ხუთი წლით გან-



იორდანის დედოფალი ინიციატივით გამოდის

საზღვროს. "ხშირად ხდება მკვლელობები, რომლებსაც თითქოს, უბრალო,

მარტივი მოტივი აქვს. თუმცა შემდეგ ირკვევა, რომ ადამიანი სიცოცხლეს მიზანმიმართულად გა-

ესტონეთში მშობელთა კავშირის ბენარალური მდივანი პედოფილიისთვის გაასამართლეს

ესტონეთის სასამართლომ სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ ყველაზე სკანდალურ დანაშაულზე განაჩენი გამოიტანა. ბრალდებულს 40 წლის კაურ ჰანსონი აღმოჩნდა, რომელსაც მშობელთა კავშირის გენერალური მდივნის თანამდებობა ეკავა. გაზეთ Postimees-ს ინფორ-

მაციით, ხარიუსკის სასამართლომ ჰანსონს პედოფილიის ბრალდებით, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მშობელთა კავშირი, სადაც ჰანსონი მუშაობდა, არასრულწლოვანთა ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია გახლავთ. გარდა ამისა, ბრალდებული ესტო-

ნეთში მოქმედი პარტიის Res Publica-ს პოლიტიკური მდივანიც გახლდათ. ბრალის წაყენებისთანავე ჰანსონი პარტიიდან გარიცხეს. პროკურორი ანდრა სილდი ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის მაქსიმალურ ვადას 15-წლიანი პატიმრობას ითხოვდა, მაგ-

რამ სასამართლომ დაკავებულის მხრიდან ჩადენილი დანაშაულის აღიარება და სინანული გაითვალისწინა და შედარებით ნაკლები 10-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

პატიმრობის ვადის ათვლა მიმდინარე წლის 11 მარტიდან, ჰანსონის დაკავების დღიდან დაიწყო. თა-

ვისუფლების აღკვეთის გარდა, მას, ჯარიმის სახით, 10 ათას 875 კრონის გადახდა მოუწევს, რაც ერთი ათას დოლარზე ცოტა მეტია. ჰანსონი ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 141 და 142-ე მუხლით გაასამართლეს, რაც არასრულწლოვნის გაუპატიურებას გულისხმობს.

კოპენჰაგენის ბართულაბული სამიტი

თამაზა კახაძე



ორგანიზაცია "The Climate Justice Action"-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოთხშაბათის აქცია შეიძლება "მასობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობადაც" შეფასდეს. აქტივისტების თქმით, 15 000 დელეგატი შეხვედრაზე არ დაუშვეს - აკრედიტაციაზე

უარი უთხრეს ან მოთხოვნაზე პასუხი დიდი ხნით დაუყოვნეს. სამიტზე მოლაპარაკებები 15 დეკემბერს უფრო მაღალ დონეზე გადავიდა, თუმცა 193 ქვეყნის დელეგატმა ძირითად საკითხებზე შეთანხმება ვერ მოახერხა. ხუთშაბათს სამიტის მუშაო-

ბაში 120-ზე მეტი სახელმწიფოს მეთაური ჩაერთო. ისინი იმედოვნებენ, რომ პარასკევს გარკვეული შეთანხმების მიღწევას შეძლებენ. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე რამდენიმე დღე დარჩა, თუმცა ჯერ კი-

დეგ მრავალი საკითხი გადაუჭრელია. მათ შორის უმთავრესია:

- განვითარებული ქვეყნების მიერ გამოწვეული ჰაერის ზუსტი ზღვარი.

- დაფინანსების ზუსტი მოცულობა და წყაროები.

- რამდენით შეიძლება დაუშვან პლანეტაზე საშუალო ტემპერატურის მატება -ორი თუ ერთნახევარი გრადუსით (ცელსიუსის შკალით).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეთრი სახლის პრემიერმა რობერტ გიბსის თქმით, ქვეყნის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება. ამასთან, მან აღიარა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

თვითონ სამიტზე, ამერიკის წარმომადგენლის სიტყვებით, ვაშინგტონისგან არ არის მოსალოდნელი განდევნილება იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები კიდევ უფრო შეამცირებს მათი გამოწვევებს.

განვითარებადი სახელმწიფოების ლიდერებმა ორშაბათს შეხვედრა დატოვეს და მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდნენ, რაც მათი მთავარი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მათ პირობა მისცეს, რომ კოტოს პროტოკოლის მოქმედების ვადის გახანგრძლივების შესახებ ცალკე მოლაპარაკებების გამართვის საშუალება იქნება.

აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობს სანქციების დაწესებას მდიდარ სახელმწიფოებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ ატმოსფეროში გამოშვებული მათი ნარჩენები დადგენილ ზღვარს გადააჭარბებს. იგივე მოთხოვნები ღარიბ ქვეყნებზე არ ვრცელდება.

შუა აზიის ავღანიზაცია

ბარაკ ობამას გადამწყვეტილებამ ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის გაზრდის შესახებ, ცხარე დებატები გამოიწვია. კაბათის დროს თითქმის არავინ ლაპარაკობს ფარულ დანაკარგზე, რომელსაც ეს ფაქტი ავღანეთის მეზობელ შუა-აზიურ ქვეყნებს მოუტანს.

დღეს ამერიკელი მაღალჩინოსნები მიიჩნევენ, რომ შუა აზია ავღანეთის ოპერაციის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა მინოდების ე.წ. ჩრდილოეთის ქსელი შექმნეს -ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან გააფორმეს მთელი რიგი კომერციული შეთანხმებები, რომლებიც მათი ტერიტორიის გავლით ავღანეთში დისლოცირებული ამერიკული ძალებისთვის საჭირო ტვირთის გადაზიდვას ითვალისწინებს. მას შემდეგ, რაც 2008 წლის ზაფხულში პაკისტანიდან ამერიკული ტვირთის მინოდების ჩაშლაში ბოევიკებმა მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწიეს, ამ ქსელის შექმნას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი ეწოდა.

მომარაგების ჩრდილოეთის ქსელი ჩაიფორმა და შექმნა ამერიკელმა სარდალმა, გენერალმა დევიდ პეტრუსმა. მისი ძირითადი იდეა ის არის, რომ ეკონომიკური დახმარების გამოყოფა შუა-აზიური ქვეყნების მთავრობებს ავღანეთის კოალი-

ციურ კამპანიაში მონაწილეობის ინტერესს აღუძრავს. ჩრდილოეთ ქსელის მომხრეები იმასაც ამტკიცებენ, რომ ის შუა აზიის სახელმწიფოების რთულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოსწორებასაც შეუწყობს ხელს და რეგიონის შორეული და ღარიბი ნაწილის ეკონომიკურ მდგომარეობასაც გააუმჯობესებს, რადგან მათ ტრანსნაციონალურ სავაჭრო გზებთან დაკავშირებს.

აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს ავღანეთისთვის განკუთვნილი ყველა-ნაირი ტვირთის 30 პროცენტი ჩრდილოეთის ქსელის მეშვეობით უკვე გადააქვს და ამერიკელებს იმედი აქვთ, რომ წელიწადში ათობით ათასი კონტინერის გადატანას შეძლებენ. სამხედრო კონტინგენტის გაზრდის შემდეგ ჩრდილოეთის ქსელი ამერიკისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

თუმცა როდესაც ამერიკელი სტრატეგები შუა აზიას აღიქვამენ როგორც ავღანეთის "ლოგისტიკურ" დანამატს, ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს არ აქცევენ ყურადღებას. მთლიანად ვაშინგტონს და უფრო კონტრეტულად პენტაგონს არ შეუძლიათ გრძელვადიანი პროგრამის ჩამოყალიბება, რომელიც რეგიონის თითოეული ქვეყნის შიდა პრობლემებს გაითვალისწინებდა და ნაწილობრივ მაინც მოაგვარებდა. რაც

კიდევ უფრო უარესია, ამერიკელი სტრატეგები შეიძლება უნებურად, მაგრამ მაინც ახორციელებენ ავღანეთში არსებული მართვისა და უსაფრთხოების კრიზისის მის მიზნულ ქვეყნებში ექსპორტს. ჯერ ერთი, ჩრდილოეთის ქსელის მარშრუტები შუა აზიაში შესაძლოა, თალიბებთან დაკავშირებულ ბოევიკთა პოტენციურ სამიზნედ იქცეს. სექტემბერში თალიბებმა კუნდუზთან ახლოს სანავის ორი ცისტერნა გაიხადეს, რომლებიც ავღანეთში ტაჯიკეთიდან იყო შეტანილი. გერმანულმა სამხედროებმა საჰაერო დარტყმა მოითხოვეს, ოპერაციის შედეგად კი 100-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, რაც ამერიკისთვის და საერთაშორისო ძალებისთვის ნამდვილ პიარ-კომპარად იქცა.

დღეს ბოევიკები ავღანეთის ჩრდილოეთ რაიონების დესტაბილიზაციას ცდილობენ, რომლებიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უსაფრთხო ზონად იყო მიჩნეული. არსებობს საფრთხე, რომ ავღანეთში არსებული კონფლიქტი გაფართოვდეს და თურქმენეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის მოსაზღვრე რეაონებში მოიცვას.

მეორეც, ჩრდილოეთის ქსელის გამო ალბათ კიდევ უფრო შემცირდება ამერიკული კრიტიკა, რომელიც შუა აზიის ქვეყნებში ადამიანის უფლებებსა და დემოკრატია-

თან მიმართებაში სიტუაციის გაუარესებას ეხება. მაგალითად, მიმდინარე წლის ივლისში ამერიკა ერთხელ უკვე გაჩუმდა ყირგიზეთში ჩატარებული არცთუ უნაკლო არჩევნების შემთხვევაში, რადგან ვაშინგტონს ქვეყნის მთავრობასთან ხელსაყრელი სამუშაო ურთიერთობების შენარჩუნება სჭირდებოდა, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მანასის ავიაბაზაზე მდებარე სატრანზიტო ცენტრი ამერიკისთვის კვლავ ხელმისაწვდომი ყოფილიყო. უფრო მეტიც, დღეს შუა აზიურ რეჟიმებს აქვთ საშუალება, აქცენტი გააკეთონ და გაბუქონ კიდევ საფრთხე, რომელიც ჩრდილოეთის ქსელს ემუქრება. ამით ისინი შეძლებენ, ამერიკისგან დამატებითი თანამშრომლობისა და სამხედრო დახმარების გარანტიები მიიღონ.

დაბოლოს, მაშინ, როდესაც აშშ-ს სხვადასხვა ფედერალური სააგენტოები ავღანეთში თავიანთ ანტი-კორუფციულ მუშაობას აძლიერებენ, ჩრდილოეთის ქსელი ქმნის საფრთხეს, რომ თავისი ხელშეკრულებების რეგლამენტის წყალობით შუა აზიაში კორუფცია გააძლიეროს. ჩრდილოეთის ქსელის გაფართოვებამ შესაძლოა, შუა აზიაში გამოიწვიოს "ყარზაის პრობლემის" შექმნა. ანუ ცენტრალურ აზიაში გამოვლინდეს პრეცედენტი, როდესაც ამერიკა მხარს უჭერს ისეთ ლიდ-

რებს, რომელსაც თავად ხალხი კორუმპირებულად და არალეგიტიმურად მიიჩნევს. აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა შეთანხმებების გაფორმების სტანდარტულ რეგლამენტზე უარი იმტოვო შექვეს, რომ ამ შეთანხმებაში რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი შუა აზიური ფირმა ჩაერთო.

თუმცა "ადგილობრივი კონტრაქტი" რეალურად ნიშნავს ასობით მილიონი დოლარის ჩადებას სხვადასხვა ბიზნესში, რომლებიც ან უშუალოდ ეკუთვნის რეგიონალურ ელიტას ან ის აკონტროლებს.

ზოგიერთი ამერიკელი მაღალჩინოსანი აღიარებს პოტენციურ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება ჩრდილოეთის ქსელმა შექმნას, თუმცა ამტკიცებს, რომ ავღანეთში მყოფი სამხედრო ძალებისთვის საჭირო ტვირთის გადაზიდვა უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის და შუა აზიის მართვის მეთოდების პრობლემების გამო მღელვარება. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის გაზრდის უარყოფითი შედეგები ჯეროვნად უნდა შეფასდეს და პრეზიდენტ ობამას ახალი ავღანური სტრატეგიის განხორციელების გამო მზარდი ხარჯების სიაში უნდა შეიტანონ.

"ურაზიანეტ"-ის (EurasiaNet) მიხედვით მოამზადა მარიკა იაშვილმა

რასმუსენის მისია მოსკოვში

პირველი გვარდიანა

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან შეხვედრისას რუსეთის შესთავაზა ვერტმფრენების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც ავღანეთის ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობას, ასევე ავღანეთის სამხედრო კადრების განვრთნა და მათ

თი მომარაგება სანავითა და ტექნიკით.

"დღეს მე რუსეთს შევთავაზე, ჩაერთოს ავღანეთში სიტუაციის დაარეგულრების პროცესში და წარვუდგინე გეგმა, თუ როგორ შეუძლია რუსეთს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში".

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს განცხადე-

ბით, რომელიც ასევე მონაწილეობდა მოლაპარაკებების პროცესში, მედვედევმა გასცა ბრძანება, განეხილათ "კონკრეტული ნინადადებები", რომლებიც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა წარმოადგინა. თუმცა, ჯერ რუსეთს რასმუსენისთვის არანაირი დაპირება არ მიუცია. "ჩვენ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ ჩვენი იდეები აღიანსმაც გაით-

ვალისწინოს," - დაამატა ლავროვმა. ამასთან, რუსი მინისტრის თქმით, რასმუსენმა მათ შესთავაზა, მონაწილეობა მიიღონ ავღანეთის პოლიციის განვრთნის პროცესში. "ამ დღეებში დომოდედოვოში მინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრში გამართულ კურსებში 21 ავღანელი ნარკოპოლიციელი მონაწილეობს," - განაცხადა ლავროვმა. 2010 წელს

რუსეთი ამ ბაზაზე 220 ავღანელი პოლიციელის განვრთნას აპირებს.

რასმუსენი ფედერაციის საბჭოში მისვლასაც გეგმავს, სადაც რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის ხელმძღვანელ სერგეი მირონოვთან გამართავს მოლაპარაკებებს. ვიზიტის ბოლოს დაგეგმილია შეხვედრა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინთან.

რევიუ

"ავატარი" მსოფლიო ეკრანზე

ჯეიმს კამერონის ფილმი თბილისში ორი კვირის დაგვიანებით გამოვა

ი ა ვ ა პ ა

ზუსტად 12 წელს გავიდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბზე ერთ-ერთი ყველაზე ეპიკური, მასშტაბური და ტრეკიკული ისტორიაზე დაფუძნებული ფილმი "ტიტანიკი" იხილა. 1997 წელი სწორედ ამ ფილმის წლად იქცა, მისი რეჟისორი ჯეიმს კამერონი კი "კინო სამყაროს ხელმძღვანელი" აღიარეს. მაშინ ყველა ფიქრობდა, რომ ასეთი მძლავრი ტრამპლინის შემდეგ რეჟისორი მალევე შექმნიდა ახალ ნარმოვდგენელ სანახაობას, თუმცა მათ გასაკვირვებულად, კამერონმა დოკუმენტური კინოში გადაინაცვლა და "ტიტანიკის" დაღუპვის დეტალების კვლევა ახლა უკვე ოკეანის ფსკერზე განაგრძო. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ნებაცხოვრებით მეტად იძულებითი შევტულება იყო - ჯეიმს კამერონი ახალი აფეთქებისთვის ემზადებოდა, რომელიც მსოფლიოს სწორედ დღევანდელ დეკემბრიდან შეახანზარებს - ეკრანებზე მისი "ავატარი" გამოდის.

17 December 2009 (Georgia) - სწორედ ასეა მითითებული imdb.com-ის პრემიერების განყოფილებაში, რაც ალბათ ბევრმა ქართველმა კინომანმა უკვე არა ერთხელ ნახა. თუმცა მათ იმედი უნდა გაეფუტრეთ - "ავატარი" ქართულ ეკრანზე სულ მცირე ორი კვირის დაგვიანებით გამოვა. მიზეზი დისტრიბუციასთან დაკავშირებული პრობლემები და 3D პროექტორის არქონაა. ალბათ ჯობდა, ამ საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა კინოთეატრებს ცოტა ადრე დაეწყეთ და მასწავლებლისთვის კარგი საახალწლო კინოსაჩუქარი გაეკეთებინათ.

"ავატარის" გამოსვლის თარიღად 2009 წელია მოხსენიებული, თუმცა მას გაცილებით დიდი ისტორია აქვს. ჯეიმს კამერონმა სცენარი სამუშაო სახელწოდებით "პროექტი 880" ჯერ კიდევ 1995 წელს დაწერა. მას არ დაუშავს, რომ სცენარზე მუშაობი-



სას ბავშვობაში სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟურნალებიდან ამოკითხული სტატიებითაც ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, შთაგონებისთვის ედგარ ბეროუზის "ჯო კარტერი - ადამიანი მარსიდან" და პოლ ანდერსონის "ჯო დამიძახეთ" გამოიყენა. სცენარი მზად იყო, თუმცა ფილმის ნარმოებაში ჩაშვება ერთი პრობლემის გამო ვერ მოხერხდა - იმ დროს არ არსებობდა კამერონის მიერ გონებიდან ფურცელზე გადატანილი სამყაროს შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიები. ამიტომ "პროექტი 880" დროებით თაროზე შემოდო და მთელი არსებით "ტიტანიკთან" ერთად ოკეანეში გადაეშვა.

პირველად "ავატარის" გადაღებაზე სერიოზული საუბარი ჯეიმს კამერონმა 2006 წელს დაიწყო. მაშინვე გამოაცხადა მსახიობთა კასტინგიც, თუმცა ეს ყველაფერი იმდენად გასაიდუმლოებული ვითარებაში ხდებოდა, თითქოს ყველას ვინც ახალ პროექტზე რამეს შეიტყო, გაზის კამერაში ისტუმრებდნენ. თუმცა დროთა განმავლობაში მცირედი ფაქტები მაინც ხდებოდა ცნობილი - მაგალითად ის, რომ ფილმი აუცილებლად ფანტასტიკური ფანრის იქნებოდა, მოქმედება გამოგონილ პლანეტაზე ხდებოდა, ამ პლანეტას პანდორა ერქვა და რომ ფილმის ნახევარზე მეტი კომპიუტერული გრაფიკით იქნე-

ბოდა შექმნილი. ახლა, როცა "ავატარი" კრიტიკოსების ნაწილმა უკვე ნახა, მის ყველაზე დიდ ნაკლად სიუჟეტის სიმარტივეს ასახელებენ: ყოფილი სამხედრო ჯეიკ სალი, რომელიც ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული, იღებს ბრძანებას დედამიწიდან რამდენიმე სინათლის წელიწადით დაშორებულ პლანეტაზე პანდორაზე განთავსებულ ბაზაზე გაემგზავროს. პანდორა ადამიანების მიერ დიდი ხანია ოკუპირებულია, მის ნიადაგში დედამიწისთვის საჭირო ნივთიერება მოიპოვება, რასაც ჩვენი პლანეტის ენერგეტიკული კრიზისიდან გამოყვანა შეუძლია. იმის გამო, რომ პალენტა ტოქსიკურია და ადამიანებისთვის საზიანო, შექმნილია პროგრამა "ავატარი", ბიოლოგიური სხეული, რომელსაც ადამიანის გონება უერთდება და მას პლანეტაზე უფერულად გადაადგილების საშუალებას აძლევს. ავატარები ადამიანისა და პანდორას აბორიგენი მოსახლეობის, ნა'ვისების (Na'vi), დნმ-ების კომბინაციით მიღებული ჰიბრიდებია, მათი სიმალე დაახლოებით სამი მეტრია, სხეული ლურჯი შეფერილობისაა და გრძელი კუდის მაგვარი ნარმონაქმი აქვთ.

ჯეიკს საკუთარი ავატარი ჰყავს, რაც მას სიარულის საშუალებას აძლევს, მისი მთავარი მისია კი დედამიწელების წინააღმ-

დეგ ამხედრებულ ნა'ვებთან კონტაქტში შესვლა და მათი განადგურებაა. მისიის შესასრულებლად გამგზავრებული ჯეიკს ადგილობრივ გოგონა ნა'ვის შეხედება, რომელიც შეუყვარდება და საბოლოოდ ისე მოხდება, რომ აბორიგენების მხარეს გადავა, რასაც მისი ადამიანებთან დაპირისპირებაც მოჰყვება.

თუმცა სიუჟეტზე მეტად, აქ მთავარი თავად ფილმი, მისი ვიზუალური მხარე და ზოგადი გარემოა. ჯეიმს კამერონმა ამდენი წელი ტყუილად არ დაკარგა: მეცნიერებთან ერთად შექმნა ნა'ვისების არა მხოლოდ ისტორია და კულტურა, არამედ ენა, დამწერლობა, განსაკუთრებული ფლორა, ფაუნა, პლანეტის ლანდშაფტი. ასევე შეიქმნა სპეციალური ტექნოლოგია, რომელიც უკვე არსებული 3D motion-capture-ს რამდენჯერმე გაუმჯობესებულ ვერსიას ნარმოვდგენს.

თავდაპირველად ჯეიკ სალის როლი კამერონი საყვარელ მსახიობს მაიკლ ბინს უნდა ეთამაშა ("ტერმინატორი", "უცხოები", "ღრმა უფსკრული"), თუმცა როგორც კი ერთ-ერთ როლზე სიგურნი უიფერის თანხმობა მიიღო, ბინის ადგილი მაშინვე ახალმა ვარსკვლავმა სემ უორტინგტონმა დაიკავა, რადგან არ სურდა მას უფრო მეტი "ავატარი" "უცხოებთან" გაეგიჟებინა. უორტინგტონმა უკვე მოასწრო მეოთხე "ტერმინატორში" თამაში და სხვათა შორის, გარეგნულად ძალიან ჰგავს არნოლდ შვარცნეგერს (თუმცა გაცილებით სიმპატიურია). თავად უიფერი კი იმ მეცნიერს თამაშობს, რომელსაც ჯეიკისთვის ახალ სამყაროს გაცნობა ევალება.

და ბოლოს, როგორ ჯეიმს კამერონმა განაცხადა, იმ შეთხვევაში, თუ ფილმი ნარმატებული იქნება, იგი მის ორ სიკვლზე დაიწყებს მუშაობას და ტრილოგიად აქცევს. "ავატარი" კი ვალდებულაა ნარმატებული იყოს, რადგან მას მასშტაბური 12 წელი ელოდა...

მუხრან მაჭავარიანი - 80

დღეს, 17 დეკემბერს (18 სთ.), რუსთაველის თეატრში კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით იმართება ქართველი პოეტის, მუხრან მაჭავარიანის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. საღამოზე ნარმოვდგენენ ლიტერატურულ სპექტაკლს და მუსიკალურ ნომრებს ქართველი მუსიკოსების - "ქართული ხმების", დავით არჩვაძის ტრიოს, თემურ ნიკლაურისა და სხვათა შესრულებით. 24 საათი

ნაქარგი ხატების გამოფენა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი - ქარვასლა ნარმოვდგენთ მიხეილ მჭედლიშვილის ნაქარგი ხატების გამოფენას. მიხეილ მჭედლიშვილის შემოქმედება ნარმოვდგენს ერთ-ერთ საინტერესო ფურცელს თანამედროვე საეკლესიო ხელოვნებაში. მან ხატუნების იშვიათი და ყველაზე შრომატევადი სახეობა - ნაქარგობა აირჩია.

მისი შემოქმედების შესახებ, სარატოვისა და ვოლკის ეპისკოპოს ლონგინოზის კურთხევით, გამოცა ნიგნი "მიხეილ მჭედლიშვილის ნაქარგი ხატები", რომელშიც არქიმანდრიტი რაფაელი წერს მხატვრის ნიჭსა და მის თვითმყოფადობაზე. მისი თქმით, მხატვარს შეუძლია წმინდანთა სახეების დამახასიათებელი ნიშნების დანახვა და მათი ასახვა. ამიტომ მის მიერ შექმნილი ნაქარგი ხატები გამოირჩევა არა პორტრეტული, არამედ შინაგანი სულიერი მსგავსებით.

მიხეილ მჭედლიშვილი დაიბადა 1950 წელს, თბილისში. 1976 წელს დაამთავრა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, იუველიერ-გრაფიკოსის სპეციალობით. 1978 წელს გახდა ჟურნალ "ნიანგის" ლაურეატი. 1976 წლიდან მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ საიუველირო სალონში მხატვრად. ემსახურებოდა საქართველოს საპატრიარქოს. 1996 წელს საქართველოს საელჩოში მიხეილ მჭედლიშვილი გამოფენით რუსეთში მიიპატიჟა, სადაც იგი 12 წელი დარჩა ოჯახთან ერთად. გახდა რუსეთის მხატვართა კავშირის წევრი, ასევე სხვადასხვა გამოფენა-კონკურსების ლაურეატი. მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენაში, სადაც დააჯილდოვეს მართლმადიდებლურ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის. 2008 წელს დაბრუნდა თბილისში.

გამოფენაზე ნარმოვდგენილია ორმოცი ნაქარგი ხატი. მათ შორის: წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ელია წინასწარმეტყველი, მთავარანგელოზები გაბრიელი და მიქაელი, წმ. სვიმეონ მესვეტი, წმ. გრიგოლ ხანძთელი და სხვა. გამოფენა 2010 წლის 8 იანვრამდე გაგრძელდება. 24 საათი

ესტონელები სამხატვრო აკადემიაში

თბილისის სამხატვრო აკადემია და თანამედროვე ქართული ხელოვნების არქივი "არქიდრომი" ჯგუფ "ბულონთან" ერთად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიდ დარბაზში ნარმოვდგენს თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენას.

ნაჩვენები იქნება თობი ესტონელი ხელოვანის (ჰანეს ასამეტისი, ჰენრი ჰუტისი, მიჰი კელ ილუსის და მიჰიკელ მარიპუსი) ვიდეო არტი, პერფომანსი და ფერწერული ნამუშევრები.

ამის გარდა, დღეს 16:00 საათზე, "არქიდრომის" ინიციატივით სამხატვრო აკადემიის დიდი დარბაზში გაიმართება დისკუსია ხელოვანებთან.

აღსანიშნავია, რომ სამხატვრო აკადემია ამ დღეებში კიდევ ერთ პროექტს, ამჯერად სრულიად საავტორის ნარმოვდგენს, მხოლოდ აკადემიის სივრცეში კი არა, თბილისის სააუქციონო სახლის გალერეაში. 2009 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით ნეროვანში სოციალური პროექტი მიმდინარეობდა. ის ელიზაბეტ გასტის ხელოვნების ფონდისა (გერმანია) და სამხატვრო აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. მასში მონაწილეობდნენ ფერწერის მეოთხე კურსის სტუდენტები გოგა ჯაფარიძისა და კაკი ინანიშვილის ხელმძღვანელობით.

პროექტის მთავარი დანიშნულება იყო ხელოვნების სხვადასხვა ფორმების (ფერწერა, ხატვა, ძეგლი და ა.შ.) დახმარებით განხორციელებინათ ომის შედეგად დაზარალებული დევნილი ბავშვების ერთგვარი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. პროექტის ხელმძღვანელები სტუდენტებთან შესაბამის ტრენინგებს ატარებდნენ. მთელი პროექტის განმავლობაში სტუდენტები პერმანენტულად ჩაიბრუნნენ ნეროვანში და მუშაობდნენ N2 სკოლის დევნილ და ადგილობრივ ბავშვებთან. სხვადასხვა მასალაში სხვადასხვა ტიპის ნამუშევრები სრულდებოდა. პროექტის სრულფასოვან განხორციელებას აგრეთვე ხელი შეუწყო ნეროვანის N2 სკოლის ხელმძღვანელობამ. პროექტის დამთავრებისთანავე ნეროვანში მოეწყო შედეგების დემონსტრირება.

გამოფენა, რომელიც სააუქციონო სახლში (ვაჟა-ფშაველას 71) გაიმართება, სტუდენტების მიერ ბავშვებთან ურთიერთობისას მიღებული ერთგვარი გამოცდილების და პირადი შთაბეჭდილებების სინთეზს ასახავს. 24 საათი

YouTube.com-ის ხუთაული

მოგლანდიელი სიუზენ ბოილი აქაც ნომერ პირველია

YouTube.com-ის შესახებ ნებისმიერს სმენია, ვისაც კომპიუტერთან მინიმალური შეხება მაინც აქვს. ეს პორტალი დიდი ხანია მხოლოდ საშინაო ვიდეოჩანაწერების განთავსების ადგილი აღარაა, მასზე ვიდეოკლიპებსაც დებენ და ფილმების ტრაილერებსაც, რაც მათი პოპულარიზაციისთვის კეთდება. უკანასკნელ წლებში კი პორტალი წლის განმავლობაში ყველაზე პოპულარული ვიდეორგოლების რეიტინგს ადგენს. აღმოჩნდა, რომ 2009 წელს ყველაზე მეტი დათვალიერება მოტლანდიელი საოცრება, სიუზენ ბოილის ერთ-ერთ ვიდეოზე მოდის.

ვიდეო კონკურს Britain's Got Talent-ის 11 აპრილის კონცერტზე გადაღებული, როდესაც ბოილია კომპოზიცია I Dreamed a Dream შესარულა და ჯერ ბრიტანეთი, შემდეგ კი უკვე მთელი

მსოფლიო შოკში ჩაავადო. ბოილის ვიდეო "იუტუბზე" მალევე ჰიტად იქცა და დღევანდელი მთელ მსოფლიოში 120 მილიონმა მომხმარებელმა ნახა. თუმცა ეს სიუზენ ბოილისთვის 11 აპრილს დაწყებული ერთადერთი წარმატება არაა. მართალია, მან კონკურსში ვერ გაიმარჯვა, იმაზე მეტად მაინც მიიღო, ვიდრე პირველ ადგილზე გასულმა ქუჩის მოცეკვავეების ჯგუფმა. ბოილის შესახებ არა ერთი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, ცოტა ხნის წინ კი მისი სოლო ალბომი გამოვიდა, რომელმაც ყველანაირი რეკორდი მოხსნა და არც ჰიტ ალბომების მიღმა დარჩენილა.

"იუტუბის" რეიტინგის მეორე ადგილზე 37 მილიონი ნახვით გავიდა ვიდეო სახელწოდებით David After Dentist. ამ ძალიან სასაცილო ჩანაწერის მთავარი და ერთადერთი გმირი 7 წლის ბიჭუ-

ნაა, რომელიც მამას კბილის ექიმთან ვიზიტის შემდეგ შინ მიჰყავს (თავად ვიდეოც მამის მიერაა გადაღებული). ჩანაწერში ვხედავთ, რომ ანესთეზიის შემდეგ ბიჭუნა იმდენადაა გაბრუნებული, რომ მანქანის საფარძელზე თავს ძლივს იკავებს და ძალიან სასაცილოდ ლულულულებს, ერთგან კი ამბობს, რომ თავს ძალიან მხიარულად გრძნობს და აინტერესებს, ეს ყველაფერი რეალურად ხდება თუ გამოგონილ სამყაროში აღმოჩნდა. ამ ვიდეოს გამო დევიდი ძალიან პოპულარული გახდა, გამოვიდა მისიურები ბიჭუნას ფრაზებითა და გამოსახულებით, "იუტუბზე" კი მისი პაროდის რამდენიმე ვიდეოც გამოჩნდა.

მესამე ადგილზე გავიდა კიდევ ერთი საოჯახო ვიდეო JK Wedding Entrance Dance, რომელიც დღემდე 33 მილიონმა მომხ-

მარებელმა ნახა. 5 წუთიან ჩანაწერში ჩანს ეკლესია, სადაც ნათესავები და ახლობლები სიძე-პატარძალს ელოდებიან. უცებ ეკლესიის კართან საქმიანად მდგარი ორი ბიჭი კრის ბრაუნის Forever-ის ფონზე ისე სასაცილოდ აცეკვდება, რომ ყველა მოკვივრდება. რამდენიმე წამში ბიჭუნებს პატარძლის მეგობარი გოგონები აჰყვებიან, ბოლოს კი ეკლესიაში ასევე ცეკვა-ცეკვით სიძე და პატარძალი შემოდიან. ჰიტ ალბუმის მეოთხე ადგილზე 31 მილიონი ნახვით "ახალი მთვარის" ტრეილერი გავიდა, ხოლო მას კომპანია "ევინის" სარეკლამო კლიბი Evian Roller Babies მოსდევს.

...მსგავსი რეიტინგი ჩვენთან რომ შეედგინათ, პირველ და მეორე ადგილზე უდავოდ კობორელი ქურდბაცაცა და "დნ-დმს" მომღერალი გავიდოდნენ.



აფიშა

17 დეკემბერი

თეატრი

რუსთაველის თეატრი
"ვარდნილი სხეულები"
(მცირე სცენა)
დასაწყისი: 19:45

მარჯანიშვილის თეატრი
"ქერივები"
(თეატრი სხვენში)
დასაწყისი: 20:00

თავისუფალი თეატრი
"ჯინსების თაობა"
(სოხუმის თეატრის სპექტაკლი)
დასაწყისი: 19:00

გრიბოედოვის თეატრი
"დოსტოევსკირე"
დასაწყისი: 18:00

კინო

რუსთაველი
"გოგონა სლაიდიდან"
დასაწყისი: 12:00, 15:00, 17:30, 20:00, 22:15
(დარბაზი 1)
"პლანეტა 51"
დასაწყისი: 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00, 21:30
(დარბაზი 2)

"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:30, 16:15, 20:15
"გალმა ნაპირი"
დასაწყისი: 14:15, 18:15, 22:15
(დარბაზი 3)
"ამანათი"
დასაწყისი: 12:15, 14:30, 17:00, 19:30, 22:00
(დარბაზი 4)

"2012"
დასაწყისი: 13:00, 16:00, 19:00, 22:00
(დარბაზი 5)

ამირანი
"გოგონა სლაიდიდან"
დასაწყისი: 12:00, 14:30, 17:00, 19:30, 22:00.
(დიდი დარბაზი)
"2012"
დასაწყისი: 12:00, 17:30
"ახალი მთვარე"
დასაწყისი: 15:00, 20:00, 22:15
(მცირე დარბაზი)

მუსიკა

კონსერვატორია
XII საერთაშორისო ფესტივალი "საახალწლო მუსიკალური შეხვედრები"
(დიდი დარბაზი)
დასაწყისი: 19:00

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
ლადო ათანელის საქვემოქმედო კონცერტი
დასაწყისი: 19:00

გამოფენები

გალერეა "ვერნისაჟი"
ლევან ხარანაულის ნამუშევრების გამოფენა

არტ გალერეა "ლაინი"
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია -
(ფერნერა, ქანდაკება)

მეიდან არტ პოლი
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია -
(ფერნერა, ქანდაკება)

მანანა არტ სალონი
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

გალერეა "კამეა"
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა -
(ფერნერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები...)

მინანქრის გალერეა "ორნამენტი"
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა

თვალსაზრისი

არის თუ არა კრიზისი ქართულ მხატვრობაში?

თუ პერიოდულად გიხდებათ ნაკლებად ინტენსიური ქართული საგამოფენო ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება და დაფიქრებულხართ ამ ივენთების ხასიათზე, აუცილებლად დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ ამ ყველაფრის ძირითადი არსი "ტუსოვკა" და თუ ნამუშევრები შედარებით "კარგია", ეს "ტუსოვკა" სასიამოვნოა, თუ არა, - არაფერს გიტოვებთ და სულ ესაა.

რისთვის კეთდება ზოგადად გამოფენა?

გამოფენა მხატვრობის განვითარების ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული იმ ინსტიტუციის ნაწილია, რომელიც სახვითი ხელოვნების სფეროს ქსელს ქმნის. ამ ქსელში მხატვარი დაკავშირებულია გალერეასთან/გალერეისტთან, რომელიც მას თავის მხრივ ეხმარება მის მიერ შექმნილი პროდუქციის აუდიტორიისათვის წარდგენაში და არტ ბაზართან დაკავშირებაში. გამოფენის ეს ფუნქცია ქართულ სივრცეში დეგრადირებულია და მას სულ რამდენიმე გალერეა თუ ახორციელებს და ისიც საკმაოდ მწირი აქტივობით.. დანარჩენ შემთხვევაში გამოფენა ზემოთ აღნიშნული "ტუსოვკური" ხასიათისაა..

მიზეზები?

ალბათ ძალიან ბევრია, მაგრამ რამდენიმე ნიშანდობლივი: 1990-იანი წლების საქართველოში, ძალიან მძიმე კრიზისის პერიოდში მხატვრობა საკმაოდ აქტიური იყო და მხატვართა უმეტესობა ამ პერიოდის "ალმავლობას" ექსისტენციულური მოტივაციით ხსნის, - ეს მათთვის თვითგადარჩენის გზა იყო..

სამწუხაროდ გრძელდება ამგვარი ინერცია, თითქოს მხატვრობა მხოლოდ თვითგა-



დარჩენის პერსონალურ, ან თუნდაც ჯგუფურ ფუნქციას უნდა ატარებდეს. ანუ, არ მოხდება წინა პერიოდის სრული გააზრება და მისი დაფიქსირება თუნდაც პერმანენტული კოლექციის სახით. ეს კოლექცია შეიძლება ამგვარადაც განისაზღვროს "პოსტ ტოტალიტარული საქართველოს მხატვრობა", ან "გარდამავალი პერიოდის ქართული მხატვრობა", თუნდაც უფრო ფართოდაც, - "ქართული მხატვრობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დღემდე" და ა.შ..

ამასთან, ის ნამუშევრები, რომლებიც ამ კოლექციის ექსპონატებად უნდა ქცეულიყვნენ, ნელ-ნელა ქრებიან საქართველოდან, ან კერძო კოლექციებში გადადიან. ჩვენ ვკარგავთ მასალას, რომელიც მომავლში კულტურული მემკვიდრეობის ფარგლებში უნდა მოექცეს.

ჩვენ არ გვაქვს პერმანენტული კოლექცია, რომელიც თანამედროვე ქართული ხელოვნების დინამიკას აჩვენებს, არ არის სერიოზული გამოცემა ამ ისტორიის შესახებ, - შესაბა-

მისად არ გვაქვს გააზრებული ქართული მხატვრობის გამოცდილება, მისი წინააღმდეგობები, მისი პრობლემები და ა.შ.... ბუნებრივია, რომ ვერ გადავდევართ განვითარების ახალ საფეხურზე. ახალი პროცესი რომ დაიწყოს, აუცილებელია ძველი გამოცდილება დაფიქსირდეს.

კულტურის პოლიტიკის საერთოდ არარსებობა ამ სფეროს განვითარებისათვის. ალბათ ერთადერთი ქვეყანა ვართ (თუნდაც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის), სადაც არ არსებობს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების სახელმწიფო ცენტრი. ამ სფეროს განვითარებისთვის აუცილებელია როგორც სახელმწიფო ცენტრის, ისე ალტერნატიული სხვა ცენტრების არსებობაც.

რა ამოცანები შეიძლება ჰქონდეს თანამედროვე ქართულ მხატვრობას?

თანამედროვე ქართულმა მხატვრობამ სასურველია იმუშაოს აუტენტური ვიზუალური კულტურის შექმნაზე, კარგად

გაიაზროს მსოფლიოს თანამედროვე

ხელოვნების გამოცდილება და ტენდენციები საკუთარ რეალობასა და პრობლემატიკასთან ერთად და ეცადოს იპოვოს თანამედროვე და ადეკვატური ფორმა მსოფლიო ხელოვნების სივრცეში საკუთარი გზავნილისათვის.

რა ნაბიჯები შეიძლება გადავდგათ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

აუცილებელია სახელოვნებო სასწავლებლებში თანამედროვე ხელოვნების ტენდენციებისა და ახალი ტექნოლოგიების, საგალერეო საქმიანობისა და ექსპოზიციის მოწყობის უახლესი მეთოდებისა და ნოვაციების შესწავლა.

ასევე აუცილებელია ინფორმაციით უზრუნველყოფა თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების პროცესების შესახებ. თუნდაც ერთი მცირეფორმატიანი სატელევიზიო გადაცემა (მომზადებული არა ჟურნალისტების, არამედ ამ სფეროს პროფესიონალების მიერ).

და სპეციალურად შემუშავებული პროგრამები ამ სფეროს განვითარებისათვის და კერძოდ მხატვართა და მათი ინიციატივების მხარდაჭერისთვის.

პოზიტიური მოლოდინები?

სავარაუდოდ მალე გაიხსნება "ცისფერი გალერეა" და იმედია თავისი პროფილის ფარგლებში მოლოდინებს არ გაგვიცრუებს..

იქნებ მეცენატებიც გამოჩნდნენ, ვინც ვიზუალურ ხელოვნებას მიაქცევენ ყურადღებას და ამ თემის მნიშვნელოვნებას დაინახავენ.

ხათუნა ხაბულიანი
ხელოვნებათმცოდნე

"ოცნება N5", ანუ ახალი ბრენდი თბილისში

ნინო ხარატიშვილი

"საქპატენტის" გალერეა "რაციონი", 15 დეკემბერს პატიმართა, ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და არასრულწლოვან პრობლემატიკით ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა გაიხსნა. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები თექის, თიხისა და მინანქრისგანაა დამზადებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონებმა თექისა და სხვა მასალისაგან უპატრონო ბავშვთა სახლებისათვის საჩუქრებიც დაამზადეს.

პროექტი ევროკავშირის, პოლონეთის საელჩოს, არასამთავრობო ორგანიზაცია "ციხის საერთაშორისო რეფორმა" (PRI) და ფონდ - "ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით ხორციელდება. გამოფენის ორგანიზება კი "საქპატენტის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, - მარიკა ლაცაბიძისა, არასამთავრობო ორგანიზაციის "ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელისა" და 1988 წელს დაარსებულ ქალთა კლუბ "პეონის"

თავმჯდომარის, ნატო შავლაყაძის ორგანიზებით მოეწყო. "ჩვენი მიზანი ამ ქალბატონების ხელშეწყობაა. გავა დრო და ეს ადამიანები ღირებულებებს გადააფასებენ, საზოგადოებას დაუბრუნდებიან. ამ ღონისძიებების მეშვეობით კი მათი ხალხში ინტეგრაცია უფრო ადვილად მოხდება, რაც მთავარია ახალი პროფესია ექნებათ, ეს კი დასაქმების შანსს გაუზრდით." - აღნიშნა "საქპატენტის" PR მენეჯერმა.

აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია, - "ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი", 2003 წელს, ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნა. დღეისათვის ქსელი 11 კრიზისულ ცენტრს აერთიანებს საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა ამისა, მათ შემადგენლობაში ორი თავშესაფარი თბილისსა და ახალციხეში.

არასრულწლოვანთა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებისათვის ეს პირველი გამოფენაა. პატიმარი ქალები კი ციხეში დიდი ხანია ამ ხელოვნებას სწავლობენ და გარკვეული გამოცდილებაც აქვთ. არც ისე დიდი ხნის წინათ, 2009 წლის ოქ-

ტომბერში, საერთო და მკაცრი რეჟიმის N5 დაწესებულებაში, პატიმარი ქალების ინიციატივით, ახალი ბრენდი "ოცნება N5" შეიქმნა. ახლადშექმნილი ბრენდის ფარგლებში თექისა და კერამიკის ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი, რომელთა ნაწილი უკვე გამოიყვანა. "თავისუფლების მოედანზე ჩვენ გვაქვს საწარმო და ვიმედოვნებთ, რომ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ეს ქალბატონები იქ დასაქმდებიან. გარდა ამისა, მოლაპარაკებები გვაქვს პოლონეთთან და სხვა ქვეყნებთან, რათა მათი ნაწარმის საქართველოს ფარგლებს გარეთ პოპულარიზაცია მოვახდინოთ," - აღნიშნა ნატო შავლაყაძემ.

ამ ღონისძიებას დადებითად აფასებენ თექისა და თიხის მასწავლებლები - ია გავა და მანანა ყიფიანი. ასევე კლუბ "პეონის" ფსიქოლოგი მანანა სოლოლაშვილი. მათი თქმით, მუშაობის პროცესი ქალებს პრობლემების დავიწყებაში ეხმარება და მომავალში საკუთარ შემოსავალთან ერთად თვითდამკვიდრების საშუალებასაც აძლევს. "ეს ერთგვარი თერაპიაა, მუშაობის პროცესში ისინი მთლიანად საქმეზე არიან გადარ-

თული, ფიქრობენ იმაზე, რა როგორ გააკეთონ, ეს კი ძალიან კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ თავიანთ პრობლემებზე არ იფიქრონ." - აღნიშნა ია გავამ

ამასვე ამტკიცებს გამოფენაზე წარმოდგენილი მინანქრის კოლექციის ერთ-ერთი ავტორი, - ბექა ფიფია. მან მინანქარზე მუშაობა ორთაჭალაში, თაბორის მონასტერში შეისწავლა, სადაც ათი დღის განმავლობაში ცხოვრობდა კიდევ. კვირაში ორჯერ, ერთთვიანი მეცადინობების შედეგად მან ეს ხელობა საკმაოდ კარგად ათვისდა, რაც მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

ასე რომ, უახლოეს მომავალში საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მალაზიებში გაჩნდება პროდუქცია, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების, ასევე ყოფილი ნარკომანებისა და პატიმრების ხელთა იქნება დამზადებული. თექის საამქროში დამზადებული ტანსაცმელი და აქსესუარების ნაწილი მალაზიებში გაიყიდება, საკარნავალო კოსტიუმები კი გაქირავდება. ჯერჯერობით კი მათი დათვალიერება და შექმნა, 18 დეკემბრამდე, გალერეა "რაციონი" შეგიძლიათ.

N2/3143-07

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
უსწორობის გასწორების შესახებ

17 ნოემბერი 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

მოსარჩელე: გიორგი ცერცვაძე
წარმომადგენელი: ქეთევან უტიამვილი
მოთხოვნა: გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გიორგი ცერცვაძის წარმომადგენლის ქეთევან უტიამვილის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 09 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაფილდა გიორგი ცერცვაძის წარმომადგენლის ქეთევან უტიამვილის სარჩელი და მოპასუხე რუსუდან ხარებავა-ცერცვაძეს სარჩელის აღძვრის მომენტიდან - 2007 წლის 13 ივლისიდან არასრულწლოვანი შვილის - დავით ცერცვაძის (დაბადებული 1993 წლის 20 იანვარს) სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 140 (ასორმოცი) ლარის გადახდა მის სრულწლოვანებამდე. მასვე დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის - დავით ცერცვაძის (დაბადებული 1993 წლის 20 იანვარს) სასარგებლოდ წარსული დროის ალიმენტი 2004 წლის 02 ივლისიდან - 2007 წლის 02 ივლისამდე პერიოდისათვის თვეში 120 ლარის გაანგარიშებით, სულ 4320 ლარის ოდენობით ანაზღაურება. მოპასუხეს ასევე დაეკისრა გიორგი ცერცვაძის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა საალსრულებო ფურცელი.

2009 წლის 28 ივლისს სასამართლოს განცხადებით მიმართა გიორგი ცერცვაძის წარმომადგენელმა ქეთევან უტიამვილმა და განმარტა, რომ აღმასრულებლისგან მათთვის ცნობილი გახდა, მოპასუხის სახელი და გვარია ლუსია ცერცვაძე და არა რუსუდან ხარებავა-ცერცვაძე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელმა მოითხოვა 2007 წლის 09 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება და რუსუდან ცერცვაძე-ხარებავას ნაცვლად ლუსია ცერცვაძის მითითება.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი განცხადება, გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ქეთევან უტიამვილის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისს სარჩელით მიმართა გიორგი ცერცვაძემ მოპასუხე რუსუდან ხარებავა-ცერცვაძის წინააღმდეგ ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით.

აღნიშნული სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული 2007 წლის 17 ივლისის განჩინებით.

საქმეში წარმოდგენილი ბავშვების დაბადების მოწმობებით დადგენილია, რომ დავით და

ხატია ცერცვაძეების დედა არის ლუსია ცერცვაძე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს ცნობით დადგენილია, რომ მოპასუხის სახელი და გვარია ლუსია ცერცვაძე. აღნიშნული ასევე დასტურდება 2009 წლის 28 ივლისს წარმოდგენილი ლუსია ცერცვაძის პირადობის მოწმობით.

ვინაიდან რუსუდან ხარებავა-ცერცვაძის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის 2007 წლის 09 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ გიორგი ცერცვაძის განცხადების ჩაბარება სხვაგვარად ვერ მოხერხდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულის თაობაზე მოპასუხეს ეცნობა საჯარო შეტყობინების შესახებ 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს მის სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილში დაწვეული იქნა შეცდომა, რაც უნდა გასწორდეს და რუსუდან ხარებავა-ცერცვაძის ნაცვლად მიეთითოს ლუსია ცერცვაძე.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხე რუსუდან ხარებავა-ცერცვაძის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულის თაობაზე მოპასუხეს უნდა ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით. მითითებული მუხლის დანაწესით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. გაზეთი "24 საათი" კი მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. გიორგი ცერცვაძის წარმომადგენლის ქეთევან უტიამვილის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 09 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ტექსტში და მის საფუძველზე 2008 წლის 13 მაისს გაცემულ საალსრულებო ფურცელში შევიდეს შესწორება და რუსუდან ხარებავა-ცერცვაძის ნაცვლად მიეთითოს ლუსია ცერცვაძე;
3. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს მოპასუხე ლუსია ცერცვაძეს საჯარო შეტყობინების გზით;
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში";
5. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;
6. მოპასუხეს - ლუსია ცერცვაძეს განემარტოს, რომ უსწორობის გასწორების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინება მისთვის ჩაბარებულად ითვლება განჩინების საჯარო შეტყობინებით გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს;
7. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მხარეთათვის განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე: ე. ცისკარიძე

ბანცხადება
აუქციონის ჩატარების
შესახებ

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ. №3 აცხადებს აუქციონს სოფ. რუისში, "ნინა უბანში" მდებარე ყოფილი კლუბის შენობის (შენობა იმყოფება ნაწილობრივ დაზიანებულ და გაძარცვულ მდგომარეობაში) რეალიზებასთან დაკავშირებით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შენობის სანყის ღირებულებაა 3532 (სამი ათას ხუთას ოცდათორმეტი) ლარი, ხოლო ბიჯის მინიმალური ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი. აუქციონი შედგება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, განცხადების გამოქვეყნებიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს 12.00 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველ პრეტენდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს ყოველ სამშუაო დღეს 10.00 საათიდან 17.00 საათის ჩათვლით მისამართზე: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ. №3.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მსურველებმა მიმართონ აღნიშნულ მისამართზე "ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის კომისიას".

ტელ: 8269-3-17-34.

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ძთვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ვილიაჟით და ერთი

მოქარაპი სოფარაციო ბლოკით

ს ი ა ხ ლ ე !

მნიშვნელოვანი ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

აზერბაიჯანი არ ცნობს აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს

ოფიციალური ბაქო აფხაზეთში 12 დეკემბერს ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს არ ცნობს. "მედიანიუსის" ინფორმაციით, ამის შესახებ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ელხან პოლუხოვმა განაცხადა.

მისი თქმით, ეს ე.წ. არჩევნები არალეგიტიმურია და ის საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება. პოლუხოვის განცხადებით, აზერბაიჯანი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

დავით ბაქრაძე გერმანიაში

გუშინ, გერმანიის ფედერაციის ქალაქ გარმიშში საერთაშორისო კონფერენცია "ლიდერობის პერსპექტივები" გაიმართა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრის კურსდამთავრებულმა და მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ მიიღო.

"მედიანიუსის" ცნობით, კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, პარლამენტის თავმჯდომარემ ტერორიზმის გლობალურ საფრთხეებზე და მის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

"აშშ-ში მომხდარმა 11 სექტემბრის ტერაქტმა მთლიანად შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკა და ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა თუ რამდენად მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ტერორიზმი დემოკრატიული საზოგადოებისთვის," - განაცხადა დავით ბაქრაძემ. მან თავის გამოსვლაში საქართველოს და მეთაურული ქვეყნების ურთიერთობებზე და კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების საკითხებზეც ისაუბრა.

ჭონ ბასი აჭარაში ჩავიდა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი გუშინ აჭარას ეწვია. "მედიანიუსის" ცნობით, ამერიკელი დიპლომატის ვიზიტის მიზენი ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში ამერიკის სახელმწიფო გრანტის ფარგლებში გახსნილი "ამერიკული კუთხის" პრეზენტაცია იყო.

მართალია, ბიბლიოთეკაში "ამერიკული კუთხე" 2006 წლიდან მოქმედებს, მაგრამ წელს დამატებით გამოყოფილი 10 ათას 320 დოლარის ფარგლებში კუთხე 67 კვადრატული მეტრით გაიზარდა. ამასთან, დაემატა ახალი სახელმძღვანელოები და კომპიუტერული ტექნიკაც. ბიბლიოთეკაში ამჟამად 2 500-ზე მეტი წიგნია.

პრეზენტაციას ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად, აჭარის მთავრობისა და ბათუმის მერიის ხპირველი პირებიც დაესწრნენ.

ფრენსის ფუკოიამა: რუსეთი ზესახელმწიფო ველარასდროს გახდება

რუსეთი ველარასდროს გახდება სსრკ-ს მსგავსი ზესახელმწიფო, მაგრამ საქართველოსა და უკრაინას პრობლემებს კვლავ შეუქმნის. "მედიანიუსის" ცნობით, ამის შესახებ ამერიკელმა პოლიტოლოგმა ფრენსის ფუკოიამამ განაცხადა, მისი თქმით, რუსეთის, მიუხედავად ამ ქვეყნის ამბიციებისა, ჩინეთთან შედარება არც კი შეიძლება. რუსეთი რეგიონალური სახელმწიფოა და ისეა დამოკიდებული თავის ენერგორესურსებზე, რომ ხელ-ფეხი შეკრული აქვს. "ჩინეთისგან განსხვავებით, რომელსაც ფართო სამრეწველო ბაზა, საუკეთესო ადამიანური კაპიტალი და განვითარებული ეკონომიკა აქვს, რუსეთი ნედლეულზე დამყარებული ეკონომიკის მქონეა. სამწუხაროდ, ის კვლავ შეუქმნის პრობლემებს საქართველოსა და უკრაინას, მაგრამ ველარასდროს გახდება ისეთი ზესახელმწიფო, როგორც საბჭოთა კავშირი იყო", - აცხადებს პოლიტოლოგი.

ირაკლი ალასანია ანკარაში

გუშინ ირაკლი ალასანია ანკარაში აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობს, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხს ეძღვნება. ფორუმის ორგანიზატორები არიან თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ფონდი. ალასანიამ კონფერენციაზე აფხაზეთთან კონფლიქტის დარეგულირების გზებზე და ამ პროცესში თურქეთის პოზიტიურ როლზე ისაუბრა.

"თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და არასამთავრობო ორგანიზაციამ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მიმინიეს. ჩემთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში პიტერ სემნები და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე", - განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, შეხვედრის ინიციატორი თურქეთია, რომელიც ყოველთვის ცდილობდა მოექმნა თავისი პოზიტიური როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების საკითხში.

"მე ვიყავი მოლაპარაკებების პროცესში ჩართული და მხარს ვუჭერდი ამ როლის უფრო ეფექტურად გამოყენებას. ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი თურქეთის შესაძლო როლს აფხაზეთთან დობის აღდგენაში. მათ გამოყენებას სავაჭრო-ეკონომიკური შესაძლებლობების გზით აფხაზეთსა და ქართველებს შორის ურთიერთობების გაღვივებაში. დღეს სწორი იქნება თუ უკვე დაიწყებთ ფიქრს, როგორ ვაპირებთ თურქეთის პოზიტიური როლის გამოყენებას ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენაში", - განაცხადა ალასანიამ.

ღვინო, დუღუკი, ქალები... ფეხბურთი და პოლიტიკა

პირველი გვირგვინი

ქალები განსაკუთრებულად საგანგაშო თემაა. როდესაც ქვეყანაში ყოველი მეხუთე ქალი შინაბერაა (50 წელს გადაცილებული), ეს კატასტროფაა. მითუმეტეს ასეთი მცირერიცხოვანი ერისთვის. ამის მთავარი მიზეზიც სიყალბეა. მამაკაცის ქალისადმი დამოკიდებულების სიყალბეში. ქალი კი ყოველთვის ისეთია, როგორც ამას კაცი იმსახურებს. ეს ღრმა თემაა და თავის მხრივ, ცალკე საუბრის ღირსია.

ჩემი აზრით, ყველაზე სადაველი მემკვიდრეობა, რაც დაგვრჩა იმპერიისგან, ესაა სიყალბით და ტყუილებით სავსე ცხოვრების წესი. მიგვაჩვიეს და ჩვენც მივეჩვიეთ. იმ სისტემაში აუტანელი პასუხისმგებლობა იყო და ერთადერთი სურვილი, რაც ებადებოდა ადამიანს, ეს იყო ამ ტვირთის თავიდან აცილება. სამწუხაროდ, ბევრს ჰგონია, რომ ასე იყო და ასე იქნება. ერთმა სულთანმა გადაწყვიტა შეემონებინა ხალხის პატიოსნება. ყველას უბრძანა, თითო დოქი რძე მოეტანათ და დახურულ აუზში ჩაესხათ. როდესაც აუზი გახსნეს, მასში მხოლოდ კამკამა წყალი იყო. ვატყუებთ სხვას და საკუთარ თავს. სანამ ჩვენსავით მატყუარა იმპერიაში ვცხოვრობდით, მაშინ ჩვენს ყალბ ღვინოსაც ფასი ქონდა, მაგრამ ევროპაში ან ამერიკაში ღვინოში ძალიან კარგად ერკვევიან!

ფეხბურთზე მინდა ვთქვა შემდეგი: ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, თამაშია, თანაც გუნდური. სათანადოდ, დამოკიდებულებაც უნდა იყოს ხალხისანი. ხალხის და სიყალბე კი შეუთავსებელია. ნებისმიერი სიყალბე, იქნება ეს მწვრთნელის, მსაჯის თუ ფუნქციონერის, ხალხისან ფეხბურთს კლავს. აქ საუბარი არაა შეცდომაზე, ყველა ცდება და ამაში არაფერია კატასტროფული. უმთავრესია გულწრფელი, თუ გნებავთ ბავშვური დამოკიდებულება. ყველაზე მეტად არ მომწონდა ჩვენი ნაკრების ფსიქოლოგიური განწყობა: "მთავარია, შეცდომა არ დავუშვათ" - ასეთი განწყობით სჯობს, სულ არ გახვიდე მინდობზე, რას ნიშნავს არ დავუშვათ შეცდომა? ეს შეუძლებელია. შეცდომები აუცილებლად იქნება, ოღონდ მზად უნდა იყო და ზუსტად უნდა იცოდე, რა გააკეთო შეცდომის შემთხვევაში. შეკითხვაზე, მატჩის დროს რაზე ფიქრობთ, პელები უპასუხა - ვმღერო. ამიტომაცაა ფეხბურთის მეფე უდიდეს პატივს ვცემ სერ ალექს ფერგუსონს, კრიშტიანუ რონალდუ ნამდვილ პროფესიონალად მის "აკადემიაში" ჩამოყალიბდა, თორემ მანამდე, უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ ჩვეულებრივი ყოყლოჩი-

ნა ახალგაზრდა იყო. ასევე გაზარდა კახა კალაძე ვალერი ლობანოვსკიმ. ასეთი დიდი მწვრთნელები საკუთარ თავშიც და ფეხბურთელებშიც ამ ბავშვურ ხალხს (პროფესიულად ამას მოტივაცია ჰქვია) ინარჩუნებენ. ეს ჭეშმარიტი პატივისცემის და სიყვარულის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. აი, გიორგი დემეტრაძემ ლობანოვსკის "აკადემიას" ვერ გაუძლო. გამოდის, რომ ფეხბურთი მისი ჭეშმარიტი მოწოდება არ ყოფილა.

ასე გორდება სიყალბე და ტყუილი. აქედან გამომდინარე, მატყუარა **პოლიტიკაც** იოლად პოულობს გზას ასეთივე მატყუარა ადამიანების გონებისაკენ. ისინი ერთმანეთს კარგად უგებენ. თუ დავუჯერებთ ფრანგებს, "გაგება ნიშნავს პატივებს". ე.ი. პოლიტიკოსებს ტყუილებს პატიობენ. აბა რა ქნან? თვითონაც ხომ იტყუებიან. "ასეა ეს ცხოვრება". პატიოსნებისა კი უკვე აღარ სწამთ, თუმცა ამ პატიოსნებას ყველა ითხოვს. მისკოვნი, როდესაც ჩვენი ბორჯომი აკრძალეს, ასეთი ანექლოტი გაჩნდა: "ბომჟებმა" ბორჯომი დალიეს და მონიამლენ. ყალბი ადამიანისთვის პატიოსნება ისეთივე საწამლაია, როგორც "ბომჟისთვის" ბორჯომი.

ნიშანდობლივია, რომ ამ ჩამონათვალში სრულიად არაა მინიშნებული უმთავრესი სფერო: **საქმიანობა ან ბიზნესი**. ცივილიზებული სამყაროს მამაკაცისთვის მისი საქმიანობა პირველ ადგილზე დგას. ამაშია მისი მოწოდებაც, დანიშნულებაც და თვითრეალიზებაც. სამწუხაროდ, სიტყვა თვითრეალიზება საქართველოში ბევრისთვის ჩინურია. უფრო სამწუხაროა, რომ ამის სურვილიც კი არ გააჩნიათ. იმპერიული იდეოლოგია "გვაპარებს": "პოლიტიკა და ბიზნესი ჭუჭყიანი საქმეა". საზიზღარი ტყუილია! ნებისმიერ პროფესიას "აჭუჭყიანებენ" თავად ჭუჭყიანი ადამიანები და არა პროფესია. განა "მერსედესი" ან "სონი" ტყუილია? განა მათი საქმე არაპატიოსანია? მხოლოდ პატიოსან საქმიანობას მოაქვს წარმატება. მაგრამ ნებისმიერ პროფესიას ცოდნა სჭირდება, ბიზნესს - პირველ რიგში.

ყველაფერი იწყება ჩვენი ღვინის სიყალბით. განა ამას გვასწავლიდნენ წინაპრები - ყალბი გააკეთეთო? როგორსაც ვაკეთებთ, ისეთები ვართ!

ყალბი ღვინო, ყალბი სიყვარული, ყალბი ზნეობა. ნათქვამია: ზნეობაზე ყველაზე ყვეამალა პორტის ბოზები ყვირიანო. ფიზიკურ ბოზობას კიდევ არა უშავს, სულიერი მეძავობაა საშინელება. აი, სადაა ჭეშმარიტი სიყალბე. ასეთი ადამიანები სხვებისგან ლამის ანგელოზობას მოითხოვენ. მათი გაგებით, თუ

მღვდელი გარყვნილია, მაშინ ღმერთისაც აღარ დაიჯერება. სიყალბე ინსტინქტებზეა დაფუძნებული. მშია, მიწა - ეს ინსტინქტებია. ინსტინქტები კი ცხოველურია. აქედან გამომდინება ბოლმაც და შურიც. თანაც ინსტინქტის გამოვლინება "ნორმალურად" ითვლება, გრძნობა კი "სამარცხვინოა" ან, საუკეთესო შემთხვევაში, გაუგებარე და დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებები.

ჩემი აზრით, სულ ორი ტიპის თავისუფლება არსებობს. პირველია უარყოფის, მეორე - პასუხისმგებლობის. უარყოფა ნიშნავს ყველაფრის უარყოფას - კანონის, საზოგადოებრივი წესების, ეთიკის და ა.შ. ყველაფერი "მე"-ზეა დაქვემდებარებული. "რასაც მინდა, იმას ვაკეთებ". აქედან გამომდინარეობს კანონის, სხვა ადამიანების, საზოგადოების და სათანადოდ სამშობლოს ინტერესების იგნორირება. "მთავარია, მე ვიყო კარგად". თავად სიტყვა უარყოფა განსაზღვრავს ასეთი თავისუფლების უარყოფით ნიშანს. ჭეშმარიტი თავისუფლება "დადებითია". ადამიანი იღებს მხრებზე პასუხისმგებლობის ტვირთს და ეზიდება, და თუ ღმერთის რწმენაც გააჩნია, რომელმაც გვითხრა, მომანდე შენი ტვირთი, მაშინ ცხოვრებაც იოლი და გააზრებულია. მთავარია, ტვირთი საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში იყოს. "უარყოფის" პირობებში გაზრდილ ქართველ მამაკაცებს ძალიან უჭირთ ახალ პირობებში ადაპტაცია. მაგრამ დემოკრატიაში, თუ პასუხისმგებლობას არ იტვირთავ, უფლებების მოთხოვნაც გაგიჭირდება. ასეთი ხისტი, მაგრამ, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანია დემოკრატიული გარემოება. ქალიც ისეთია კარგი, რომელიც მამაკაცის პასუხისმგებლობას გულწრფელად გაიზიარებს. როგორც დემოკრატიული ადამიანი, ყველანაირად დაინტერესებული ვარ, რომ საზოგადოებაში რაც შეიძლება მეტი იყოს ადამიანი, რომელმაც იცის საკუთარი მოწოდება, უყვარს თავისი პროფესია, იღვინის საკუთარი ოცნებების განხორციელებისთვის და, რაც მთავარია, აღწევს წარმატებას. ეს გარანტიაა, რომ საზოგადოებაში ნაკლები შური და გალიზიანება იქნება. თანაც ასეთ პიროვნებებთან ურთიერთობა ჭეშმარიტი ადამიანური ბედნიერებაა.

ოქრო იმიტომაც ფასობს, რომ ცოტაა და ძნელად მოსაპოვებელი. ქართველებიც ცოტანი ვართ. და თუ ოქროსავით ნატურალურები და ნამდვილები ვიქნებით, მაშინ თითოეულ ქართველსაც და სრულიად საქართველოსაც ოქროს ფასი დაეძვება. რა თქმა უნდა, ეს სურვილია და ბევრს მიუღწევად მოცინებდა მოეჩვენება, მაგრამ თუ არ დავლევთ ცუდ ღვინოს... არ მოვკლავთ საკუთარ და ბავშვების ოცნებებს... ცდა ბედის მონახვერეა და ღმერთი არ გაგვწირავს.

სპორტი

კალაძემ დუმილი დაარღვია

ბოლო დროს არ წყდება საუბარი კახა კალაძის შესახებ ტრანსფერის თაობაზე. საქართველოს ნაკრების კაპიტანი "როსონერის" ძირითადი შემადგენლობიდან ბრაზილიელმა ტიაგო სილვამ ამოაგდო. ჩემპიონთა ლიგის მატჩში სილვამ ტრავმა მიიღო და ყველას ეგონა, რომ იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში, რომელშიც "მილანი" "პალერმოს" მასპინძლობდა, ძირითადში კალაძე ითამაშებდა, მაგრამ ლეონარდომ ქართველი ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. სწორედ ეს იქცა ჭორის აგორების მთავარ მიზეზად.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა რუსული მედია, რომელიც გვარამუნებდა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კალაძე "მილანს" დატოვებდა და კიევის "დინამოში" ან სანკტ პეტერბურგის "ზენიტში" გააგრძელებდა კარიერას.

რამდენიმე უცხოურ საიტზე ისიც კი დაინერა, რომ კალაძემ "როსონერის" მესვეურებს ტრანსფერზე დაყენებაც მოსთხოვა. თუმცა, როგორც ჩანს, კალაძის ტრანსფერზე საუბარი ნაადრევია.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა დუმილი დაარღვია და "მილანის" საკაბელო ტელევიზიისთვის მიცემულ კომენტარ-



კალაძე "მილანის" დატოვებას არ აპირებს

ში აღნიშნა, რომ კლუბის დატოვებას არ აპირებს. კახა "მილანის" 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ღონისძიებაზე გამოჩნდა.

"მილანის" ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტის თქმით, ის თავს მშვენივრად გრძობდა და რეპორტიორთან საუბარსაც სიამოვნებით დათანხმდა.

"სასიამოვნოა აქ ყოფნა. ეს საღამო ხომ კლუბის საიუბილეო თარიღს ეძღვნება. "როსონერის" ფორმით თამაში ჩემთვის განსაკუთრებული რამ არის. როდესაც ეს ფორმა მაცვია, ძალიან ამაყი ვარ. გამოგიტყდებით, იმ სატრანსფერო ჭორებზეც გამახარა. როდესაც შენი შეძენა სოლიდურ კლუბებს უნდათ, ყოველთვის სიამოვნოა. თუმცა, მიხარია ყველას ვუთხრა, რომ მე "მილანის" ფეხბურთელი ვარ. კონტრაქტით კლუბში 2011 წლამდე უნდა დავრჩე და არ ვაპირებ ვულაღატო იმ გუნდს, რომელთან ერთადაც ფეხბურთში ყველა საკლუბო ტიტული მოვიგე. რაც შეეხება გაცემულ სმებს, ეს ფეხბურთია და, სატრანსფერო პერიოდი მოახლოვდება თუ არა, უამრავ ჭორს გაიგებ. მე კი, მიუხედავად იმისა, რომ ახლა სათამაშო პრაქტიკა თითქმის არა მაქვს, "მილანში" თავს ბედნიერად ვგრძობ.

რვა თვე ტრავმის გამო გამიცდა და, ცხადია, ჯერჯერობით სასურველ ფორმაში არ ვარ. რაც შეეხება გუნდს, "პალერმოსთან" მატჩში განცდილი მარცხის მიუხედავად, ამკარაა, რომ "მილანი" სწორ გზას ადგას. იტალიის ჩემპიონატში მეროე ადგილზე ვართ და სკუდელისთვის ვიბრძობ. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბარიერიც დავძლიეთ. ახლა პარასკევს ველოდებით, რათა პლეი-ოფში ჩვენი მეტოქის ვინაობა შევიტყოთ", - აღნიშნა კახა კალაძემ.

ბოისას ორმაგი დუბლით "ზადარმა" რევანში აიღო

მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი გამართა საქართველოს ნაკრებისა და ხორვატული "ზადარის" კალათბურთელმა ვლადიმერ ბოისამ. ფიბას ევროთასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მორიგ ტურში "ზადარმა" საკუთარ მოედანზე ებრაულ "ჰაპოელს" უმასპინძლა. რამდენიმე დღის წინ ისრაელში გამართული შეხვედრა "ზადარმა" ანგარიშით 74:93 დათმო. იმ მატჩში ვოვა თავის გუნდში საუკეთესო იყო. თუ პირველ მატჩში ბოისას კარგი თამაში გუნდს დიდად ვერ დაეხმარა, ამჯერად მისი დაბლის წყალობით "ზადარმა" რევანში აიღო და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებს.

თავად მატჩი ხორვატულმა კლუბმა ანგარიშით 86:69 მოიგო. ვოვამ ასპარეზობა მასპინძელთა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და ზადარის საორტულ ცენტრ "კრემში" შეკრებილი 3 ათასი ქომაგი პირველივე წუთებიდან აიყოლია. საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 21 ქულა და 14 მოხსნა მოითვალა.

2 მოგებითა და 2 მარცხით "ზადარმა" ევროთასის C ჯგუფში მე-3 ადგილზე გადაინაცვლა და "ჰაპოელს" ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უარესი შედეგის გამო ჩამორჩება. პირველ პოზიციაზეა ბოისას ყოფილი კლუბი "არისი", რომელმაც მე-3 გამარჯვება ლიტვურ "შიაულაისთან" იხიმა.

სირაძემ "სპარტაკთან" კონტრაქტი გააგრძელა

გამოცემა "სპორტ ექსპრესის" ინფორმაციით, ქართველმა ფორვარდმა დავით სირაძემ რუსულ კლუბ ნალჩიკის "სპარტაკთან" კონტრაქტი გააგრძელა. ადრე არსებული კონტრაქტის ვადა რუსული საფეხბურთო სეზონის დასრულებისთანავე ამოიწურა.

ტორესი "ლივერპულს" არ დატოვებს

"ლივერპულისთვის" მიმდინარე სეზონი საოცრად წარუმატებელი გამოდგა. გარდა იმისა, რომ წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით მერსისაიდული კლუბი კრიზისშია, გუნდს ფინანსური პრობლემებიც დაუგროვდა და, როგორც ბრიტანული მედია იუწყება, "წითლები" გაკოტრების ზღვარზე არიან. ამ ვითარებაში არავის გაუკვირდებოდა, თუ მერსისაიდულ კლუბს დატოვებდა ესპანელი ვარსკვლავი ფერნანდო ტორესი, თუმცა "ელ ნინიო" გაჭირვების დროს საყვარელი გუნდის დატოვებას არ აპირებს. "ვერც კი წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა კლუბში. მესმის, რომ პრობლემები დაგროვდა, მაგრამ ჩვენ იმისთვის ვართ, რომ ამ პრობლემებს გავეუმკლავდეთ. მერსისაიდულ კლუბს, ყველაფერი მოწესრიგდება. რაც შეეხება მე, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ კლუბის შეცვლას არ ვაპირებ. ბოლოს და ბოლოს, "ლივერპულთან" კონტრაქტი მაკავშირებს", - აცხადებს ტორესი.

რიბერის ულტიმატუმი წაუყენეს

მიუნხენის "ბაიერის" ახალმა პრეზიდენტმა ული ჰინესმა ფრანკ რიბერის ულტიმატუმი წაუყენა. მან ან ახლავე უნდა გააგრძელოს კონტრაქტი "რეკორდმაისტერთან", ან გაიყვანება. "თუ რიბერი ჩვენთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარს იტყვის, მას ტრანსფერზე დავაყენებთ", - აცხადებს ჰინესი. გერმანული კლუბის მესვეურის ულტიმატუმი, ცოტა არ იყოს, დიმილის მომგვრელია. საქმე ის არის, რომ თავად რიბერის სურს "ბაიერის" დატოვება და, ცხადია, კონტრაქტის გაგრძელებას არ ფიქრობს. საფარულად, რიბერის 60 მილიონ ევროდ შეაფასებენ. მისი შეძენის სურვილი უკვე გამოთქვს "რეალმა", "ჩელსიმ" და "მანჩესტერ სიტიმ".

ბოიკოტი

იტალიურმა მედიამ შოზე მოურიჩოს ბოიკოტირება გადამწყვიტა. გუშინდელი დღიდან იტალიელი ჟურნალისტები პორტუგალიელი სპეციალისტის პრესკონფერენციებს არ გააშუქებენ. საქმე ის არის, რომ მოურიჩომ შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ ჟურნალისტს, რის გამოც "ინტერის" მწვრთნელისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. შოზემ საკუთარ თავს არ უღალატა და განაცხადა, რომ ჟურნალისტს მხოლოდ პირისპირ მოუბოდიშებდა. აი, რა განაცხადა შოზე მოურიჩომ თავის გასამართლებლად: "ვერ მოგატყუებთ, ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენე, მაგრამ ფიზიკურად არ შეხებულა. ეს დამაბრალეს. მე ის მოვიხსენიე უცნაურ სიტყვებით, რომლებსაც ახლა ვერ გავიმეორებ. არ გეგონოთ, ჩემი უტაქტობის მიზეზი კვირის თამაში იყო. არა, ეს მთელი პროცესია. მე დამანაშავე ვარ, მაგრამ ამ ინციდენტში ჟურნალისტის ბრალეულობაც არის და მან ეს უნდა აღიაროს. ჟურნალისტებთან ურთიერთობისთვის არსებობს საკონფერენციო დარბაზები, მიქსტ ზონები, კლუბის პრესსამსახური. ეს ჟურნალისტი კი ყოველი თამაშის შემდეგ ავტობუსის კართან მხედდა. მე ყოველთვის ვეუბნები, რომ იქ მას არაფერი ესაქმება. კვირას კი მხოლოდ ამ სიტყვებით არ შემოვიფარგლე და გავლანძღე კიდევ. საჯაროდ ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, რადგან მე საჯაროდ არ მიმიყენებია შეურაცხყოფა. პირისპირ, კი ბატონო, მოვიდეს და მოუბოდიშებ. რაც შეეხება ჩემს დასჯას, ეს უკვე სასაცილოა".

124-ე ადგილზე

ინურება 2009 წელი - ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარუმატებელი წელი. საქართველოს ნაკრებმა 2009 წლის განმავლობაში ანტირეკორდების მთელი ციკლი დაამყარა და წელიწადსაც კატასტროფულად ამთავრებს.

გუშინ გამოქვეყნდა ფიფა-კოკა კოლას მორიგი სანაკრებო რეიტინგი. ეს არის წლის დასკვნითი რეიტინგი, რომელშიც საქართველოს ნაკრები 124-ე ადგილს იკავებს.

მთლიანობაში 2009 წლის სეზონი ჩვენმა ნაკრებმა, როგორც წმინდა საფეხბურთო, ისე სარეიტინგო თვალსაზრისით, საშინლად ჩაატარა. "ხუთჯვაროსნებმა" სეზონი 108-ე ადგილზე დაიწყო და 12 თვის განმავლობაში ვერ შეძლეს ასეულში შესვლა. ვითარება ოდნავ გამოსწორდა ზაფხულში, როდესაც ჩვენი გუნდი 105-დან 103-ე ადგილამდე აღზევდა, თუმცა შემოდგომაზე ნაკრებმა ისევ უკუსვლა დაიწყო და ზამთარში ამ ვარდნამ პიკს მიაღწია.

ასე რომ, 2009 წელს ჩვენი ნაკრები 124-ე ადგილზე ამთავრებს. ეს იმას ნიშნავს, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრისას სუსტ კალათაში ვიქნებით განთესილი და მეტოქეებიც სერიოზული გვეყოლება. ახლა საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს და იმედი ვიქონიოთ, რომ 2010



2009 წლის საუკეთესო ნაკრები ესპანეთს ჰყავდა.

წელს ჩვენი ნაკრები შედეგებს გააუმჯობესებს. რაც შეეხება სეზონის საბოლოო საფეხბურთო რეიტინგის ზედა ნაწილს, პირველ ადგილზე ესპანელები დამკვიდრდნენ. მათ ფეხდაფეხ მისდევს ბრაზილიის ნაკრები. ხუთეულში არიან ასევე პორტუგალიის, იტალიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები.

| | | | |
|--------------------|------|-----------------------|------|
| 1.ესპანეთი | 1627 | 12.რუსეთი | 1026 |
| 2.ბრაზილია | 1568 | 13.საბერძნეთი | 1016 |
| 3.ჰოლანდია | 1288 | 14.აშშ | 980 |
| 4.იტალია | 1209 | 15.ჩილე | 936 |
| 5.პორტუგალია | 1176 | 16.კოტ დ'ივუარი | 934 |
| 6.გერმანია | 1173 | 17.მექსიკა | 931 |
| 7.საფრანგეთი | 1117 | 18.შვეიცარია | 924 |
| 8.არგენტინა | 1085 | 19.სერბეთი | 916 |
| 9.ინგლისი | 1076 | 20.ურუგვაი | 909 |
| 10.ხორვატია | 1042 | 124.საქართველო | 202 |
| 11.კამერუნი | 1035 | | |

ი ვ ა ნ ი

ზურაბ თალაქვაძე

კარგი დრო იყო. ჩოგბურთი ჩოგბურთს ჰგავდა და არა სატრენაჟორო დარბაზიდან გამოვდებოდა დოღღ ლუნდგრენების ტურნირს. "ფიზიკა" მაშინაც საჭირო იყო, მაგრამ ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა (ბორის ბეკერი, პეტ კეში, ტიმ მაიოტი, მილან შრამბერი), ნიჭი უფრო ფასობდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა კომპონენტი. ნიჭს მონდომება და საჩოგბურთო ინტელექტიც თუ ემატებოდა, მაშინ იმ კონკრეტული მოთამაშის გვარის გასწვრივ Number 1 უნდა დაწერილიყო.

1985 წელს ტევეტონელმა ბორის ბეკერმა სენსაციურად მოიგო უიმბლდონი, ფინალში ამერიკელ კევენ კარენს აჯობა და ეს იყო იმ წლის მთავარი საჩოგბურთო მოვლენა. ბევრი სხვა რამეც ხდებოდა. მაგალითად, ანრი ლეკონტმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, გვი ვარო, მიროსლავ მერჩიუმა ერთ მატჩში 10 ეისით დაამყარა კარიერის რეკორდი, რომელსაც იყო კარლოვიჩი დღეს ერთ სეტში ამბობს. იანიკ ნოამ მოტეხილი მაჯით სამი ტურნირი ჩაატარა, სტეფან ედბერგმა კი... უბრალოდ, კარგი ჩოგბურთი ითამაშა.

ამის ფონზე არავის გაახსენდა, რომ ერთეულთა კლასიფიკაციის სათავეში ისევ ის არაპოპულარული ტიპი იყო, ვისაც არ უყვარდა მასმედია, ბევრი საუბარი და დროის ფუჭად ფლანგვა. იმ სუბიექტმა საფრანგეთის ღია პირველობის ფინალი ოთხ სეტში კიდევ ერთ შედეგთან, მათს ვილანდერთან დათმო, ავსტრალიის ღია პირველობაზე ფინალშიც კი ვერ გავიდა და იგივე გამეორდა უიმბლდონზე. სამაგიეროდ, სეზონის ბოლო სასლემოზე არაპოპულარულმა ადამიანმა ფინალში იოლი გამარჯვება მოიპოვა და ნელწინადი (მოლოდინისამებრ) პირველ ჩოგნად დაასრულა.

გახსოვთ ივან ლენდლი? უნდა გახსოვდეთ. ისიც გემხსოვრებათ, რომ ჩეხს, რომელმაც მოგვიანებით ამერიკის მოქალაქეობა მიიღო, არასოდეს (!) ჰქონია ფანკლუბი.

ივან ლენდლი 1981 წელს სეზონის ყველაზე პროგრესირებულ მამაკაც ჩოგბურთელად დაასახელეს, მაგრამ 1984 წლამდე ივანი ვერაფრით ვერ ახერხებდა დიდი სლემის რომელიმე ტურნირის მოგებას.

იყო ბევრი ფინალი და არანაკლებ ბევრი შაბლონური ფრაზა ყოველი ნაგებული გადამწყვეტი მატჩის მერე: მეტოქემ გამარჯვება ჩემზე მეტად დამისახურა, ვიბრძოლე, მაგრამ წავაგე და ა.შ.

ივანს, ალბათ, არასოდეს უთქვამს, წავაგე იმიტომ, რომ ბავშვური შეცდომები დავუშვი, ან, უბრალოდ, "მუღამზე" არ ვიყავი. ასეთი სიბრძნე ლენდლთან შედარებით არააოაბა ენდი მარეის ლამის ყოველი ფიასკოს შემდეგ "ნამოსცდენია"...

1981-ში ივანი საცხოვრებლად ამერიკაში გადადის. პირველი სამი წლის განმავლობაში მწვრთნელია და მეგობრის ვოიციხ ფიბაკის აპარტამენტებში ცხოვრობდა, 1984-ში კი გრინვიჩში (კონექტიკუტი) შეიძინა ოთხსართულიანი ვილა, ფიბაკს კი დღემდე ემადლიერება იმ ყურადღებისა და სითბოსთვის, რაც "რკინის კაცმა"

წლების განმავლობაში მიიღო.

ივანის კარიერა თავიდანვე წარმატებული იყო. 1978-ში მან ერთმანეთის მიყოლებით მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა და უიმბლდონი. იუნიორებში ჩეხი ვუნდერკინდი ერთეულთა კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე იყო.

დიდებში ლენდლმა 1980 წელს გაიბრწყინა. მართალია, სლემტიტულის გარეშე, მაგრამ მაინც გაიბრწყინა და ერთეულბურთში ხუთი ტურნირი მოიგო.

მაღევე გამოიმუშავა ბევრისთვის მიუღებელი, მისთვის კი იდეალური სათამაშო სტილი: მთავარია, მეტოქეზე ნაკლები შეცდომა დაუშვა და ნებისმიერ შეხვედრას მოიგებ. სწორედ ამ პრაგმატული ჩოგბურთის გამო უჭირდა "რობოტს" ბალახზე სტაბილურობის მოპოვება. უიმბლდონის კორტებზე ლენდლი ორჯერ ფინალში გავიდა, მაგრამ 1986-ში ბეკერთან, ერთი წლის მერე კი ავსტრალიელ პეტ კეშთან დამარცხდა. სიმართლე გითხრათ, ლენდლს რომელიმე ფინალის თავის სასარგებლოდ დამთავრების მცირე შანსი ჰქონდა.

ლენდლი თითქმის არ გადის ბადესთან. სამაგიეროდ, უკანა ხაზიდან შეცდომას თითქმის არ უშვებს და, არცთუ ათლეტური აღნაგობის მიუხედავად, მისი მონოდება პროტურზე ერთ-ერთი უძლიერესი, საუკეთესოა.

"მეცინება, როდესაც ვისხენებ, თუ როგორ აქებდნენ ჩემს მონოდებას. 1994-ში, როცა ავსტრალიის ღია პირველობაზე პიტ სამპრასთან წავაგე, ერთ გეიმში ზედიზედ სამი ეისი მოვანოდე და ყველაზე სწრაფი მონოდებისას რადარმა მხოლოდ 194 კმ/სთ დააფიქსირა. მერე პიტმაც დააეისა და მონოდების სიჩქარემ 209 კმ/სთ-ი შეადგინა. მერე პიტმა, ბორისმა, გორანმა, სხვებმაც მონოდება თავიანთი სათამაშო არსენალის მთავარ იარაღად აქციეს. თუმცა, ვცდები: ბეკერისთვის მონოდება მისი კარიერის დასაწყისშივე მნიშვნელოვანი იყო. უიმბლდონზე ბორისის დამარცხება თითქმის შეუძლებელი იყო", - იხსენებს ლენდლი.

1981-ში ლენდლმა ერთეულბურთში ათი ტურნირი მოიგო, რაც საუკეთესო შედეგი გახდა მამაკაცებში, თუმცა სლემებზე ის ისევ სხვების ჩრდილში იყო მოქცეული. ჯონ მაკინროი, ბიორნ ბორგი, ჯიმი კონორსი მოსაგებს იგებდნენ, ლენდლი კი "დანარჩენი" ტურნირების ვარსკვლავად იქცა. კვებეკში გამარჯვების მერე ლენდლმა ერთ-ერთ იშვიათ ინტერვიუში თქვა, აქამდე მოგებულ ყველა ტურნირს ერთ სლემში გავცვლიდიო. ჩეხს განსაკუთრებით უყვარდა თამაში ამერიკის ღია პირველობაზე, სადაც, 1982-დან მოყოლებული, ზედიზედ რვაჯერ (!) ფინალში გავიდა.

მომდევნო წლის სეზონი ლენდლისთვის უსლემო, მაგრამ სხვა მხრივ ფენომენალური იყო. ფენომენმა ზედიზედ 44 შეხვედრა და 13 (!) ტურნირი მოიგო, ამერიკის ღია პირველობის ფინალში კი ოთხ სეტში დამარცხდა კონორსთან.

ივანი არასოდეს ყოფილა სკანდალისტი, თუმცა ერთხელ დიდი უსიამოვნება შეემთხვა. 1983-ში ლენდლმა სან სითიში სამი საჩვენებელი მატჩი ჩაატარა. მეტოქეებად კი ჯონ კრიკი, კევენ კარენი და ჯიმი კონორსი ჰყავდა. ტურნი-



ლეგენდარული ივან ლენდლი

რიდან შემოსული თანხა მთლიანად ბოპოტატსვანაში უსახლკართო დახმარების ფონდში გადაირიცხა. ამით ჩეხმა მხარი დაუჭირა ანტიპარტიკულ მოძრაობას. ჩეხოსლოვაკიაში, სადაც კომუნისტურ მოსახლეობა დადებილბული ჰყავდა, ლენდლი მინასთან გაასწორეს, დევისის თასზე ქვეყნის ღირსების დაცვა ორი წლით აუკრძალეს და 150 000 დოლარის გადახდა დააკისრეს. ივანმა თანხა არ გადაიხადა, საბოლოოდ გადაწყვიტა ამერიკაში დარჩენილიყო და მას მერე დევისის თასზე აღარ უთამაშია.

ლენდლი მომდევნო ორი წლის განმავლობაშიც უშანსოდა ამერიკის ღია პირველობის ფინალში, სადაც მას ჯერ ისევ კონორსი, მერე კი მაკინროი უგებენ. სამაგიეროდ, იმ დროისთვის ლენდლს აქტივში აქვს 40-ზე მეტი მოგებული ტურნირი და ფულადი მონაპოვრის მხრივაც მუდამ პირველ სამეულშია.

დადგა 1984 წელი. ლენდლმა ისევ ვერაფერი გააკეთა ავსტრალიის სასლემოზე, მერე მოიგო ოთხი ტურნირი და დაიწყო საფრანგეთის ღია პირველობა, რომელიც მანამდე არც მაკინროის მოეგო, არც კონორსს და, ცხადია, არც ივანს.

"როლან გაროსზე" ივანი ერთხელ უკვე იყო ფინალში, თუმცა 1981-ში ხუთ სეტში წააგო ბორგთან. სამი წლის შემდეგ ლენდლის მონინაალმდევე გახლდათ მაკინროი - ივანზე ბევრად ნიჭიერი, თუმცა საკმაოდ არამდგრადი მოთამაშე.

პირველი ორი სეტის შემდეგ ალბათ არავის სჯეროდა, რომ ამერიკელი იმ ფინალის მოგებას ვერ მოახერხებდა. დაახლოებით ერთ საათში ლენდლმა პირველი ორი სეტი 3:6, 2:6 წააგო და მესამის დასაწყისში საკუთარი მონოდება დაკარგა.

ივანი მაშინვე იბრუნებს ბრეიკს და მესამე სეტს 6:4 იგებს. ამის მერე ორმა უდიდესმა მოთამაშემ ნამდვილი შოუ დადგა. ორივე სეტში ლენდლმა ბოლოსდა მოახერხა

ბრეიკის გაკეთება და სეტი თავის სასარგებლოდ - 7:5 დაასრულა. მაკინროისთვის ეს იყო პირველი და უკანასკნელი ფინალი "როლან გაროსზე". ისევე როგორც ივანისთვის უიმბლდონი, ჯონისთვის საფრანგეთის ღია პირველობა მოუგებელ ტურნირად იქცა. არადა, იმ სეზონში მაკინროი საუკეთესო იყო და მოგვიანებით, ამერიკის სასლემოს ფინალში, ლენდლი მინასთან გაასწორა - 6:3, 6:4, 6:1.

ერთეულთა კლასიფიკაციის სათავეში ლენდლი პირველად მოექცა 1983 წლის 28 თებერვალს და მას მერე, კარიერის ბოლომდე, 270 კვირის განმავლობაში საუკეთესოდ რჩებოდა. თითქოს ურყევი რეკორდი მოგვიანებით სამპრასმა გააუმჯობესა.

ლენდლის პირად ცხოვრებაში 1983 წლამდე მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა. მერე ჩეხმა გაიცნო ამერიკელი სამანტა ფრანკელი და დღეს ამ შესანიშნავ წყვილს ხუთი ქალიშვილი ჰყავს.

"სამანტამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. უფრო ფართოდ გავახილე თვალები, დავინახე, რომ ცხოვრებაში, ჩოგბურთის გარდა, კიდევ ბევრი სასიამოვნო რამ არის. ჩემი ოჯახი ყოველთვის პირველ ადგილზე იქნება, რადგან ყოველდღე ვცდილობ, მეუღლეს, შვილებს ყველაფერი საუკეთესო მივცე", - ამბობს ივანი.

ჩოგბურთის პარალელურად ლენდლი გოლფსაც თამაშობდა, თუმცა, ცხადია, მხოლოდ მოყვარულის დონეზე.

პროფესიული საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ლენდლი მეგოლფეთა შორისაც საკმაოდ მაღალ დონეზე გადის - ორი წლის განმავლობაში სამ ტურნირს იგებს. დღეს ლენდლის ორი ქალიშვილი - მარიკა და იზაბელი იუნიორ მეგოლფეებში საუკეთესოებად ითვლებიან, მამიკო კი მათ მაქსიმალურად ეხმარება.

ლენდლის შესახებ ყველა ყოველთვის კარგს ამბობდა და ამბობს კიდევ. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ივანი პატივისცემით ეპყრობოდა ყველას.

ჯონ მაკინროი: "ლენდლივით შრომისმოყვარე რომ ვყოფილიყავი, ალბათ მთელი კარიერის განმავლობაში პირველ ადგილზე ვიქნებოდი. ივანს საშინლად არ უყვარდა კორტზე ვინმესთვის თუნდაც ერთი ქულის უბრძოლველად დათმობა. ითამაშებდა ბოლომდე და არავის დაინდობდა. ამავე დროს, ერთხელაც არ წამოსცდენია ცუდი, მიუღებელი ფრაზა ოპონენტისადმი. შეიძლება ლენდლის სანახავად ოცი დოლარიც კი არ გადამეხადა, მაგრამ მატჩის მერე მივიდოდი და ხელს ჩამოვართმევდი".

დიდი სლემის ტურნირის ფინალში ივანი ბოლოს 1991-ში გავიდა, როდესაც ავსტრალიაში ოთხ სეტში ბეკერთან წააგო, თუმცა 1994-მდე სტაბილურად რჩებოდა პირველ ათეულში და უშუალო მეტოქეებსაც ხშირად უგებდა. 1992 წელს ივანი გახდა ამერიკის მოქალაქე და სამანტას საჩუქრად კონექტიკუტში მთელი საჩოგბურთო კომპლექსი უყიდა.

ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, ივან ლენდლს თავის კარიერაში ერთეულბურთში 94 ტურნირი აქვს მოგებული, რაც ჯიმი კონორსის (109) შემდეგ საუკეთესო შედეგია. აქამდე ბევრი დააკლდა სამპრასს (64) და საეჭვოა, ფედერერმა (61) მოახერხოს ივანის გადასწრაფა.

დიდი სლემის ტურნირებზე ლენდლმა სამჯერ მოიგო ამერიკის, ამდენჯერვე საფრანგეთის და ორჯერ ავსტრალიის ღია პირველობები, ხუთჯერ - სეზონის შემჯამებელი ტურნირი, არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

უკანასკნელად პირველი ჩოგანი გახდა 1990 წელს, მერე კი ახალი გენერაციის ვასრკვლავებთან ჭიდილი გაუჭირდა და პირველობა ჯერ ბეკერს, მერე ედბერგს, მოგვიანებით კი ამერიკელ ჯიმ კურივის დაუთმო. ამ უკანასკნელის შემდეგ კი სამეფო ტახტზე წამოსკუპდა სამპრასი.

გორან ივანიშვილი: "ივანი ჩემთვის მისაბაძი პიროვნება იყო, თუმცა, სამწუხაროდ, მასსავით სტაბილური და მხოლოდ სპორტზე კონცენტრირებული ვერ გავხდები. ლენდლი კორტზე გასვლისთანავე ივინყებდა ყველაფერს. შეიძლება ნაევო, მაგრამ ბოლომდე იომებდა და მეექვსე, ოდესმე ვინმეს ეთქვა, ლენდლმა რომელიმე კონკრეტული შეხვედრა უგულოდ ჩაატარაო. ივანი, პიტი და როჯერი. აი, ეს სამი გიგანტია ყველა დროის სამი საუკეთესო. თან, ლენდლს ჩოგბურთის ისტორიაში ყველა ნიჭიერ თაობაში მოუხდა თამაში და მაკინროის, კონორსის, ბორგის, ბეკერის, ედბერგის, ვილანდერის წინააღმდეგ ყოველთვის დადებითი ბალანსი ჰქონდა".

"ვარ თუ არა იმედგაცრუებელი იმის გამო, რომ უიმბლდონი ვერ მოვიგე? რა თქმა უნდა. ორჯერ ფინალში ვიყავი, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ბორისიც და პეტიც მაშინ ჩემზე მეტად იმსახურებდნენ ჩემპიონობას. ჩემზე მეტი დიდი გამარჯვება სხვასაც მოუპოვებია და ესეც ნორმალური, ბუნებრივია. მივიღე ის, რაც დავიმსახურე და ბედნიერი ვარ. მთელ ჩემს დროს ვუთმობ ოჯახს და მადლობას ვუხდის ღმერთს, რომ ყველაფერი ეს მომცა", - ამთავრებს საუბარს ივან ლენდლი.

ინგლისური პრემიერლიგის ათი უდიდესი გოლი

ინგლისური პრემიერლიგის გასულ ტურში "უიგანის" ფეხბურთელის ფიგურას მიერ "სტოკ სიტის" კარში გატანილი ფანტასტიკური გოლი უდავოდ აცხადებს პრეტენზიას სეზონის საუკეთესოდ რომ აღიარონ, თუმცა, მოიძებნება თუ არა მისთვის ადგილი პრემიერლიგის გათამაშების ისტორიაში გატანილ საუკეთესო გოლებს შორის, ძნელი სათქმელია. ინგლისელები ტრადიციების ერთგული ხალხია და ძნელად, რომ რამე შეაცვლიან. პრემიერლიგის გათამაშებაში ბევრი ლამაზი გოლი გასულა და გავა, თუმცა კლასიკური ათეული ჯერჯერობით უცვლელია. სასიამოვნოა, რომ ამ ათეულს გიორგი ქინქლაძის გოლიც ამშვენებს. გათავაზობთ პრემიერლიგაში გატანილი ათი საუკეთესო გოლის ჩამონათვალს.

დენის ბერგკამპი (არსენალი) ნიუკასლი - არსენალი (2001-02)

მაშინდელი "არსენალი" სუპერგუნდი იყო. კონკრეტულად ამ გოლს რაც შეეხება, არამფრინავმა ჰოლანდიელმა კიდევ ერთი გენიალური მოთამაშის, ფრანგი რობერ პირესის პასი მიიღო და საფეხბურთო ფიზიკის წინააღმდეგ წავიდა, ფეხის ერთი შეუმჩნეველი მოძრაობით ბურთი მცველის გვერდით გააგორა, თვითონ მერვე მხარეს წავიდა... მერე ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო.

"უფლება არ მაქვს, ამ გოლში ჩემი გუნდის მცველები დავადანაშაულო. უნდა ვაღიარო, რომ ბერგკამპმა ფანტასტიკური გოლი გაიტანა", - თქვა მატჩის შემდეგ "კაჭკაჭების" მაშინდელმა მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა.

დევიდ ბექჰემი (მანჩესტერი) უიმბლდონი - მანჩესტერი (1996-97)

"ბექსი" მაშინ უფრო ფეხბურთელი იყო, ვიდრე - შოუმენი. სერ ალექსის გუნდშიც ფეხბურთის უფრო თამაშობდა, ვიდრე პოდიუმზე გადიოდა, რამაც...

"1996 წლის მზიან დღეს სამხრეთ ლონდონში ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომელიც იმხანად ბევრისთვის უცნობი იყო, "უიმბლდონის" კარში მინდვრის ცენტრიდან გაიტანა გოლი. "დევიდ ბექჰემი ინგლისის ნაკრების მომავალია", - თქვა მაშინ თამაშის კომენტატორმა ჯონ მოტსონმა.

მეტ ლე ტისიე (საუთჰემპტონი) ბლექბერნი - საუთჰემპტონი (1994-95)

მეტი გუნდის ყველა დროის ლეგენდა, უდიდესი და ყველაზე ქარიზმატული მოთამაშეა. გოლებიც ბლომად გაიტანა და ხშირად ნამდვილ შედეგებს ქმნიდა.

დამაჯერებლად და აუჩქარებლად "ლმერთმა" (ასე მოიხსენიებდნენ ლე ტისიეს "საუთჰემპტონის" ფანები) რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა და უძლიერესი დარტყმით "როვერსის" კარში ულამაზესი გოლი გაიტანა.

პოლ სქოულზი (მანჩესტერი) ასტონ ვილა - მანჩესტერი (2006-07)

"Paul Scholes, he scores goals" - ასეთი სიტყვებია სიმღერაში, რომელიც "მანიუს" ფანებმა სქოულზის მიუძღვნეს. ჰოდა, მანჩესტერელთა ყვადლი უფლისწული იმედს ხომ არ გაუცრუებდა ფანებს. გაჰქონდა და



გიორგი ქინქლაძის გოლი საუკეთესო ათეულში მოხვდა

გაჰქონდა ლამაზი გოლები. "მანჩესტერის" ერთი რიგითი გამარჯვება სქოულზის გოლი-შედეგის წყალობით გახდა ისტორიული, თუმცა ასეთი გოლი პოლს, სულ მცირე, კიდევ ორჯერ აქვს გატანილი. ფორგიუსონის უსაყვარლესი მოთამაშე რაიან გიგზთან ერთად.

ტიერი ანრი (არსენალი) არსენალი - მანჩესტერი (2000-01)

ფეხბურთის სირცხვილი, რომ ამ გენიოსს "ოქროს ბურთი" ერთხელაც არ მოუგია. რა ვიცი, ზინედინ ზიდანის მერე ფრანგების სუპერგენერაციას ამაზე მაგარი მგონი, არავინ ჰქოლია. ანრი იყო მოვლენა, რომელიც ყველგან უდიდეს ყურადღებას იპყრობდა, თუმცა ახლა უშუალოდ მის შედეგზე გადავიდეთ, რომელიც ტიერიმ "არსენალის" მაშინდელი ყველაზე პრინციპული ოპონენტის, "მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გაიტანა.

აღნიშნული მატჩი კი... შიძლება ითქვას, რომ ფრანგმა იდეალური გოლი გაიტანა. ბურთი მან კართან ზურგით მდგომმა მიიღო. ანრის უკან სამი მცველი იდგა, თუმცა, ტიტიმ შეუძლებელი შეძლო და როგორ აღმოჩნდა ბურთი მანკუნინანელთა კარის ბადეში, მხოლოდ მან იცის.

პაოლო დი კანო (ვესტ ჰემი) ვესტ ჰემი - უიმბლდონი (1999-2000)

ძალიან მაგარი, განსაკუთრებული კაცი, უნიჭიერესი მოთამაშე. ტიპი, რომელმაც კარის ბადე გახეული რომ იყო და მეტოქის კარში ბურთი შევარდა, მსაჯს მიანიშნა, გოლი არ უნდა ჩათვალო.

ჭირვეულმა იტალიელმა გენიოსმა ბურთი საჯაროობაში მიიღო და ბალერონის მოძრაობით შეძლო გოლის გატანა. ამ გოლს დი კანო უნდა უმადლოდეს თავის პარტნიორს ტრევორ სინკლერსაც, რომელმაც იტალიელი უზადო გადაცემით მოამარაგა.

უეინ რუნი (მანჩესტერი) მანჩესტერი - ნიუკასლი (2004-05)

"ევერტონის" უუნდერკინდის "მანჩესტერში" გადასვლას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. მოირგო თუ არა "ნიუელი ემპაის" ტყავი პატარა და საშინელმა რუნიმ, მაშინვე გაამართლა მასზე გაცემული ავანსი. სადებიუტო მატჩშივე "კაჭკაჭების" კარში გიჟური გოლი გაიტანა. მერეც ბევრი და ბევრისთვის შეუვლია, მაგრამ ეს იყო პირველი, მაგარი და ყველასთვის ("ნიუკასლის" გარდა) დასამახსოვრებელი მინი-შედეგი.

ერიკ კანტონა (მანჩესტერი) მანჩესტერი - სანდერლენდი (1995-96)

იდეალური ობიექტი ყველასთვის, მოედანზე და მის მიღმა, მოკლედ, ყველგან... მეგაფეხბურთელი და ჯერ "ლიდსის", მერე კი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფანების კერპი.

მეფე ერიკის დაუფინყარი გოლი. ნახევარი მოედანი მან სლალომით გაიარა, გაითამაშა კედელი მაკლერთან და ბურთი თავს ზემოდან გადაუგდო მეკარეს. შემდეგ "ოლდ ტრაფორდის" მძინვარე ტრიბუნებისკენ შეტრიალდა და აუღელვებლად უყურებდა გადარეულ ფანებს, სწორედ ისე, როგორც ნამდვილ მეფეს შეეფერება.

გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი) მანჩესტერ სიტი - საუთჰემპტონი (1995-96)

გიო უნდა ყოფილიყო ის, ვინც სამწუხაროდ, სხვდასხვა მიზეზის გამო, საბოლოოდ ვერ გახდა. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ნიჭიერი მოთამაშე.

ძალიან დიდი ფეხბურთი დიდი ხნის განმავლობაში უნდა ეთამაშა...

გასული საუკუნის 90-იან წლებში "სიტის" არც ისე ბევრი ლეგიონერი ჰყავდა. პატარა ქართველი ვარსკვლავი კი "მეინ როუდის" ნამდვილი ბრილიანტი გახლდათ. "წმინდანების" კარში გატანილი გოლი ამის ნათელი დასტურია. გიორგიმ თითქმის მთელი გუნდი მოატყუა, მიუხედავად მეკარეს, ოსტატური მოძრაობით მუხლებზე დააჩოქა და... გოლი.

დელიან ატკინსონი (ასტონ ვილა) უიმბლდონი - ასტონ ვილა (1992-93)

ატკინსონი პრემიერლიგის წამყვან ფეხბურთელად არასდროს არ ითვლებოდა, თუმცა, ერთხელ მანაც გაიბრწყინა, როდესაც "უიმბლდონის" კარის მიმართულებით განახორციელა სლალომი და გარღვევა გოლით დაასრულა. "ასტონ ვილას" ფანებისთვის ყოველთვის საკულტო ფიგურად ითვლებოდა. ჰქონდა შარმი, რის გამოც იგი რამდენჯერმე ეპიზოდურ როლებზე მიიწვიეს. მსახიობზე ბევრად კარგი ფეხბურთელი იყო.

ბექჰემი სკუდეტოს მოგებას გეგმავს

იანვრიდან "მილანის" ლირსებას დევიდ ბექჰემი დაიცავს. იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში ინგლისელმა ვარსკვლავმა აღნიშნა, რომ "როსონერის" სკუდეტოს მოგების რეალური შანსი აქვს.

"მე ვნახე "მილანის" თამაშები და კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. იტალიის ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა და "ინტერის" დანევა პრობლემა არ არის. მესმის, ეს ძნელია, მაგრამ შესაძლებელი. ასე რომ, იტალიაში სკუდეტოს მოსაგებად ჩავდივარ," - აცხადებს ბექჰემი.

რობერტო კარლოსი სამშობლოში დაბრუნდა

ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა კონტრაქტი განაგრძო თურქულ "ფენერბაჩესთან" და ბრაზილიურ კლუბ "კორინთიანსთან" გააფორმა ხელშეკრულება. 36 წლის მარცხენა მცველი "კორინთიანსს" 4 იანვარს შეუერთდება და ამ კლუბში ნომრანი მასურით ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ "კორინთიანსის" ლირსებას რონალდოც იცავს.

"იუვე" გაგოთი დაინტერესდა

იტალიურ გამოცემა "გაძემა დელო სპორტის" ინფორმაციით, მადრიდის "რეალისა" და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი ფერნანდო გაგო ტურინის "იუვენტუსის" ინტერესთა სფეროში აღმოჩნდა. "ბებერ ქალბატონს" არგენტინელის შექმნა ამ ზამთარს სურს. გაგო "რეალის" ძირითადში ვერ ხვდება და კლუბის გამოცვლაზე უარს არ იტყობა.

ვან გაალი საუკეთესოდ აღიარეს

მიუნხენის "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ლუი ვან გაალი ჰოლანდიურმა მედიამ წლის მწვრთნელად დაასახელა. ეს პრიზი ვან გაალს "ალკმარის" ჩემპიონობისთვის ერგო. "ჯილოდო მხოლოდ მე არ მეკუთვნის. მადლობის ვუხდი "ალკმარის" ხელმძღვანელობას, ჩემს თანამშენებლებს და, ცხადია, ფეხბურთელებს. ისინი რომ არა, ამ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდი", - აღნიშნა ვან გაალმა.

რონალდუ ტაშკენტს ესტუმრება

უზბეკური მედიის ინფორმაციით, 22 დეკემბერს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ ტაშკენტს ესტუმრება. ქალაქის ქუჩები უკვე აჭრელებულია მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის ბილბორდებით. ტაშკენტში რონალდუ ერთ პრესკონფერენციას გამართავს და შეხვდება კლუბ "ბუნედკორის" მთავარ მწვრთნელს ლუიშ ფელიპე სკოლარის.

"ინტერნასიონალს" ფოსატი ხელმძღვანელებს

ბრაზილიის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი "ინტერნასიონალის" მთავარ მწვრთნელად ხორხე ფოსატი დაინიშნეს. 57 წლის ურუგვაელმა სპეციალისტმა ბრაზილიურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახალ მწვრთნელს "ინტერნასიონალის" ხელმძღვანელობამ ლიბერტადორესის თასზე წარმატებული გამოვლენა დაუსახა მიზნად. ფოსატიმ "ინტერნასიონალის" თავკაცის პოსტზე შეცვალა მარიუ სერჟიუ, რომელსაც კლუბმა კონტრაქტი არ გაუხანგრძლივა. ურუგვაელის ბოლო სამუშაო ადგილი იყო ეკვადორული ლეუ, რომელსაც ლიბერტადორესის თასი და სამხრეთ ამერიკის სუპერთასი მოაგებინა. სუპერთასის გადამწყვეტ მატჩში ფოსატის შეგირდებმა "ინტერნასიონალი" დაამარცხეს.

არ დანებდეთ!

ჩემბა ნახევარმცველმა პაველ ნედედმა, რომელმაც საფეხბურთო კარიერა გასულ ზაფხულს დაასრულა, თავისი ყოფილი გუნდის "იუვენტუსის" წარუმატებლობებზე ისაუბრა. "როგორც გულმემატიკოსისთვის, ძნელია იმის ხილვა, რომ ჩემი საყვარელი კლუბი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. მაგრამ გუნდმა ამის გამო ხელეობი არ უნდა ჩამოშვას. მიმანია, რომ ახლანდელი "იუვე" გაცილებით ძლიერია იმ გუნდზე, რომელიც გასულ სეზონში თამაშობდა. მთავარია ბიჭებმა გული არ გაიტეხონ და არ დანებდნენ. თუ ბრძოლას ვაგაგრძელებთ, ყველაფერი წესრიგში იქნება", - აცხადებს ნედედმა.

პერენი თანამდებობიდან დაითხოვეს

ფრანგული "სენტ-ეტიენი", რომელსაც ჩემპიონატში ზედიზედ 5 ტურია არ მოუგია, მთავარი მწვრთნელის ალენ პერენის გარეშე დარჩა. უახლოეს მატჩებში გუნდს უხელმძღვანელებს კრისტოფ გალტი, რომელიც აქამდე პერენის თანამშენებელი იყო. 53 წლის პერენი "სენტ-ეტიენი" 2008 წლის ნოემბერში ჩაუდგა სათავეში, მაგრამ გუნდის თამაში რადიკალურად ვერ შეცვალა და გასულ სეზონში მე-17 ადგილს დასჯერდა.

ადრიანომ ევროპაში დაბრუნება არ ისურვა

"ფლამენგოს" ფორვარდმა ადრიანომ, რომელიც 2009 წლის ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა, კლუბთან კონტრაქტი ნახევარი წლით გაახანგრძლივა. მიმდინარე წლის აპრილში ადრიანომ თვითნებურად დატოვა მილანის "ინტერი", დაბრუნდა ბრაზილიაში და "ფლამენგოს" მიაშურა. ბრაზილიურმა კლუბმა მისი სატრანსფერო უფლებები გამოიყიდა. სამშობლოში ადრიანომ ჩვეული ფორმა დაიბრუნა და მისით ისევ დაინტერესდნენ ევროპული კლუბები. ბრაზილიელ ფორვარდს რამდენიმე საინტერესო შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ ადრიანომ ბრაზილიის დატოვება არ ისურვა.

საქართველოში სათხილამურო ტრასები ინათლება

გიგა ბარასაშვილი

საქართველოს სამთო სათხილამურო ფედერაციის ახალარჩეულმა ხელმძღვანელობამ ახალი პრიორიტეტები დაისახა. მანამდე კი არ დაივიწყა გოგი თოფაძის (ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი) მიერ აქამდე გაწეული სამსახური და ყოველივე გუშინ "Radisson SAS ივერიაში" არაერთხელ აღნიშნა. უმთავრესი კი ის იყო, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია სამთო სათხილამურო ტურიზმის განვითარება.



სათხილამურო გეოგრაფიის გასაზრდელად სამთო-სათხილამურო ფედერაციაში სვანეთისა და მთიანი აჭარის სათხილამურო ტრასებსაც განიხილავენ

ლამურო ფედერაციას და მის ხელმძღვანელობას ბევრად დიდი მიზნები დაუსახავს. პირველყოვლისა, საქართველოს ჩემპიონატში კონკურენციის გამძაფრება, მონაწილეთათვის სტიმულის ამაღლება. ამასთან, რაც მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს სამთო სათხილამურო ფედერაციის ინიციატივით ბაკურიანსა და გუდაურში უკვე დაიწყო ტრასების პროექტირება (შესწავლა და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგება. სამუშაოების დასრულების შემდეგ 2010-2011 წლის ზამთრის სეზონისთვის. ქვეყანაში შესაძლებელი იქნება საერთაშორისო შეჯიბრებებისა თუ ეტაპების მასპინძლობა. რედ.). მართალია, ამგვარი რამ საქართველოს სათხილამურო ტრასებზე აქამდეც იყო, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დროთა განმავლობაში მოთხოვნები და სტანდარტები ცვლილებებს გა-

ნიციდება, შესაბამისად, მათში გარკვეული კორექტივების შეტანა გახდა საჭირო. და კიდევ, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია: ფედერაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება მოზარდთათვის სპორტული მომზადების პროგრამა. პროექტის მიხედვით 11-დან 18-წლამდე ახალგაზრდებს ევროპაში ლიცენზირებული, იტალიელი მწვრთნელი (სავარაუდოდ, ჯორჯო კომპანიონი) გუდაურსა და ბაკურიანში მოამზადებს. საუბარია იმაზეც, რომ მომავალი წლიდან ნაკრებში მოიწვევენ ავსტრიელ ინსტრუქტორს. ისიც ვთქვათ, რომ საუკეთესო მონაცემების მქონე მოთხილამურეები ვარჯიშს და შეკრებებს გაივლიან იტალიისა და ავსტრიის სამთო სათხილამურო ბაზებზე, რაც მათთვის ასევე გარკვეულ სტიმულად გამოდგება.

თი მაკი დაბრუნდა

"ჰიუსტონს" ამბები წლევანდელ რეგულარულში ისედაც მშვენივრად მისდიოდა, ერთი ძალიან მაგარი ვიდეოს დაბრუნებით კი სავარაუდოდ, უკეთ წაუვა. 9 თებერვლის მერე პირველად ითამაშა "ყველა ვარსკვლავის" მატჩის შვიდგზის მონაწილე ტრეისი მაკგრედიმ. ისე, თი მაკის დაბრუნებას რამდენიმე ფაქტორმაც შეუწყო ხელი.



ტრეისი მაკგრედი დაბრუნდა

აღრე მივედი დარბაზში, შევედი გასახდელში და ბიჭებმა მითხრეს, მიდი, ადელმანს შენთან გასაუბრება სურსო. რიკმა ეგრევე მითხრა, 7-10 წუთს გათამაშებ და მზად იყავიო. მგონი, ამდენი ხნის უთამაშებლისთვის ცუდად არ გამოვიყურებოდი", - აშკარად კმაყოფილი იყო მაკგრედი. "როკეტსმა" კი მორიგი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა. ბადინგერზე უკვე გითხარით. ტრადიციულად, სტაბილურად, გუნდისთვის იდეალურად ითამაშა არგენტინელ-

მა ლუის სკოლამ, რომლის ანგარიშზე 23 ქულა და 8 მოხსნა მოვიდა. ამდენივე ქულა გააკეთა აარონ ბრუქსმა და დასავლელებმა "დეტროიტს" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია დაუსრულეს. მიჩიგანელთა შემადგენლობაში 21 ქულით, 4 მოხსნითა და ამდენივე შედეგიანი გადაცემით მშვენივრად გამოიყურებოდა ვენტურანი მსროლელი რიკ ჰამილტონი.

ტრეისი მაკგრედიმ შარშან ბოლო დეკადაში უსუსტესი სეზონი ჩაატარა, რაც ხშირმა ტრავმინაობამ გამოიწვია. მან მონაწილეობა მხოლოდ 35 შეხვედრაში მიიღო და ერთ მატჩში საშუალოდ ოდენ 15.6 ქულას აგროვებდა.

"მშვენიერი გუნდი გვყავს და მიუხედავად იმისა, რომ იაოს სახით უდიდესი ძალა გვაკლია, მჯერა, რომ დასავლეთის რვა საუკეთესო გუნდში შევალთ", - ესეც მაკგრედის სიტყვებია. პრინციპში, ჩვენც ვართ დარწმუნებულნი, რომ ადელმანის გუნდი პლეი ოფში გავა და არ არის გამორიცხული, იქ მარტო მოვალეობის მოხდის მიზნით არ შეაღწიოს. ძალიან კარგი, ახალგაზრდა და მეტრძოლი გუნდი ჰყავს რიკს, სადაც ყველა რგოლი მშვენივრად დაბალანსებული.

ასე რომ, ვნახოთ, ჩვენ "როკეტსის" ნაღდად გვეჯერა.

NBA. რეგულარული

- კლივლენდი-ნიუ ჯერსი.....99:89
- ფინიქსი-სან ანტონიო116:104
- პორტლენდი-საკრამენტო ...95:88
- ჰიუსტონი-დეტროიტი.....107:96
- ჩიკაგო-ლეიკერსი87:96
- მაიამი-ტორონტო.....115:95
- მარლოტი-ნიუ იორკი94:87

ყოველ ოთხშაბათს

"24საათის" ახალი ჩანართი

"ავტოპანორამა"

ავტონდუსტრიის სიახლეები, ავტობაზარი, ავტოსპორტი, ავტონარმოების ისტორია ყველაფერი ავტომობილის შესახებ

ავტოპანორამა HYUNDAI

"ფოლქსვაგენ პოლო" 4 წლის საუკეთესო ავტომობილია

ბრუნ სენა "კამპუს მუტას" წევრია 5

უოლკვაგენ მოდელი ვოლკს ავტომობილები გახდა 7

"გაიგვას" კონცეპტია "ვიპ6 აფიციონტდანიევიქსი" 3

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოკრავი საოპერაციო ბლოკით

ს ი ა ხ ლ ე !

მნიშვნელოვანი **ფასდაკლება**

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2010 წლისათვის სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. დაფინანსების წყაროა - სახელმწიფო ბიუჯეტი.

Table with 5 columns: Lot No., Description, Quantity, Location, and Deadline. It lists 14 lots for vehicle maintenance services.

Table with 5 columns: Lot No., Description, Quantity, Location, and Deadline. It lists 5 lots for vehicle maintenance services.

- 2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა ბანკი კოდი 220101222, ა/ა №200122900, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სადგომო-სახაზინო კოდი 302004500, მიუთითონ სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქობილისი, ჭოროხის ქ.№6, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
3. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
4. ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურება უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე.
5. პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 17 დეკემბრიდან 2010 წლის 6 იანვრის ჩათვლით.
6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ორ (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ეგზემპლარად 2010 წლის 8 იანვარს 14.00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქობილისი, ჭოროხის ქ.№6 საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.
7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.
8. სატენდერო წინადადება გაიხსნება 2010 წლის 8 იანვარს 14.00 საათზე შემდეგ მისამართზე ქობილისი, ჭოროხის ქ.№6.
9. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2010 წლის 28 იანვრამდე.
10. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
10.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
10.2 ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
11. მე-10 პუნქტში მითითებული მოთხოვნები არ ექვემდებარებიან შემდგომ დაზუსტებას.
12. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.
13. დაწერილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქობილისი, ჭოროხის ქ. №6. ტ: 923321.

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 2010 წლისათვის სხვადასხვა სახის საავტომობილო საწვავის სახელმწიფო შესყიდვაზე. დაფინანსების წყაროა - სახელმწიფო ბიუჯეტი.

Table with 4 columns: No., Fuel Type, Quantity (Liters), and Location. It lists 6 lots for fuel procurement.

- 2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა ბანკი კოდი 220101222, ა/ა №200122900, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სადგომო-სახაზინო კოდი 302004500, მიუთითონ სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქობილისი, ჭოროხის ქ.№6, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
3. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
4. ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

- 5. პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 17 დეკემბრიდან 2010 წლის 5 იანვრის ჩათვლით.
6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ორ (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან, ორიგინალი და თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული სანოტარო წესით) ეგზემპლარად 2010 წლის 6 იანვარს 12.00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქობილისი, ჭოროხის ქ.№6 საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.
7. სატენდერო წინადადება გაიხსნება 2010 წლის 6 იანვარს 12.00 საათზე შემდეგ მისამართზე ქობილისი, ჭოროხის ქ.№6.
8. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას. ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია - ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.
9. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2010 წლის 26 იანვრამდე.
10. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
10.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
10.2 ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
11. მე-8 და მე-10 პუნქტში მითითებული მოთხოვნები არ ექვემდებარებიან შემდგომ დაზუსტებას.
12. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.
13. დაწერილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქობილისი, ჭოროხის ქ. №6. ტ: 923321.

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **2010 წლისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე**. დაფინანსების წყაროა – სახელმწიფო ბიუჯეტი.

ლოტი №1

ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება 175 კაცზე.

| პოლისით გათვალისწინებული მომსახურება | სადაზღვევო ლიმიტი | თანაგადახდა |
|---|-------------------|-------------|
| 24 საათიანი საიმედიცინო საინფორმაციო სამსახური (ცხელი ხაზი) | ლიმიტის გარეშე | 100% |
| პირადი ექიმის მოსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| ჰოსპიტალიზაცია | 12000 ლარი | 100% |
| ორსულობა მშობიარობა | 1500 ლარი | 100% |
| გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 80% |
| ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები | 1200 ლარი | 70% |
| პროფილაქტიკური შემოწმება | წელიწადში ორჯერ | 100% |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| გეგმიური სტომატოლოგიური მკურნალობა | ლიმიტის გარეშე | 80% |

ლოტი №2

ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება 1600 კაცზე.

| პოლისით გათვალისწინებული მომსახურება | სადაზღვევო ლიმიტი | თანაგადახდა |
|---|-------------------|-------------|
| 24 საათიანი საიმედიცინო საინფორმაციო სამსახური (ცხელი ხაზი) | ლიმიტის გარეშე | 100% |
| პირადი ექიმის მოსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| ჰოსპიტალიზაცია | 10000 ლარი | 100% |
| გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება | 1200 ლარი | 50% |
| ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები | 600 ლარი | 40% |
| პროფილაქტიკური შემოწმება | წელიწადში ერთხელ | 100% |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარება | ლიმიტის გარეშე | 100% |

ლოტი №3

ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება 1350 კაცზე.

| პოლისით გათვალისწინებული მომსახურება | სადაზღვევო ლიმიტი | თანაგადახდა |
|---|-------------------|-------------|
| 24 საათიანი საიმედიცინო საინფორმაციო სამსახური (ცხელი ხაზი) | ლიმიტის გარეშე | 100% |
| პირადი ექიმის მოსახურება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია | 5000 ლარი | 100% |
| გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება | 1000 ლარი | 100% |
| პროფილაქტიკური შემოწმება | წელიწადში ერთხელ | 100% |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარება | ლიმიტის გარეშე | 100% |
| უბედური შემთხვევით გარდაცვალების დაზღვევა | 1000 ლარი | 100% |

გარდა ამ პაკეტით გათვალისწინებული პირობებისა, სავალდებულოა პირებს მიეცეთ შესაძლებლობა (სურვილის შემთხვევაში) საკუთარი სახსრებით დამატებით განსაზღვრონ სადაზღვევო პირობების პაკეტი. მონაწილე კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დაზღვეულები დამატებითი შესაძლებლობით თავისთვისა და თავისი ოჯახისათვის (მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები) თავისი სურვილით, ინდივიდუალურად, საკუთარი ხარჯით გაიზარდონ (გაიუმჯობესონ) სადაზღვევო მომსახურების პაკეტი.

ეს მოქმედება (დამატებითი პაკეტის უზრუნველყოფა) დაზღვეულებთან უნდა გაფორმდეს ცალკე ინდივიდუალური ხელშეკრულებით, მაგრამ ზემოხსენებული სახით - წინასწარ მოწოდებული პირობით.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა ბანკი კოდი 220101222, ა/ა №200122900, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სადეპოზიტო-სახაზინო კოდი 302004500, მიუთითონ სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქობილისი, ჭოროხის ქ.№6, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემყიდველ ორგანიზაციაში.

4. ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

5. პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 17 დეკემბრიდან 2010 წლის 5 იანვრის ჩათვლით.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ორ (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ვებმომსახურებაზე 2010 წლის 6 იანვარს 14.00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე ქობილისი, ჭოროხის ქ.№6 საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

7. სატენდერო წინადადება გაიხსნება 2010 წლის 6 იანვარს 14.00 საათზე შემდეგ მისამართზე ქობილისი, ჭოროხის ქ.№6.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.

9. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელიც 30 დღით უნდა აღმატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას. ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია – ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2010 წლის 26 იანვრამდე.

11. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ზორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

12. ტენდერში მონაწილე კომპანიას უნდა გააჩნდეს საქართველოს სადაზღვევო ბაზრზე საქმიანობის მინიმუმ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილება.

13. მე-9, მე-11 და მე-12 პუნქტში მითითებული მოთხოვნები არ ექვემდებარებიან შემდგომ დაზუსტებას.

14. დაწერილობითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქობილისი, ჭოროხის ქ. №6. ტ: 923321.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერობის სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 18 აგვისტოს №182 გაზეთში "24 საათი" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ: №2 ლოტზე სს "აჭარკაპშენი" რომელსაც 2009 წლის 17 ნოემბერს გაუფორმდა №3214010304/03/126 ხელშეკრულება ღირებულებით 34 609 (ოცდაათოთხმეტი ათას ექვსასცხრა) ლარი, №1, №3 და №5 ლოტებზე შ.პ.ს. "ვახტანგ დავითაია, არქიტექტურა, მშენებლობა", რომელსაც 2009 წლის 17 ნოემბერს გაუფორმდა №3214010304/03/124 ხელშეკრულება ღირებულებით 88 000 (ოთხმოცდარვა ათასი) ლარი.

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და

ერთი მოძრავი სამოქმედო ბლოკით

სიასლე!

მნიშვნელოვანი **ფასდაკლება** კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ბანცაღება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის არ მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს მთავარი სამმართველოს ბალანსზე არსებული ავტორანსპორტის სათადარიგო ნაწილების, საპოხ-საცხები მასალებისა და ტექნიკური მომსახურების (სერვისი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 302003174 მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის არ მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერის დასახელება და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. ბათუმი ტბელ აბუსერისძის ქ. №11 მე-4 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემთ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 17 დეკემბრიდან 2010 წლის 5 იანვრის 18:00 საათამდე.

1. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | სათადარიგო ნაწილების, საპოხ-საცხები მასალების შესყიდვა და ტექნიკური მომსახურების დასახელება (ავტომანქანის მარკის მიხედვით) | განზომილება -რაოდენობა |
|--|--|------------------------------------|
| 1 | „ვაზ 2107“ | ერთეული 31 |
| | „ვაზ 2121“ | ერთეული 12 |
| | „უაზ 315146-012“ | ერთეული 18 |
| | „ვაზ 31029“ | ერთეული 2 |
| | „გაზ 5312“ | ერთეული 1 |
| | „გაზელი“ | ერთეული 1 |
| | „ზილი 4331“ | ერთეული 1 |
| 2 | „ფოლცვაგენ-ჯეტა“ | ერთეული 5 |
| | „ფოლცვაგენ-პასატი“ | ერთეული 3 |
| | „შკოდა“ | ერთეული 11 |
| | „შახინი“ | ერთეული 1 |
| | „ტოიოტა-ჰაილუქსი“ | ერთეული 12 |
| | „მიცუბიში მონტერო“ | ერთეული 1 |
| | „ფოლცვაგენ-გოლფი“ | ერთეული 1 |
| | „ნისან-ნავარა“ | ერთეული 2 |
| | ტოიოტა-პრადო | ერთეული 1 |
| | „ტოიოტა-კოროლა“ | ერთეული 1 |
| | „მერსედეს-ბენცი-230“ | ერთეული 3 |
| | „მერსედეს-ბენცი-ე 420“ | ერთეული 1 |
| | „მერსედეს-ემელი“ | ერთეული 1 |
| | „პოუნდა-ტუქსონი“ | ერთეული 1 |
| | „ფორდ-ლოტოსანი“ | ერთეული 1 |
| | „ვრანდ-ჩეროკი“ | ერთეული 1 |
| | 3 | „ვაზ 2107“-ს ტექნიკური მომსახურება |
| „ვაზ 2121“-ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 12 |
| „უაზ 315146-012“-ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 18 |
| „ვაზ 31029“-ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 2 |
| „გაზ 5312“ | | ერთეული 1 |
| „გაზელი“ | | ერთეული 1 |
| „ზილი 4331“-ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 1 |
| „ფოლცვაგენ-ჯეტა“ ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 5 |
| „ფოლცვაგენ-პასატი“ ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 3 |
| „შკოდა“ ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 11 |
| „შახინი“ ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 1 |
| „ტოიოტა-ჰაილუქსი“ ს ტექნიკური მომსახურება | | ერთეული 12 |
| „მიცუბიში მონტერო“ | | ერთეული 1 |
| „ფოლცვაგენ-გოლფი“ | | ერთეული 1 |
| „ნისან-ნავარა“ | | ერთეული 2 |
| ტოიოტა-პრადო | | ერთეული 1 |

| | | |
|--|---------|---|
| „ტოიოტა-კოროლა“ ს ტექნიკური მომსახურება | ერთეული | 1 |
| „მერსედეს-ბენცი-230“ ს ტექნიკური მომსახურება | ერთეული | 3 |
| „მერსედეს-ბენცი-ე 420“ ს ტექნიკური მომსახურება | ერთეული | 1 |
| „მერსედეს-ემელი“ ს ტექნიკური მომსახურება | ერთეული | 1 |
